პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახად. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— სამხრეთ - სლავიის მთავრობამ უარი განაცხადა, რომ ერთა ლიგამ გაარჩიოს ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი.
— პარიზში, ივრის უბანში მუნიციპალურ არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.
— ჩან-კაი-შის შტაბში დაიწყო უთანხმოება.
— შანხაიში გაიმართა იაპონიის საწინააღმდეგო მიტინგი.
— ლატვიიდან ასახლებენ რუს მონარქისტებს.
— გაიხსნა ფინეთის ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 15 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 134 (1879)

პლენუმი საბჭოთა არჩევნების შესახებ

სხვა საკითხებს შორის, რომელნიც უკვე გვქონდა გაშუქებული ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში, საქ. კომპ. ცეკას და ცენ.საკ.კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა საკითხი საბჭოთა არჩევნების შედეგების შესახებ.

უკანასკნელი არჩევნები მდიდარ მასალას იძლევა საბჭოთა მუშაობის უფრო სწორი გზით წარსამართავათ და მომავალი არჩევნების ორგანიზაციისათვის. მიმდინარე წლის საარჩევნო კამპანიამ გაცილებით მეტად, ვიდრე წინა არჩევნებმა ცხადჰყო პარტიის გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება მოსახლეობაში, ამომრჩეველთა პოლიტიკური ზრდა და საბჭოთა წყობილების სიმტკიცე. გარდა ამისა უკანასკნელ არჩევნებში ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხკაცობის ბლოკის საუკეთესო გამოცდას წარმოადგენდა. არჩევნებმა ბევრათ შეუწყო ხელი სოფლის ამ ორი სოციალური ჯგუფის დაკავშირებას და ამრიგად კულაკური და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების გარიყვას.

მიმდინარე წლის არჩევნები განსაკუთრებით განირჩეოდა წარსული არჩევნებისაგან საბჭოთა დემოკრატიზმის მტკიცეთ და შედარებით უმტკივნეულოთ ჩატარებით. იმ შესწორებებმა, რომელნიც შეტანილი იყო ძველ საარჩევნო ინსტრუქციაში, მნიშვნელოვნად გაუადვილა სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობას ბრძოლა მშრომელთა მტრებთან და ამრიგად ხელი შეუწყო საბჭოების შემადგენლობის სოციალურად გაჯანსაღებას. რაც შეეხება თვით ამომრჩეველთა უფლებების დაცვას, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი არ ჰქონია ხმის მიმცემზე რაიმე უხეშ ზეგავლენას, დაშინებას და საზოგადოთ საარჩევნო ინსტრუქციის დარღვევას. მშრომელი გლეხკაცობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, გამოდიოდა სასტიკი და საქმიანი კრიტიკით საბჭოს მუშაობის შესახებ და უახლოეს მონაწილეობას იღებდა კანდიდატურების შერჩევის საქმეში.

ზოგიერთ ადგილებში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ანტისაბჭოთა ელემენტები კონტრ - რევოლიუციონური პარტიების ნამსხვრევების წაქეზებით და დახმარებით, შეეცადენ საბჭოთა დემოკრატიზმის თავის სასარგებლოთ გამოყენებას მათ მოინდომეს საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოებში თავისი კაცების გაყვანა. ეს ჯგუფები, ხშირათ მშრომელთა ხელისუფლების მეგობრის ქურქში გახვეულნი, მოხერხებულად ილაშქრებდენ კომფრაქციის, ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის მიერ შემუშავებული საკანდიდატო სიის წინააღმდეგ. ისინი გამოდიოდენ აგრეთვე კრიტიკით, რომელიც წარმოადგენდა სპეკულიაციას საბჭოს ამა თუ იმ შეცდომებზე. მაგრამ ამომრჩეველთა მასა ყველგან შეგნებულათ უხვდებოდა ასეთ არამკითხე „კეთილის მოსურნეთ“ და პირში ჩალა გამოვლებული სტოვებდა მათ.

ასეთია ზოგადათ მიღწევები მიმდინარე წლის არჩევნებში. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს უარყოფითი მოვლენებიც, რომელთაც ადგილი ჰქონდა. მათ აღნიშვნას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება საბჭოების მიმდინარე პრაქტიკულ მუშაობისათვის და მომავალი საბჭოთა არჩევნების მომზადება - ჩატარებისათვის.

პირველყოვლისა აღსანიშნავია, როგორც საარჩევნო კამპანიის ნაკლი—პარტიულ ხელმძღვანელობის სისუსტე, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ თემებში. ამით ისარგებლა კულაკურმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა. მათ ზოგიერთ შემთხვევაში შესძლეს კიდეც საშუალო გლეხკაცობის თავის მხარეზე გადაბირება. მართალია ასეთი ცდები თითქმის ყოველთვის უშედეგოთ თავდებოდა, მაგრამ ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რამდენათ ცუდი შედეგი მოსდევს პარტიულ ხელმძღვანელობის შესუსტებას მიმდინარე ამა თუ იმ საჭირბოროტო კამპანიაში. კერძოთ ამ შემთხვევაში პარტიულ ხელმძღვანელობის სისუსტე უმეტესად შედეგი იყო იმ უმოქმედობის, რომელსაც იჩენდენ ზოგიერთი ადგილობრივი პარტორგანიზაციები ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში და უპარტიო მასის დაახლოვების საქმეში.

გარდა ამისა მიმდინარე არჩევნებმა დაგვანახა, რომ შედარებით წინანდელ წლებთან ქალთა აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ ის მაინც ბევრათ ჩამორჩება მამაკაცთა მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში. ამ ნაკლის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა გაძლიერებულ იქნას ქალთა შორის მუშაობა, განსაკუთრებით,ეროვნულ უმცირესობის დედაკაცთა შორის, რომელნიც წარსულ არჩევნებში განსაკუთრებით ჩამორჩებოდენ მამაკაცებს.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი საბჭოთა არჩევნებში. ესაა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. საზოგადოებრივ ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელთ ზედმეტად მიაჩნდათ საბჭოთა არჩევნებში ჩარევა. ამისათვის მათი აზრით არსებობდა სპეციალური ორგანოები თვით საბჭოს და პარტუჯრედის სახით. ნამდვილად კი, საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში ფართო უპარტიო მასის ჩაბმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას. პარტია ამაზე თავიდანვე მიუთითებდა, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში ეს მითითება ვერ იქნა სისწორით შესრულებული.

მიუხედავათ ყველა ამ ნაკლულოვანებათა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა უკანასკნელი არჩევნები წარმატებით ჩატარდა. საბჭოების შემადგენლობაში გაძლიერდა მუშური ნაწილი ქალაქად და ღარიბ-საშუალო გლეხკაცობის დეპუტატების რიცხვი სოფლად. ახალი საბჭოები უკვე გაცხოველებულ მუშაობაში არიან ჩაბმულნი; საჭიროა ამ მუშაობის პროცესში გადადგმულ იქნას ნაბიჯები საარჩევნო კამპანიაში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად. ამ მიზნით საბჭოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ქალთა მშრომელი მასის პრაქტიკულ მუშაობაში უფრო მეტი რაოდენობით ჩასაბმელათ, ღარიბ გლეხთა ჯგუფების გამოცოცხლება—გამაგრებისათვის და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად.

საბჭოების დღევანდელი სოციალური შემადგენლობა და ის აქტიობა, რომელსაც იჩენდა უკანასკნელ დროს არჩევნებისადმი უპარტიო მასა, იმის თავდებია, რომ ახალი საბჭოები შესძლებენ იმ იმედების გამართლებას, რომლებსაც მათ ამყარებს მთელი მშრომელი მასა.

პაციფისტური ილიუზიების წინააღმდეგ

ომის საფრთხის მოახლოების დროს ჩვეულებრივ ყოველთვის იჩენდა თავს, სხვათა შორის, უხერხემალო პაციფისტური მოძრაობა, რომლის ერთად ერთი აზრი არის მეშჩანურ ფენების ნერვების დამშვიდება და მუშათა კლასის სიფხიზლის მიძინება. ბურჟუაზიული პაციფიზმი, რა თქმა უნდა, არ სცილდება უწყინარ სიტყვებს მშვიდობიანობის დამყარების შესახებ და არავითარ ზომებს არ ღებულობს ომის ასაცილებლად, პირიქით,—ხელს უშლის მასების ორგანიზაციას მის წინააღმდეგ. ეს პაციფიზმი და მით გამოწვეული ილიუზიები მშვიდობიანობის განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი მტერია.

ვინ არ გინდათ ამ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდეს:

მოცლილი „საზოგადო მოღვაწე“, პატივმოყვარე „მაღალი“ წრის „მანდილოსანი“, გაიძვერა ბურჟუაზიული დიპლომატი, კაპიტალის აგენტი და მუშების მოტყუებაში დაგეშილი სოციალ-შეთანხმებლები—ყველა ესენი ერთობიან პაციფისტურ ლაყბობაში და ამ გზით აკეთებენ „საზოგადოებრივ კარიერას“, ან აჭახრაკებენ თავის ბნელ საქმეებს.

გასაგებია, რომ ეხლანდელმა გართულებულმა საერთაშორისო მდგომარეობამაც გამოაცოცხლა პაციფისტური იდეები. ამჟამად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს საკმაოდ სენსაციურ ნაბიჯზე: ამ სამინისტრომ აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ შეერთებული შტატები მზად არიან დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყონ ისეთი შეთანხმების დადების შესახებ, რომლის მიხედვით „ომის სამუდამოდ უკანონოდ ცხადდება“.

ჩრდილოეთი ამერიკა პირველად არ გამოდის „მშვიდობიანობის“ მოციქულის როლში. ყველას ახსოვს ცნობილ ვილსონის „14 მუხლი“, რომლის პაციფიზმში იმალებოდა ამერიკის კაპიტალის მსოფლიო ჰეგემონიის „მშვიდობიანი“ განმტკიცების სურვილი. უკანასკნელ დროიდან გავიხსენოთ თუ გინდა ამერიკელი პროფესორების დეკლარაცია ომის ვალების გაუქმების და ხალხთა შორის თანამშრომლობის განხორციელების შესახებ, ამერიკელ ბანკირების მანიფესტი თავისუფალ ვაჭრობის დამყარების საჭიროებაზე, ამერიკის მთავრობის წინადადება საზღვაო შეიარაღების შესახებ, ბოლოს, მისივე ზევით ხსენებული მიმართვა საფრანგეთისადმი ომის უკანონოდ გამოცხადების შესახებ.

ყველაფერი ეს არის ჩვეულებრივი, მავნე ილიუზიების შემქმნელი პაციფიზმი, უფრო მეტად კი თვალთმაქცობა და ფანდი, რომლის საშუალებით ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს თავის ზრახვების დამალვას და მათ უფრო ადვილად გატარებას. ამერიკის მთავრობა, ისე, როგორც დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობები, სულ უფრო იარაღდება და სამხედრო საქმეზე უდიდეს თანხებს ხარჯავს, ის შეესია პატარა რესპუბლიკა ნიკარაგუას და საერთოდ მუხრუჭს უჭერს სამხრეთ და შუა ამერიკის ქვეყნებს, ამერიკა ჯარებს გზავნის ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლის ჩასახშობად. ასეთია სინამდვილე, ხოლო ამავე დროს ამერიკის მთავრობა გამომდგარა და ომის უკანონოდ გამოცხადების შესახებ ლაპარაკობს, ისიც არა განსაზღვრული ვადით, არამედ „სამარადისოდ“. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ წინადადებას არავითარი რეალური ღირებულება არა აქვს მშვიდობიანობის განმტკიცების საქმისათვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ესაა გამოხატულება ინტერესის იმ გარდაუვალ წინააღმდეგობათა, რომელიც იმპერიალისტურ ევროპასა და ამერიკას შორის არსებობს. მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკა ფინანსიურად დაეუფლა ევროპას და, გარდა ამისა, უკანასკნელის კოლონიების და ბაზრების ჩაგდებას ცდილობს. ასეთ პირობებში მათ შორის ადრე თუ გვიან ომი აუცილებელია და ამას ცხადია, ვერ შეაჩერებს მისი უკანონოდ გამოცხადება.

საერთოდ სრული უაზრობაა, ან ფარისევლობა დიპლომატიური გზით ომის საფრთხის მოსპობაზე ლაპარაკი თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში, როცა ცალკე კაპიტალისტური ჯგუფები და სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ კბილებს ილესავენ, თავიდან ფეხამდე შეიარაღებული არიან და ემზადებიან იმისათვის, რომ ერთმანეთს წაგლიჯონ ბაზრები და მიწა-წყალი და უფრო მძიმე უღელი დაადონ კისერზე ჩამორჩენილ ხალხებს. აშკარაა, რომ მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების დამხობით შეიძლება მშვიდობიანობის განხორციელება.

მიუხედავათ ამისა, მოსალოდნელია, რომ ამერიკის მთავრობის განცხადების გამო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ერთ ხმაურს ასტეხს და ამაში დაინახავს თავისი „სამშვიდობო პროგრამის“ გამარჯვებას. ჩვენ ვიცით, რომ სოციალ-მოღალატენი შემთხვევას არ უშვებენ, რათა პაციფისტური ილიუზიები შთაუნერგონ მშრომელ მასებს. ამერიკის ბანკირების ზევით აღნიშნული მანიფესტი, ეკონომიური კონფერენცია, განიარაღებაზე ლაყბობა და მრავალი სხვა მათთვის ახალი „ზეიმპერიალისტური“ ხანის, მშვიდობიანობის ხანის დასაწყისია. თუმცა კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შენელების ყველა ეს ცდა სამარცხვინო მარცხით თავდება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ ვაჟბატონებს ძველებურად მიჩქმალონ ამ წინააღმდეგობათა გამწვავება და აქედან წარმოშობილი ომის საშიშროება.

ეს ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პაციფიზმი, როგორც ვსთქვით, მუშათა კლასის საქმის სახიფათო მტერია. ესაა ერთი მხრივ საშუალება, რათა სოციალ-დემოკრატიამ თავისი გავლენა შეინარჩუნოს მასსებზე, მეორე მხრივ—შეანელოს მისი რევოლიუციონური ნებისყოფა კაპიტალისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პაციფისტურ ილიუზიების დაუზოგავი მხილება და მასების დარაზმვა ომის საფრთხის შესახვედრათ, მის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის—ასეთია კომპარტიების ძირითადი ამოცანა.

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია

გერმანიაში მიუღებლათ სთვლიან საბჭოთა კავშირის გარემოცვის გეგმას

კომუნისტების გამარჯვება პარიზის მუნიციპალურ არჩევნებში

პოლონეთის გლეხობაში ძლიერდება მოძრაობა პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ

იმპერიალისტები განაგრძობენ ახალ ჯარების გზავნას ჩინეთში

ჩიჩერინის და შტრეზემანის შეხვედრის გამოძახილი

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 13 ივნისი. გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგი“ აქვეყნებს **ბერნგარდტის** წერილს, რომელიც ეხება ჩიჩერინის შეხვედრას შტრეზემანთან.

„შეხვედრას, — სწერს ბერნგარდტი, —მხოლოდ საორიენტაციო საუბრის მიზანი აქვს. ჩიჩერინი და შტრეზემანი არაფერს ამბობენ საუბრის შინაარსის შესახებ. მაგრამ ძნელი არ იყო იმის მიღწევა, რომ ჩიჩერინს კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მან გამოარკვია ყოველგვარი ხმების უსაფუძვლობა.

რუსები დარწმუნებული არიან, რომ ინგლისის მთავრობამ მათ წინააღმდეგ შეიმუშავა ფართო გეგმები. რუსების ეს თვალსაზრისი ძალიან უახლოვდება „ფოსიშე ცეიტუნგი“-ს პოლიტიკურ მიმოხილვაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ლონდონში შექმნილმა ატმოსფერამ წარმოშვა წინასწარი პირობები გამოსვლებისათვის ვარშავაში და სხვა ადგილებში“.

ლონდონის ამბები, — აღნიშნავს ბერნგარდტი, — და ინგლისის პრესის ნაწილის თავაშვებული ტონი, რომელიც ამართლებს მკვლელობას არ აადვილებს კეთილ-გონიერი ვარშაველი პოლიტიკოსების მუშაობას.

ინგლისის მთავრობამ, — განაგრძობს ბერნგარდტი, — **უნდა განმარტოს, რომ რუსების ნოტა პოლონეთის მთავრობისადმი ღირსეულ გამოხმაურებას ჰპოვებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მხრივ.**

ბერნგარდტი შემდეგ ანალიზს უკეთებს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიური ურთიერთობის პერსპექტივებს და იძლევა ამ პერსპექტივების ოპტიმისტურ შეფასებას (ადს).

გერმანიის პოზიცია

ბერლინი, 13 ივნისი. შტრეზემანის ჩიჩერინთან შეხვედრისა და ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნის გამო გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ინგლისის ცდებს მიაღწიოს საბჭოთა კავშირის გარემოცვას; პრესა განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას ინგლისის კამპანიას გერმანია - საბჭოთა ურთიერთობების წინააღმდეგ.

ნაციონალისტური **„დეიჩე ცეიტუნგი,,** სწერს:

„ინგლისს სურს აიძულოს გერმანია შევიდეს რუსეთის საწინააღმდეგო ფედერაციაში იმ მიზნით, რომ საბჭოები დასუსტდენ და პოლონეთი გადაიქცეს დიდ სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლება მეფის რუსეთის ადგილის დაჭერა აღმოსავლეთში“.

გაზეთი ასეთ გეგმებს მიუღებლად სცნობს გერმანიისათვის. უფრო აქტუალურ საკითხად, ვიდრე ინგლისის გეგმას საბჭოთა კავშირის გარემოცვის შესახებ, გერმანიის პრესა სცნობს საკითხს გერმანიის მანევრების შესახებ ინგლისში. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისის და გერმანიის მრეწველების იმ კონფერენციებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად ხდება ბერლინში, და აგრეთვე შტრეზემანსა და ჩიჩერინს შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

პეკინის მთავრობის პროტესტი

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. „ასოშიეიტედ პრესი“-ს სააგენტოს ცნობით, ველინგტონ კუმ პეკინის მთავრობის სახელით პროტესტი განაცხადა ამერიკის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ ტიანძინში (ადს).

საფრანგეთის ჯარები

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. „ასოშიეიტედ პრესი“-ს სააგენტოს ცნობით, ტიან ძინში ინდო-ჩინეთიდან ჩავიდა საფრანგეთის ჯარების რაზმი 500 კაცის შემადგენლობით (ადს).

უთანხმოება ჩან-კაი-შის ბანაკში

შანხაი, 13 ივნისი. „ნორდ - ჩაინა დეილი ნიუსის“ ცნობით, ჩან-კაი-ში ჩავიდა შანხაიში, საიდანაც სასწრაფოთ გაემგზავრა ხანჩჟოუში.

ჩან-კაი-შის მოგზაურობა გამოწვეულია ჩჟან-ძიანის პროვინციის მმართველთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებით.

ანტიიაპონური მიტინგები

შანხაი, 13 ივნისი. შანხაიში გაიმართა ანტიიაპონური მიტინგები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმადე. მიტინგზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს იაპონიასთან ეკონომიურ ურთიერთობის შეწყვეტა, იაპონურ საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადებას და იაპონიაში სურსათ-სანოვაგის გაგზავნის შეწყვეტას (ადს).

კუკის განცხადება

ლონდონი, 13 ივნისი. ბარნსლიში კუკმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„ჩვენ ვდგევართ რუსეთთან ომის გამოცხადების წინაშე. ამის გამო მე მთავრობას უნდა განუცხადო, რომ **თუ ის ომს გამოუცხადებს რუსეთს, მე მოვითხოვ ომის გამოცხადებას მთავრობისათვის. მე მეტი მოვალე ვარ ვუერთგულო საბჭოთა კავშირის მუშებს, რომლებიც ფულს აგროვებდენ ჩვენი ბავშვებისათვის, ვინემ ჩემბერლენს.**

მე მეტი მოვალე ვარ ვუერთგულო მთელი მსოფლიოს მუშებს, რომლებიც ეხმარებოდენ ინგლისელ მემაღაროებს, ვინემ ბოლდუინს, რომელმაც გაგზავნა დეპეშა, რომ ჩაეშალა ამ შემოწირულებათა შეგროვება“. (ადს).

შეერთებული შტატების წინადადება

ვაშინგტონი, 12 ივნისი. ჩრდილოამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრომ მოულოდნელად აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ შეერთებული შტატები მზად არის დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკება, ისეთი შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც ორთავე მხარე ომს სცნობს უკანონოდ ყოველი დროისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კელოგმა ამას წინედ კომენტარიები გაუკეთა ბრიანის სათანადო წინადადებას და განაცხადა, რომ არსებული ხელშეკრულებები საკმაო არის (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 13 ივნისი. პარიზის მახლობლად, ივრში **ქალაქის თვითმართველობის დამატებით არჩევნებში გავიდენ კომუნისტები მარენი, დიუმულენი და ვესტერმაიერი.**

წარსულ არჩევნებთან შედარებით, კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა 20 პროც-ით გაიზარდა.

მუნიციპალიტეტში არჩეული დიუმულენი მეზღვაურია, რომელმაც 4 წელიწადი დაჰყო ციხეში მაროკოს ომის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებისათვის (ადს).

დემონსტრაცია

ბერლინი, 13 ივნისი. **მიუნხენში რამდენიმე კომუნისტური ჯგუფი შეეცადენ დემონსტრაცია გაემართათ ინგლისის და პოლონეთის წარმომადგენლების წინ. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები (ადს).**

ერთა ლიგის საბჭოს სესია

გაყინული ატმოსფერა

ბერლინი, 13 ივნისი. გერმანიის პოლიტიკური წრეები ძალიან პესიმისტურად აფასებენ ერთა ლიგის საბჭოს სესიის პერსპექტივებს. გერმანულ გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ატმოსფერა ჟენევაში „გაყინულია“ და, რომ გერმანიის დელეგაციაზე, ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის გამო, ძალიან ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ჟენევაში.

„ახტ ურ აბენდბლატ“-ის ჟენეველ კორესპონდენტის ცნობით, ერთ გერმანელმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელიც დიდ გავლენას ახდენს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებზე, განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით ფიქრი ზედმეტია საბჭოთა კავშირის მიმართ გერმანიის პოლიტიკის შეცვლაზე.

„დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ“ აცხადებს, თითქოს ჩემბერლენმა ჟენევაში თან წამოიღო საფრანგეთისა და იტალიისათვის წარსადგენად მთელი რიგი წინადადებებისა რუსეთის საკითხის შესახებ და განზრახული აქვს დაწვრილებითი მოლაპარაკების საგნათ გახადოს ეს წინადადებები. მიიღებს თუ არა ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას გერმანია, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

„**გერმანიის სიმპატია,** განაგრძობს გაზეთი, **ეკუთვნის რუსეთის ხალხს, რომელიც ვერსალის უგუნურ ხელშეკრულების წყალობით თითქმის ისევე დაზარალდა, როგორც გერმანიის ხალხი;** უკანასკნელს წაართვეს დიდი მდიდარი პროვინციები და კიდევ სთხოვენ ომის წინანდელ ვალების გადახდას, რომელიც დაიხარჯა უაზრო ომზე გერმანიის წინააღმდეგ“. (ადს).

ნაკლებ მნიშვნელოვანი მოხსენებები და მნიშვნელოვანი საუბრები

ბერლინი, 13 ივნისი. 13 ივნისს, ერთა ლიგის საბჭოს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვანი მოხსენება. დღის მეორე ნახევრის განმავლობაში სხდომები აქვთ მხოლოდ კომისიებს. ამავე დროს გაიმართა შტრეზემანის საუბარი ბრიანთან. საუბრის თემა იქნება საერთაშორისო მდგომარეობა, განსაკუთრებით ევროპაში შექმნილი გამწვავებული მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლით. ამ საუბარში ჩემბერლენი მონაწილეობას არ იღებს. (ადს).

ლონდონის ხელი

ვენა, 13 ივნისი. როგორც მეტად სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, ინგლისის საელჩო ვენაში ცდილობს მთავრობის წრეებში მოახერხოს სავაჭრო ურთიერთობის გაუარესების მიღწევა ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ამას უკავშირებენ ცნობას, რომ გადადებულ იქნა იმ კრედიტების სრული რეალიზაცია, რომლებიც ავსტრიის პარლამენტმა დაამტკიცა, აგრეთვე ხმებს, რომ გაძნელდა კრედიტის რეალიზაცია ვენის მუნიციპალიტეტის მხრივ, რომელმაც წინად დაადგინა კრედიტის გაცემა საბჭოთა დაკვეთების ქვეშ.

ვენის გაზეთების ცნობით, დიდი ფირმის „ნეირატ“-ის კრიზისი აიხსნება არა მარტო ცარცზე ფასის დაცემით, არამედ აგრეთვე მით, რომ ინგლისის ბანკები არ ასრულებენ ამ ფირმისკლბთრდ კები არ ასაღებენ ამ ფირმის თამასუქებს, რომელთა შორის საბჭოთა თამასუქებიც არის. ამის გამო გაზეთები აცხადებენ, რომ „ნეირატი“ ავსტრიის მხრივ პირველი მსხვერპლია, რაც ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლით არის გამოწვეული. (ადს).

პესიმისტური პერსპექტივები

ბერლინი, 13 ივნისი. ჟენევაში გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია. თავმჯდომარეობს **ჩემბერლენი.**

საუბარი, რომელიც სესიის გახსნის დღეს უნდა ჰქონოდა შტრეზემანს ბრიანთან და ჩემბერლენთან, არ შესდგა. **ეს საბუთს იძლევა, რომ პესიმისტურად მიუდგენ ისეთი საკითხების მოწესრიგებას, რომელიც არის საოკუპაციო ჯარების რიცხვის შემცირება გერმანიის ოლქებში ან მოკავშირეთა კონტროლის გაუქმება გერმანიის აღმოსავლეთ სიმაგრეებზე. (ადს).**

„მსოფლიოს თავს დასტრიალებს ომის საფრთხე“

ვენა, 13 ივნისი. სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „არბეიტერ ცეიტუნგ“-მა ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნის გამო გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ომის საფრთხე და ერთა ლიგა“

„მსოფლიოს, სწერს გაზეთი, თავს დასტრიალებს ომის საფრთხე. მთავრობები, რომლებიც ომს ამზადებენ, უარყოფენ ამას, მაგრამ ჯერ არ ყოფილა ისეთი მთავრობა, რომ ამაში გამოტეხილიყოს. ლიგაში შემავალი იმპერიალისტური სახელმწიფოები ჯარებს გზავნიან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში, რომელიც ერთა ლიგის წევრია. არავინ ლიგის საბჭოდან პროტესტს არ განაცხადებს ამ თვალთმაქცობის წინააღმდეგ, არავინ არ იკითხავს, რა სახე მიიღო ლიგამ, როცა მისი გამოჩენილი წევრები ხმალით უსწორდებიან ამავე ლიგის წევრს. ბალკანეთზე გართულებული მდგომარეობაა. იტალია ცდილობს ალბანეთი აქციოს პლაცდარმად სამხრეთ-სლავიის და, როგორც ჩანს, აგრეთვე ოსმალეთის წინააღმდეგ. სამხრეთ-სლავია იარაღს ისხამს თავის მრავალრიცხოვან მეზობლების წინააღმდეგ.

მაგრამ არ გვგონია, რომ სესიამ განიხილოს სამხრეთ-სლავიის და ალბანეთის კონფლიქტი, ვინაიდან დიდი სახელმწიფოები პატარებს პირში ბურთს ჩაჩრიან. ამავე დროს, ისეთი საკითხები, როგორიც არის საბჭოთა ელჩის მოკვლა ვარშავაში და ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა, ერთა ლიგისათვის არ არსებობენ.

პირიქით, ჟენევაში მოქმედობენ ძალები, რომლებიც ცდილობენ პირველი რევოლიუციონური სახელმწიფო ჩამოაშორონ ევროპის საზოგადოებრივობას.

ერთა ლიგა, რომელსაც არ შეუძლია თავისი სიტყვა სთქვას არც ჩინეთის, არც ბალკანეთის, არც ინგლის-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ ავტორიტეტს. მაგრამ ხალხებს სურთ მშვიდობიანობა. ამიტომ დღის წესრიგში სდგას ბრძოლა ერთა ლიგის დაპყრობისათვის და მისი შეცვლა მასების სურვილის განსახორციელებლად. (ადს).
საბჭოთა სპორტსმენების ტშჩძჯ— კლბთრლუე

პილსუდსკის წინააღმდეგ

ოპოზიცია

ვარშავა, 13 ივნისი. მცირე მიწაწყლის მქონე გლეხთა პარტიის — **„ვიზვოლენიეს“ ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს პარტიულ ინსტანციებს გააძლიერონ ოპოზიციური დამოკიდებულება მთავრობისადმი (ადს).**

სროლა მუშათა ყრილობაზე

ვარშავა, 13 ივნისი ვარშავაში გამართულ ტრანსპორტის მუშათა ყრილობაზე, გამოჩნდა რევოლვერებით შეიარაღებული ტრანსპორტის მუშათა ერთი ჯგუფი, რომელმაც სროლა აუტეხა პრეზიდიუმს. დაჭრილია პრეზიდიუმის წევრი.

თავდასხმის მიზეზს წარმოადგენს კონფლიქტი ტრანსპორტის მუშათა ჯგუფსა და კავშირის გამგეობას შორის (ადს);

ლეონ დოდეს დაპატიმრება

პარიზი, 12 ივნისი. დაპატიმრებულია ლეონ დოდე.

შენიშვნა: დოდეს მისჯილი ჰქონდა დაპატიმრება ექვსი თვით, მაგრამ მან უარი განაცხადა დამორჩილებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას და ჩაიკეტა მონარქისტულ გაზეთ „აქსიონ ფრანსეზ“-ის რედაქციაში, სადაც მან მოაწყო ბარიკადები).

ალბანეთ სამხრეთსლავიის კონფლიქტი

ბერლინი, 13 ივნისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგის სამდივნოს ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ მიუხედავათ ალბანეთის მოთხოვნისა, **ერთა ლიგის წესდება არ შეიძლება გავრცელებული იქნას ალბანეთ-სამხრეთ სლავიის კონფლიქტზე,** რომელიც შედეგათ მოჰყვა სამხრეთ - სლავიის საელჩოს თარჯიმანის დაპატიმრებას ალბანეთში, რამაც გამოიწვია ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტა (ადს).

დროშა ლატვიელ სპორტსმენებს

რიგა, 13 ივნისი, საერთაშორისო სპორტიულ დღესასწაულის დაწყების წინ რიგაში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა წითელი დროშა გადასცეს ლატვიის მუშა-სპორტსმენებს.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის მისალმების შემდეგ დროშა გადაეცა ლატვიის მუშათა სპორტიულ კავშირის თავმჯდომარეს. დროშაზე წარწერილი იყო: „ლატვიის და საბჭოთა კავშირის მუშათა ერთიანი სატანთვარჯიშო ფრონტი“. ხალხი აღტაცებით შეხვდა დროშის ჩაბარებას, რომლის დროს შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი.

ხარკოვის ფეხბურთელთა გუნდმა მოუგო ლატვიის მუშა-ფეხბურთელების გუნდს შედეგით 3 : 0.

ფინეთის ტრანსპორტელთა ყრილობა

ჰელსინგფორსი, 12 ივნისი. ფინეთის ტრანსპორტელების ყრილობას ესწრება ტრანსპორტელთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **ედო ფიმენი** და საბჭოთა ტრანსპორტელების წარმომადგენელი **ვლადიმიროვი** (ადს).

საბჭოთა პრესა

პოლიტიკური პასუხისმგებლობა

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამხ. ვოიკოვის მკვლელობისათვის, ინგლისელ კონსერვატორებთან ერთად, აკისრებს პოლონეთის მთავრობასაც. უკანასკნელი ცდილობს თავი დააძვრინოს ამ პასუხისმგებლობას, სხვათა შორის, იმაზე მითითებით, რომ ამხ. ვოიკოვმა პირადი დაცვისაგან უარი განაცხადა. რამდენად მისაღებია ასეთი არგუმენტი? **„იზვესტია“** ამაზე უპასუხებს:

„ეს პასუხისმგებლობა გამომდინარეობს არა იმ ფაქტიდან, რომ პოლონეთის პოლიციამ ვერ შესძლო დაეცვა ამხ. ვოიკოვი მკვლელ თეთრგვარდიელის ტყვიისაგან, არამედ იქიდან, რომ პოლონეთის მთავრობა მფარველობდა ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც საბჭოთა წარმომადგენლების მოკვლას აშკარად აღიარებდენ თავის პროგრამის ძირითად პუნქტად.

თუ ხელისუფლებას აქვს ცნობები ქალაქში ქურდების არსებობის შესახებ, მის ამოცანას სრულებით არ შეადგენს ყველა ბინის დაცვა, რომლებსაც ეს ბრბო შეიძლება დაესხას. ამ შემთხვევაში ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა მდგომარეობს თვით ქურდების ბრბოს დაჭერასა და იზოლიაციაში. მოყვანილი მაგალითი მთლიანად უდგება პოლონეთის მთავრობის მოქმედებას: იცოდა რა ამხ. ვოიკოვზე თავდასხმის მთელი რიგი მზადების შესახებ, პოლონეთის მთავრობა იმ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებთან ბრძოლის მაგივრად, რომლებიც ასე ბლომად მოკალათდენ პოლონეთში, წინადადებას იძლეოდა ჩვენი წარმომადგენლის დაცვის გაძლიერების შესახებ“.

ასეთმა პოლიტიკამ, თეთრგვარდიელების მფარველობის და მათთვის ხელის შეწყობის პოლიტიკამ ბუნებრივად გამოიღო ის ნაყოფი, რომლის მოწმენი ვართ. აქედან—პოლონეთის მთავრობის მიერ მიღებული უკვე ცნობილი ღონისძიებანი არ არის საკმარისი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავიდან მოსაშორებლად. რა არის ამისთვის საჭირო? გაზეთი ამბობს:

„თუ პოლონეთის მთავრობას და პოლონეთის საზოგადოებრივ აზრს ნამდვილად არ სურთ გახდენ ლონდონის პროვოკაციის თანამონაწილენი, თუ მათ ანგარიშში შედის მისწრაფება არ დაანგრიონ, არამედ განამტკიცონ კეთილმეზობლური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, მათ უნდა მოგვცენ თავისი გულწრფელობის ერთად-ერთი დამამტკიცებელი საბუთი. ეს საბუთი შეიძლება და უნდა იყოს ენერგიულად წარმოებული გამოძიება და ბოროტმოქმედების ყველა მონაწილის გამოაშკარავება, მკვლელობის კატეგორიულად და მიუკიბ-მოუკიბავი კიცხვა-დასჯა და, ბოლოს, გადაჭრილი ბრძოლა (არა სიტყვით, არამედ **საქმით**) თეთრგვარდიელ მონარქისტულ და კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან, რომელთაც პოლონეთში ბუნაგი გაიჩინეს“.

მხოლოდ ასეთი გზით შეუძლია პოლონეთის მთავრობას გაიმიჯნოს მკვლელობისა და მკვლელებისაგან, სწორედ ასეთი მოთხოვნა წაუყენა პოლონეთს საკავშირო მთავრობამ თავის უკანასკნელ ნოტაში. ვნახოთ, რამდენად მოიწადინებენ პოლონეთის მესვეურნი ამ მოთხოვნის ნამდვილი დაკმაყოფილებით ვარშავაში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას.

საქართველოს ეროვნული

ამხ. ვოიკოვის მოკვლის შემდეგ

ზალესკი საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტის შესახებ

ბერლინი, 14 ივნისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ჟენეველ კორესპონდენტთან საუბარში პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ზალესკიმ** საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტის გამო განაცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ ნოტა წარმოადგენს ძალიან შესაფერ საფუძველს ინციდენტის მოსაგვარებლად. საბჭოთა მთავრობის პირველი მოთხოვნა, რომ პოლონეთის მთავრობამ დაწვრილებით გამოიძიოს საქმე, გამოარკვიოს და დასაჯოს დანაშავეები და მათი ხელის შემწყობნი, უკვე დაკმაყოფილებულია. დამნაშავეები უკვე გადაეცენ საგანგებო სასამართლოს და გამოძიებაც ძალიან საფუძვლიანად სწარმოებს. მიღებული იყო ზომები იმის გამოსარკვევად, აქვს თუ არა ადგილი შეთქმულებას, და დაპატიმრებულ იქნა ბევრი პირი. მაგრამ არაფერი არ აღმოჩნდა. ჩვენ სრულებითაც არ გვაინტერესებს ის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მოვითმინოთ ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გართულების გამოწვევა. ეს ეწინააღმდეგება პოლონეთის კანონებს და არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაშვებული.

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას — საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობა გამოძიებაში, ამ შემთხვევაში ჩვენი კანონი აშკარა განმარტებას იძლევა ამის შესახებ. ბოროტმოქმედებით დაზარალებულს უფლება აქვს პირადათ მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში და დაასახელოს მოწმეები.

რაც შეეხება მესამე მოთხოვნას ორგანიზაციებისა და ცალკე პირების ტერორისტულ მუშაობისათვის ხელის შეშლის, შესახებ მე უნდა განვაცხადო, რომ ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მიმართულია მეზობელ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩვენში, რასაკვირველია აკრძალულია: თუ ჩვენ საბჭოთა მთავრობა მოგვაწვდის სათანადო მასალას, ჩვენ დაწვრილებით გამოვიძიებთ საქმეს.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებები არ ქმნიან არავითარ დაბრკოლებას და მე ვფიქრობ, რომ ინციდენტი მალე და ადვილად იქნება მოგვარებული. საბჭოთა მთავრობის ნოტა ყოველ შემთხვევაში შემარიგებელ კილოს ატარებს (ადს).

პოლონეთის პრესა და საბჭოთა ნოტა

ვარშავა, 14 ივნისი. პოლონეთის პრესა ისეა განწყობილი, რომ განზრახვა აქვს გამოსთქვას აღშფოთების გრძნობა საბჭოთა კავშირის მეორე ნოტის გამო. პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ პოლონეთის მთავრობა საერთოდ პასუხს არ გასცემს ნოტაზე და საკითხს მოაგვარებს პატეკის საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისართან მოლაპარაკებამდე. პრესა ყოველის მხრივ ხაზს უსვამს ტერორის განახლებას საბჭოთა კავშირში. ოფიციალური „ეპოქა“ აღნიშნავს, რომ პოლონეთის პასუხი საბჭოთა მეორე ნოტაზე გაგზავნილი იქნება რამოდენიმე დღის შემდეგ.

კავერდა გადაეცემა საგანგებო სასამართლოს

ვარშავა, 12 ივნისი. გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ **იმ გამოძიების შემდეგ, რომელიც ვარშავაში და ვილნოში მოახდინეს ვოიკოვის მკვლელობის შესახებ, პროკურორმა დაადგინა კავერდას საქმე გადასცეს საგანგებო სასამართლოს.**

ფიქრობენ, რომ გასამართლება ამ კვირაში მოხდება (ადს).

ჩვეულებრივი თუ საგანგებო სასამართლო?

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობებით, ჟენევაში გამგზავრებამდე პარიზში მყოფმა **ზალესკიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კავერდას საქმეში შეიძლება გამოყენებული იქნეს ორგვარი სასამართლო: ჩვეულებრივი და საგანგებო. საგანგებო სასამართლოს დანიშვნის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო პროკურორს, მაგრამ ამ შემთხვევაში მან უნდა დაამტკიცოს, რომ სრულუფლებიანი მინისტრი, რომელიც მივლინებული იყო ვარშავაში, უნდა ჩაითვალოს პოლონეთის მთავრობის თანამდებობის პირად.

„საქმე იმაშია, სთქვა ზალესკიმ, რომ საგანგებო სასამართლოს დანიშვნა გათვალისწინებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევებისათვის, როდესაც თავდასხმა ხდება პოლონეთის თანამდებობის პირებზე. თუ მიღებული იქნება ასეთი ფორმულა, კავერდა წარსდგება სამი პირისაგან შემდგარ სასამართლოს კოლეგიის წინაშე, რომელიც დანიშნული იქნება წინდაწინ სრულიად დამოუკიდებელ პირებისაგან. ამ შემთხვევაში მას მიუსჯიან სიკვდილით დასჯას, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს მას მხოლოდ ციხეში დამწყვდევა. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს, რომელიც სამოქალაქო მომჩივნის სახით გამოვა პროცესზე, კანონიერი უფლება აქვს პირადათ დაესწროს სასამართლოს სესიებს და მისცეს ბრალდებულს შეკითხვები“.

რუსი მონარქისტების გადასახლება ლატვიიდან

რიგა, 12 ივნისი. გაზ. „სოციალ-დემოკრატს“-ის ცნობით, **ლატვიიდან გადასახლებულ იქნება 5 რუსი მონარქისტი, მათ რიცხვში მონარქისტული გაზეთ „სლოვო“-ს რედაქტორი (ადს).**

კავერდას საქმე

ვარშავა, 13 ივნისი. კავერდას საქმის გარჩევა დანიშნულია 15 ივნისისათვის საგანგებო სასამართლოში. სასამართლოს თავმჯდომარეობს **გუმინსკი,** ბრალმდებელად გამოდის პროკურორი **რუდნიცკი,** იცავენ ვილნოელი ვექილი **ანდრეევი,** პილსუდსკის თავგამოდებული მომხრე **პასხალსკი** და **ეტინგერი.**

„უორკერს პარტი“ ანტი - საბჭოთა კამპანიის შესახებ

ნიუ - იორკი, 13 ივნისი. უორკერს პარტის ცეკამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ანტისაბჭოთა კამპანიას. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ამ კამპანიის ერთ-ერთი შედეგია ვოიკოვის მოკვლა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობას იღებენ იმპერიალისტების საერთო ფრონტში.

ოსმალეთის სამძიმარი

ანგორა, 13 ივნისი. ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ისმეტ-ფაშამ** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს განუცხადა სამძიმარი ვოიკოვის მოკვლის გამო.

ვოიკოვის დაკრძალვის დღეს დროშა პოლონეთის მისიის შენობაზე ანგორაში ძირს იყო დახრილი (ადს).

სამგლოვიარო სხდომა რიგაში

რიგა, 13 ივნისი. ლიტვაში მყოფ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა სამგლოვიარო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ამხ. ვოიკოვის ხსოვნის აღნიშვნისათვის, მოხსენება ვოიკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა **ლორენცმა** (ადს).

როგორ მოჰკლეს ამხ. ვოიკოვი

დამსწრის შთაბეჭდილება

მოსკოვი, 14 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდენ ამხ. ვოიკოვის მკვლელობის დამსწრეები. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა შემდეგი:

„ოჯახური საქმეების გამო, მე მომიხდა მოკლე ხნით ვარშავაში გამგზავრება. საქმე მქონდა ჩვენ სრულუფლებიან წარმომადგენლობაშიაც. ვინახულე ამხ. ვოიკოვი. ამხ. ვოიკოვის კაბინეტს წარმოადგენდა პატარა ოთახი, რომლის მეტი ნაწილი საწერ მაგიდას ეჭირა. მთელს ერთ კედელს ჰფარავდა ამხ. ვ. ი. ლენინის სურათი.

ვოიკოვის თავაზიანობა მთელს ვარშავაში ცნობილია. ვარშავის მშრომელი მოსახლეობა დიდი სიყვარულით იხსენიებს ვოიკოვს. თვით ბურჟუაზიული პრესაც ამხ. ვოიკოვს „ევროპიელ დიპლომატს“ უწოდებს.

გავიდა რამდენიმე დღე მას შემდეგ, რაც მე ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვინახულე. მე უკვე მოვემზადე მოსკოვში გამოსამგზავრებლად. გამოვედი სადგურში, სადაც ამ დღეს ჩვეულებრივი აყალ-მაყალი იყო. უცდიდენ მატარებლის მოსვლას საბჭოთა კავშირის საზღვრისაკენ. ამ მატარებლით ჩამოვიდა პარიზიდან ამხ. როზენგოლცი, რომელიც ლონდონიდან მოსკოვში ბრუნდებოდა.

ამხ. როზენგოლცის შესახვედრათ სადგურში გამოვიდენ საბჭოთა მოქალაქეები, სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლები და ამხ. ვოიკოვი.

მატარებელი უნდა დაძრულიყო; მე გავიჩქარე ბაქანისაკენ. როგორც კი გამოვედი ბაქანზე, მომესმა რევოლვერის ოთხჯერ გასროლა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ორჯერ გაისმა სროლა.

დაიწყო პანიკა. შეშინებული ხალხის ერთი ნაწილი გაიქცა სადგურის შენობისაკენ, მეორე ნაწილი კი გაიყო ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი გარს შემოერტყა ვიღაც ახალგაზრდას, რომელიც აღმოჩნდა ვოიკოვის მკვლელი—ვილნოს გიმნაზიის მოწაფე კავერდა, მეორე ჯგუფი გარს ერტყა სისხლში მცურავ ამხ. ვოიკოვს.

ამხ. ვოიკოვი სადგურის შენობიდან გამოიტანეს, ჩააწვინეს ავტომობილში და გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

სადგურში კვლავ პანიკა სუფევდა. ზოგიერთმა პოლიციელებმა გაავრცელეს ხმები, თითქოს ორი რუსი ერთმანეთს წაეჩხუბა და ერთმა მოჰკლა მეორე! ხალხი გარეკეს. ყველა ღელავდა“.

ამხ. არკადიევი ამხ. ვოიკოვის უკანასკნელ წუთებისშესახებ

მოსკოვი, 14 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პოლონეთში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველი მდივანი ამხ. **არკადიევი** შეეხო ამხ. ვოიკოვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს.

„დაჭრის მომენტიდან, სთქვა ამხ. არკადიევმა, გავიდა ნახევარი საათი მხოლოდ შემდეგ მოვიდა ცნობა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ამხ. ვოიკოვზე თავდასხმის შესახებ. პოლიციას ჩვენთვის არაფერი არ შეუტყობინებია. როზენგოლცმა, რომელმაც წაიყვანა ამხ. ვოიკოვი საავადმყოფოში იქიდან დაგვირეკა ჩვენ დილის 10 ნახევ. საათზე. ამრიგად თითქმის მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ამხ. ვოიკოვს სათანადო საექიმო დახმარება არ მიუღია.

ამხ. ვოიკოვს უკანასკნელ მომენტამდე აზრი არ დაუკარგავს. გვამის განკვეთამ ცხადჰყო რომ ამხ. ვოიკოვი მოკვდა სისხლის დაკარგვისაგან; მას დაუკარგავს 3.600 კუბიკური სანტიმეტრი სისხლი, რაც სასიკვდილოა. არც ერთი მისი ჭრილობა თავის - თავად სასიკვდილო არ ყოფილა“ (ადს).

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ პოლონეთის და საბჭ. კავშ. მთავრობების ნოტებში გაიპარა შემდეგი შეცდომები.

პოლონეთის მთავრობის ნოტის ხელის მოწერაში სწერია: „მიიღეთ რწმუნება ჩემდამი ჩემს უმაღლეს პატივისცემაში“ და სხვა.

უნდა იყოს: მიიღეთ რწმუნება თქვენდამი ჩემს პატივისცემაში“ და სხვა.

საბჭოთა მთავრობის პასუხში; მესამე აბზაცის მე-11 სტრ. სწერია: „საბჭოთა მთავრობა სცნობს შესაძლებლათ“ და სხვა.

უნდა იყოს: „საბჭოთა მთავრობა არ სცნობს შესაძლებლად“ და სხვა.

მეხუთე აბზაცის ბოლოში სწერია: „და საქმით დაუმტკიცდა“ უნდა იყოს: „და საქმით დაუმტკიცებია“.

უკანასკნელ სვეტის მე-3 მუხლში მე-4 სტრ. სწერია: „ბოლო მოუღოს პოლონეთის ტერორისტულ“ და სხვა. უნდა იყოს: „ბოლო მოუღოს პოლონეთის ტერიტორიაზე ტერორისტულ“ და სხვა.

საქ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ლავრენტი ქართველიშვილი

გუშინ, საღამოს რუსთაველის თეატრში შესდგა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის სხდომა თბილისის საბჭოსა და საფაბრიკო - საქარხნო ადგილკომებთან ერთად. სხდომა გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფილიპეს წინადადებით სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საბჭოთა კავშირის ვერაგულად მოკლულ სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის, ტრაგიკულად დაღუპულ ოპანსკის და ახლად გარდაცვლილ საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ივანოვის ხსოვნას.

შემდეგ სესია ისმენს ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენებას საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების დასრულების შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

პროფ. შ. ნუცუბიძის სიტყვა

დღეს,—აცხადებს პროფ. ნუცუბიძე ერთი მეორეს წინააღმდეგ სამკვდრო სასიცოცხლოდ დაპირდაპირებულია ორი ბანაკი, ერთი არის ბანაკი მშვიდობიანი შრომის, აღმშენებლობითი შემოქმედების,—მეორე არის ბანაკი, რომლის დროშაზე აწერია საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და სისხლის ღვრის გაჩაღება მშრომელთა მშვიდობიანი მუშაობის შესაფერხებლად. საბჭოთა კავშირის ძლიერება ორ მთავარ ღერძს ემყარება: თავის მეურნეობას, რომელიც დღითი-დღე იზრდება და ვითარდება და საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა სულიერ სიმტკიცეს. საერთაშორისო ბურჟუაზიასაც ნიშნად შემოღებული აქვს საბჭოთა კავშირის სიმტკიცის ორი მთავარი საფუძველი. ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით მას სურს შეარყიოს და დაანგრიოს ჩვენი მრეწველობა, სახალხო მეურნეობა, ხოლო ტერორისტული აქტებით მას სურს დაარღვიოს ჩვენი კავშირის მშრომელთა სულიერი სიმტკიცე. მაგრამ გაბოროტებული მტრების მიზანი მიუღწეველი დარჩება, რადგან საბჭოთა ხელისუფლება აერთიანებს ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალებს. სხვებთან ერთად მასთან არიან საქართველოს სამეცნიერო ძალები, რომელიც მზათ არის მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოახმაროს ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობას და მის თავდაცვის საქმეს. დასასრულ ორატორი კითხულობს იმ მოწოდებას, რომლითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალები მიმართავენ მთელი ქვეყნის მეცნიერთ. (იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში).

ამხ. ბუშკინის სიტყვა

ამხ. ბუშკინი თავისი წარმოების მუშათა სახელით გამოსთქვამს ულრმეს აღშფოთებას იმპერიალისტების უკანასკნელი პროვოკაციის გამო და აცხადებს, რომ მუშები პირველ მოწოდებისთანავე მზათ არიან დადგენ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.

ამხ. სამ. მგელაძის სიტყვა

დღეს,—ამბობს ამხ. მგელაძე,—ჩვენ მუშები ვამყარებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოთი და მზათა ვართ წინ აღუდგეთ მის ჩასაქოლად წამოსულ მტერს. მხოლოდ ჩვენი ძვლებით მოფენილ მიწაზე შეუძლიათ ჩვენ მტრებს გადმოლახონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრები.

ასეთივე შინაარსის სიტყვას ამბობენ თბილისის სახელოსნოების მუშათა წარმომადგენლები ამხ. ვ. ვაშაძე, ამხ. ნიკერაშვილი და ამხ. კაჯაევი.

ექ. აბაკელიას სიტყვა

დღეს, როცა ყოველ მოქალაქის მოეთხოვება აშკარად განაცხადოს თუ ვისთან არის იგი, ფაშიზმთან, თუ საბჭოთა ხელისუფლებასთან. საქართველოს ექიმები კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ადასტურებენ თავის გადაწყვეტილებას, რომ ისინი არიან და ბოლომდე დარჩებიან საბჭოთა კავშირის მხარეზე, რომ მათ ვერ შეაცდენს ვერავითარი დაპირება იმ პირთა, რომელნიც ცდილობენ წყლის ამღვრევას თავისი პირადი საქმის გასაკეთებლად. (ტაში).

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წარმომადგენლის ამხ. გრიშენკოს სიტყვა

დღეს, როდესაც საბჭოთა დიდი კავშირის ცაზე იკრიბებიან შავი ღრუბლები, როცა მტერი მახვილს ლესავს მშრომელთა ზურგში ჩასაცემად, თქვენ იკითხავთ, თუ როგორია კავკასიის წითელდროშოვან არმიის მდგომარეობა? არის თუ არა იგი მზათ მოსისხლე მტრის შესახვედრად. ნება მიბოძეთ მოგახსენო საქართველოს ხელისუფლებას, რომ წითელი არმია მზათ არის და პირველ მოწოდებისთანავე იგი მახვილით ხელში აღიმართება დიდი კავშირის საზღვრების დასაცავად. წითელი არმია—მტკიცე პოლიტიკური შეგნებით, სამხედრო მომზადებით და საომარი ტეხნიკით, გაამართლებს თქვენს იმედებს. (მქუხარე ტაში).

ამხ. პაოლო იაშვილის სიტყვა

სრულიად საქართველოს მწერალთა და ხელოვანთა კავშირის სახელით,—ამბობს პ. იაშვილი,—ვაცხადებ, რომ ქართული ხელოვნება სულით და გულით არის ხელისუფლებასთან. ქართულ ხელოვნებას ურჩევნია ერთი უბრალო აგური საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის ასაშენებლად მოტანილი, ვიდრე ის სისხლიანი სამოთხე, რომელსაც ქართველ ხალხს პირდებიან. გამოცდილება ჩვენ უფლებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ქვეყანაზე არ არის მეორე სახელმწიფო, რომელიც ისე იღვწოდეს ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი სალამი მშვიდობიან, მაგრამ თავდაცვისათვის მზათ საბჭოთა მთავრობას! (ტაში).

ამხ. ფილიპეს საბოლოო სიტყვა

აქ გამოსულ მუშათა ორგანიზაციების და სამეცნიერო კულტურულ ძალების წარმომადგენელთა სიტყვები ამტკიცებენ, რომ ვცდებით არა ჩვენ, არამედ ცდებიან ჩვენი მტრები, როცა ფიქრობენ დასძლიონ ის მტკიცე კავშირი, და ერთსულოვნება, რომლის მოწმენი ჩვენ აქ გავხდით. არა ისინი, არამედ ჩვენ ვიქნებით მათი მესაფლავენი, და ისინი, ვინც სთესენ ქარს, მოიმკიან ქარიშხალს. (მქუხარე ტაში).

ამხ. ფილიპეს საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიამ, თბილისის საბჭოსა და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად მოისმინა რა საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ შრომის უდიდესი რესპუბლიკა, რომელმაც საშინელი დაბრკოლებანი გადალახა თავის არსებობის გზაზე, ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

კაპიტალისტური ქვეყნები, რომელთაც ღრღნის ამ ქვეყნებში არსებული წინააღმდეგობანი, დღეს კვლავ აწყობენ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგანაც საბჭოთა კავშირში ბურჟუაზიული ქვეყნები ხედავენ ყველა უბედურებათა წყაროს, რომელიც მათ დაატყდათ ამ უკანასკნელ დროს.

უკანასკნელი დამარცხებებით გაცოფებული მებრძოლი იმპერიალიზმი აძლიერებს გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ლამობს საბჭოთა კავშირის—ამ მსოფლიო შრომის კერისა და პროლეტარული რევოლიუციის დედა ბოძის დანგრევას. პეკინის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე და ლონდონის სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმა, ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში, უნდა ჩაითვალოს მსოფლიო იმპერიალიზმის პოლიტიკის უდიდეს აგრესიულ ნაბიჯათ, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომელსაც მეთაურობს ახალი მსოფლიო ომის წამომწყები—ინგლისი.



ამხ. ლავ. ქართველიშვილი

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

მსოფლიო მშრომელი მასების აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ინგლისის ბურჟუაზიის თავხედობამ, მუშათა და გლეხთა რიგების ფოლადისებური სიმტკიცე და ერთსულოვნება საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად და აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ეს მასები ეწევიან მშენებლობის ყოველ დარგში, —უნდა ჩაითვალოს უდიდეს თავდებათ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

სრულიად საქართველოს მეორე სესია მოუწოდებს საქართველოს მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ—მტკიცედ შემოკრბენ მუშათა და გლეხთა მთავრობის გარშემო და ყოველმხრივ დაეხმარონ მშვიდობიან შრომის დასაცავად, უყოველგვარო დახმარება გაუწიონ მას ეკონომიური სიძლიერის განსამტკიცებლად და ოდნავადაც არ შეასუსტონ მუშაობა ჩვენი მეურნეობის აღორძინებლად.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, ეყრდნობა რა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და დაჩაგრულ ერებს, რომელნიც უდიდეს ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ,—შესძლებს ღირსეული პასუხი გასცეს როგორც საერთაშორისო, ისე შინაურ კონტრ-რევოლიუციას.

სახელოვან წითელარმიისა და მუშათა და გლეხთა ერთსულოვანი დახმარებით, ჩვენ შევძლებთ ჯეროვანი პასუხი გავსცეთ ყველა მათ, ვისაც დღემდე არ უარყვია პროლეტარიატის დიქტატურის დამხობის იდეა; ჩვენ გამოვალთ გამარჯვებული ამ ახალ [illegible] მიუხედავად საერთაშორისო იმპერიალისტური მტაცებელთა და მათი ყურ-მოჭრილ მონის—საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმის ცდისა.

ვაი მათ, ვინც გაბედავს მახვილი აიღოს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის დიქტატურამ არ იცის შებრალება მაშინ, როდესაც მის წინააღმდეგ ირაზმება კონტრ-რევოლიუცია.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს.

გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურის ერთგულ და ფხიზელ დარაჯს—წითელ [illegible]

ამხ. ა. თათარიშვილის წინადადებით მოხსენება ფასების დაკლების შედეგების შესახებ სესიამ დღის წესრიგიდან მოხსნა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

ამხ. შალვა ელიავას ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩევის გამო, სესია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევს ამხ. ლავრენტი ქართველიშვილს. მთელი დარბაზი ამხ. ქართველიშვილის თავმჯდომარეთ არჩევას მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

ამით დასრულდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია.

რა ხდება უცხოეთში

„საშინელი და საშიშარი კომედია“

ამ სათაურით რეველის გაზეთ „რახვასენა“-ში მოთავსებულია კორესპონდენცია კოვნოდან, რომელიც ხატავს საკმაოდ ნათელ სურათს იმისას, თუ რა ხდება ლიტვაში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ. მოგვყავს კორესპონდენციის ყველაზე საგულისხმო ადგილები.

„კოვნოში,—სწერს კორესპონდენტი,—მე ვინახულე ის წრეები, რომლებიც აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას ვოლდემარასის დიქტატურის წინააღმდეგ. ევროპიელებისათვის ძნელი გასაგებია ლიტვის ამბები. ის ვინც ფიქრობს, რომ იქ დამყარდა ტიპიური ფაშიზმი, სცდება. იდეომი შესახედათ მაინც ემყარება ერთგვარ იდეოლოგიაზე და განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფენებზე. ლიტვაში კი არაფერ მსგავს რამეს ადგილი არა აქვს: ლიტვის ეხლანდელი ხელისუფლები მოკლებული არიან ყოველგვარ საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ იდეოლოგიას — ისინი ანხორციელებენ მხოლოდ პირადძალადობას გადატრიალებაში ხალხს არ უთამაშია არავითარი როლი, თუგინდ დეკორატიული გადატრიალების მთელი ისტორია და ვოლდემარას - სმეტონას მთელი მთავრობა რაღაც ფარსია და მეტი არაფერი. მაგრამ ამ ფარსის გამო იტანჯებიან ათასები, რომლებიც ციხეებში სხედან.

გადატრიალებამ გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ თვით წინანდელი მთავრობის შემადგენლობაში იყვნენ მოღალატეები. მაგალითად, გამორკვეულია, რომ სამხედრო მინისტრმა პაპეცკისმა იცოდა გადატრიალების მზადების შესახებ და არავითარი ზომები არ მიიღო შეთქმულების წინააღმდეგ.

ვოლდემარასის მთავრობას არა აქვს დასაყრდენი არც ერთ საზოგადოებრივ კლასში. მას შემდეგ, რაც მთავრობიდან გავიდნენ ქრისტიანული დემოკრატები, მთავრობამ დაჰკარგა ყოველგვარი საზოგადოებრივი საძირკველი. იგი წარმოადგენს განხორციელებას პირადი რეჟიმისას, მოკლებულს ყოველგვარ კონტროლს. მთავრობა არსებობს მხოლოდ მასების პასიურობის წყალობით.

გაზეთებზე დაწესებულია სულელური და მკაცრი ცენზურა. პრესას არა აქვს უფლება შეეხოს პოლიტიკურ საკითხებს და გააკრიტიკოს მთავრობა. წინათ გაზეთები, ცენზურის გამო, თეთრი ზოლებით გამოდიოდენ, ახლა ესეც აკრძალულია.

მთავრობა აწყობს ხულიგნურ ძარცვა - გლეჯას. გამორკვეულია, რომ ძარცვა ხდება სამხედრო უწყების ბრძანებით. პროფკავშირების ბელადები ციხეში სხედან. მენშევიკებიდან არავის დაუხვრეტიათ, რადგან მთავრობა ფიქრობს, რომ სოციალისტები კიდევ გამოადგებიან მას. ხვრეტენ მხოლოდ კომუნისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბრძოლას ვოლდემარასის დიქტატურის წინააღმდეგ. კომუნისტები ძლიერდებიან. გადატრიალების რეალური შედეგია — კომპარტიის გაძლიერება. კომუნისტები თუმცა არალეგალურად მუშაობენ, მაგრამ ეს მუშაობა მნიშვნელოვან ნაყოფს იძლევა“.

ოპოზიციის ზრდა გერმანიის მენშევიკური ახალგაზრდობის კავშირში

ოპოზიცია გერმანიის მენშევიკური ახალგაზრდობის კავშირში შეუჩერებლად იზრდება. ამას მოწმობს მთელ რიგ ადგილობრივი ორგანიზაციების გამოსვლა, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში. ჰაგენის ოლქში, მიუხედავათ რეფორმისტული ლიდერების წინააღმდეგობისა და გარიცხვის მუქარისა, ხუთმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოიწვია კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 57 დელეგატი და მრავალრიცხოვანი სტუმრები. კონფერენციამ აირჩია მოქმედების დროებითი კომიტეტი, რომელსაც დაევალა შემდეგი ამოცანების განხორციელება: შეთანხმებული გამოსვლები ლეიპციგის ოპოზიციასთან ერთად, მოთხოვა იმის, რომ გერმანიის ს.-დ. ახალგაზრდობის კავშირი გამოვიდეს ახალგაზრდობის სრულიად გერმანიის კავშირიდან (—ე. წ. „ახალგაზრდობის რესპუბლიკანური“ კავშირი), მუშა - ახალგაზრდობის სრულიად გერმანიის კომიტეტის მოწყობა, ახალგაზრდობის ყველა პროლეტარული (მათ რიცხვში კომკავშირისაც) ორგანიზაციების გაერთიანება ადგილებზე, შეთანხმებული ბრძოლა ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ, სოლიდარობა რევოლიუციონურ ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან.

დასავლეთ საქსონიაში ს.-დ. პარტიის და ს.-დ. ახალგაზრდობის კავშირის ოპოზიციამ ლეიპციგში მოიწვია კრება რეფორმისტებთან ბრძოლის საკითხების განსახილველად. ამ ამოცანებთან დაკავშირებით ოპოზიციამ მიმართა ლეიპციგის მუშებს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია: „პროლეტარული ოპოზიცია ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირში და სოციალ - დემოკრატიულ პარტიაში განიცდის სასტიკ დევნას არა მარტო რეფორმისტული ზედა-ფენების, არამედ ისეთი „მემარცხენე“ ბელადების მხრივაც, როგორიც არის ზაიპე, ლიპინსკი და სხვ.

ვესტფალიის სამრეწველო რაიონში მოწვეულ იქნა ს.-დ. ახალგაზრდობის კავშირის ოპოზიციის კონფერენცია, რომელმაც გადასწყვიტა მოიწვიოს ოპოზიციისა და კომკავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია. ასეთი გაერთიანებული კონფერენცია უკვე შესდგა. მასზე არჩეულ იქნა პარიტეტული კომიტეტი, რომელსაც დაევალა მოუწოდოს პროლეტარულ ახალგაზრდობას ბრძოლისაკენ შემდეგი მოთხოვნილებების წამოყენებით: „ახალგაზრდობის მილიტარიზაციის, ფაშიზმისა და საომარი საფრთხის, რეაქციონური სასკოლო პოლიტიკის და წარმოებებში მუშა ახალგაზრდობის ყვლეფის წინააღმდეგ“.

კომიტეტს დაევალა აგრეთვე დაიჭიროს კავშირი ვესტფალიის ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებთან და დაამყაროს მათთან ერთიანი ფრონტი. ოპოზიციის ზრდამ ახალგაზრდობის ს.-დ. კავშირის რიგებში გამოიწვია რეპრესიები რეფორმისტული ბელადების მხრივ. ლიუბეკში მოწვეული იქნა სოც. - დემოკრ. ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის სასწრაფო კრება, რომელზედაც, ოპოზიციის მომხრეობისათვის კავშირიდან გარიცხეს 6 თანამდებობის პირი. საბაბათ ამ ექვსი კაცის გარიცხვისათვის გამოიყენეს ის ფაქტი, რომ მათ ახალგაზრდობის სახლიდან გამოჰყარეს „რესპუბლიკანური დროშის“ (ბურჟუაზიული ორგანიზაცია არის) პლაკატები და გულზე წითელ ნიშნებს ატარებდენ. ფრანკფურტში (მაინზე) სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის კრებამ 45 ხმით 24-ის წინააღმდეგ კავშირიდან გარიცხა ოპოზიციონერი ვილიგოლი იმისათვის, რომ პირველ მაისს მან მონაწილეობა მიიღო კომკავშირის დემონსტრაციაში. კრების მონაწილეთა ნაწილმა თანაგრძნობა გამოუცხადა გარიცხულ ამხანაგს და გავიდა კავშირიდან.

ს.-დ. ახალგაზრდობის კავშირის რეფორმისტული ზედა - ფენების ამ პოლიტიკამ გამოიწვია კავშირის წევრთა შემცირება. ოფიციალური ცნობებით, 1925 წ. პირველი აპრილისათვის კავშირში ითვლებოდა 95.000 წევრი, 1926 წ. პირველი მაისისათვის — 69.000 და 1927 წ. 1-ლი იანვრისათვის მხოლოდ 56.239.

ა. ვ.

მუშათა მოძრაობა

არალეგალური მუშათა პრესა იტალიაში

უკანასკნელ ხანებში, მიუხედავათ არაჩვეულებრივად მძიმე პირობებისა, იტალიაში შეიმჩნევა არალეგალური მუშათა პრესის სწრაფი ზრდა. როცა 1926 წ. ნოემბერში ფაშისტურმა მთავრობამ აკრძალა მთელი არაფაშისტური პრესა და დაშლილად გამოაცხადა ყველა არაფაშისტური პარტიები, რეფორმისტული პარტიები (მაქსიმალისტები, უნიტარიები, სინდიკალისტები და სხვ.) არც კი ცდილან, რომ არალეგალური სახით აღედგინათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები. თავიანთი საგამომცემლო მოღვაწეობა და თავიანთი პარტიული აპარატი მათ მთლიანად გადაიტანეს ემიგრაციაში (საფრანგეთში, ბელგიაში და სხვ. ქვეყნებში).

მხოლოდ კომუნისტური პარტია და ქვედა საფეხურის პროფორგანოების ინიციატივით აღდგენილი შრომის საყოველთაო ფედერაცია (რომლის ძველმა ბელადებმა აშკარათ უღალატეს მუშათა კლასს, გადავიდნენ ფაშისტების მხარეზე და დაშლილათ გამოაცხადეს კონფედერაცია) ენერგიულ ზომებს იღებენ, რომ უზრუნველყონ მუშათა პრესის გამოცემა.

ამჟამად ახლად შექმნილმა შრომის საყოველთაო კონფედერაციამ განაახლა გამოცემა თავის ძველი ორგანოსი — „ბატალიე სინდიკალი“ („პროფკავშირული ბრძოლები“), რომელიც წინად მემარჯვენე ლიდერების ხელში იყო. მიუხედავად გამოცემისა და გავრცელების არალეგალური პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსიური რესურსები, რომელიც უმთავრესად მუშათა შემოწირულებიდან შესდგება (მუშები გარდა ამისა ვალდებული არიან განსაზღვრული თანხა გადასდონ ფაშისტური პროფკავშირების სასარგებლოდ გარეშე იმისა სურთ თუ არა მათ ამ კავშირების წევრობა), „ბატალიე სინდიკალი“ იმავე რაოდენობით ვრცელდება, როგორც ლეგალობის პერიოდში.

კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ—„უნიტა“-მ დაუყოვნებლივ, აღკრძალვის შემდეგ, იწყო არალეგალურად გამოსვლა, იწყო გამოსვლა პატარა ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ფურცლების სახით. რამდენიმე ხნის შემდეგ, გაზეთზე დიდი მოთხოვნილების გამო „უნიტა“ გადავიდა ბეჭდვის ტიპოგრაფიულ წესზე და ახლა გამოდის დიდი გაზეთის ფორმატით. მისი ტირაჟი სჭარბობს ლეგალურ „უნიტა“-ს ტირაჟს, ე. ი. 25.000 აღემატება. გარდა ამისა რეგულიარულად გამოდის „ავანგარდია“—იტალიის კომკავშირის ც. კ. ორგანო, „კომპანია“ — მუშა და გლეხ - ქალთა ცენტრალური ორგანო, „ილ ფანჩულო პროლეტარიო“—პიონერების ჟურნალი, „ლა სოლიდარიეტა პროლეტარია“ — რემედასის იტალიის სექციის ბიულეტენი, „ილ გოლიერ - დო როსსო“ —რევოლიუციონურ სტუდენტების ორგანო, „ილ გალეტო როსსო“ („წითელი მამალი“)— პროლეტარული იუმორისტული ჟურნალი.

ამას გარდა, მსხვილ წარმოებებში რეგულიარულად გამოდიან გაზეთები ორ ან ოთხ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ ფურცლების სახით. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად გაზ. „პორტონგონე“ — ფიატის საავტომობილო ქარხნების მუშების ორგანო—რამდენიმე ათასი ცალის რაოდენობით ვრცელდება. კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების უმრავლესობა სცემს თავის არალეგალურ ორგანოებს, რომლებიც სწრაფად უმჯობესდებიან როგორც ტეხნიკის, ისე შინაარსის მხრივ. იზრდება აგრეთვე მათი ტირაჟი.

ჩრდილოეთ - იტალიის სლოვენებით დასახლებულ რაიონებში და აგრეთვე სამხრეთ-ტიროლის იმ ოლქებში, რომლებიც იტალიის მფლობელობაში გადავიდა ომის შემდეგ, გამოდის არალეგალური ფურცლები და გაზეთები ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალურ ენებზე.

იმ პოლიციური პირობების დასახასიათებლად, რომელშიც უხდება არსებობა არალეგალურ მუშათა პრესას, საკმაო არის აღვნიშნოთ, რომ არალეგალური ფურცლებისა და გაზეთების არა მარტო ბეჭდვისა და გავრცელებისათვის, არამედ წაკითხვისათვისაც „დამნაშავეს“ პასუხისგებაში აძლევენ და მის საქმეს არჩევს საგანგებო ფაშისტური ტრიბუნალი. ამ ახალი სახის „დანაშაულობა“-ს უკვე მოჰყვა სასამართლოს რამდენიმე პროცესი, რომლებიც არალეგალურ კომუნისტური და პროფკავშირული ფურცლების მკითხველებისა და გამვრცელებლებისათვის მკაცრი განაჩენით — 3-7 წლის ციხით დასრულდა.

თუ რამდენათ პოპულარულია არალეგალური გამოცემები, ამას მოწმობს სია შემოწირულებათა, რომელსაც მუშა - მკითხველები, მოსამსახურეები და გლეხები იღებენ არალეგალური პრესის ფონდის გასაძლიერებლად. თავის თავად ცხადი, რომ შემოწირულთა სია, პოლიციური რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით არ იბეჭდება. მაგრამ, რათა მუშებმა იცოდენ, რომ მათმა შემოწირულებამ დანიშნულ ადგილას მიაღწია, სიას დართული აქვს ის პაროლი, რომლითაც მუშებმა გამოგზავნეს შეკრებილი თანხა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს (რომლებიც ამოღებულია არალეგალურ კომუნისტურ „უნიტა“-ს 28 აპრილის ნომრიდან): „გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუცია“-ს—5 ლირა (ლირა—8 კაპ.), „სალამი ამხ. გრამშის, ტერაჩინის და ფაშიზმის სხვა ტყვეებს“ — 8 ლირა 40 ჩენტეზიმო (ჩენტეზიმო—ერთი ლირის მეასედია), „გაუმარჯოს ლენინიზმს“ — მუშა - ქალების ჯგუფისაგან—17 ლირა, „დავიცვათ ჩინეთის რევოლიუცია და საბჭ. კავშირი“ — მაქსიმალისტისაგან—10 ლირა, „ძირს შავბლუზიანები“, გაუმარჯოს კომპარტიას“ — ფაშიზმთან ბრძოლის მეთაურს“ — ყოფ. „ავანტი“-ს ყოფ. მკითხველებისგან—12 ლირა, და სხვ. ამ კაპეიკებით „უნიტა“-მ მხოლოდ მაისის პირველ ნახევარში შეკრიბა 7.000 ლირა. შემომწირველთა სია მოწმობს, რომ არალეგალური პრესა გავრცელებას პოულობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, მას ეტანებიან რეფორმისტული გაზეთების ყოფ. მკითხველი მუშები და აგრეთვე წვრილ - ბურჟუაზიულ ორგანოების მკითხველებიც.

უკანასკნელი ცნობები

რა არის გაფიცვა და ლოკაუტი

ლონდონი, 13 ივნისი. თემთა პალატაში განახლდა კანონპროექტის განხილვა პროფკავშირების შესახებ. უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ცნობები—გაფიცვა და ლოკაუტი. (ადს).

ამხ. როზენგოლცის გამგზავრება ვარშავაში

მოსკოვი, 14 ივნისი. პოლონეთის საგანგებო სასამართლოს მოწვევის თანახმად ამხ. როზენგოლცი 14 ივნისს გაემგზავრა ვარშავაში, სადაც იგი მოწმეთ გამოვა სასამართლოში ამხ. ვოიკოვის მკვლელობის საქმის გარჩევის დროს.

პროფ. ტარასევიჩის გარდაცვალება

მოსკოვი, 14 ივნისი. 12 ივნისს დრეზდენში გარდაიცვალა გამოჩენილი ბაქტერიოლოგი და ეპიდემიოლოგი პროფ. ტარასევიჩი, რომელიც ცნობილი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

გემი „ამხანაგი სტალინი“

ლენინგრადი, 14 ივნისი. დამთავრდა საბჭოთა გემის „ამხანაგი სტალინი“-ს აგება. გამოცდამ კარგი შედეგები მოიტანა. გემი დაიწყებს საცდელ ნაოსნობას. (ადს).

„დეილი ნიუზ“ ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ლონდონი, 14 ივნისი. ლიბერალური „დეილი ნიუზ“ ეხება საბჭოთა მთავრობის ნოტას პოლონეთისადმი და აცხადებს:

„საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება, რომ პოლონეთიდან განდევნილ იქნენ ის პირები, რომლებიც შეთქმულებებს აწყობენ საბჭოების წინააღმდეგ, არ არის საფუძველს მოკლებული. შესაძლებელია გამონახულ იქნეს ფორმულა, რომლითაც ორივე მხარე დაკმაყოფილდება“. (ადს).

ინგლისი და ეგვიპტე

ლონდონი, 13 ივნისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში და ეგვიპტის პრემიერი სარვატ-ფაშა შეთანხმდნენ იმაში, რომ ხელახლა მოახდინონ ნოტების გაცვლა-გამოცვლა, რაც ბოლოს მოუღებს ეხლანდელ კრიზისს. (ადს).

საქმეს აჭიანურებენ

ლონდონი, 13 ივნისი. 15 საბჭოთა მოქალაქის საქმის გარჩევა კიდევ ერთი თვით გადასდეს, ვინაიდან დოკუმენტარულ მასალების განხილვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. პირველად საქმის გარჩევა უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 9 ივნისისა. (ადს).

თაგორი საბჭოთა კავშირში მოემგზავრება

ლენინგრადი, 14 ივნისი. მადრიდიდან მიღებულია რაბინდრანატ თაგორის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის მოემგზავრება საბჭოთა კავშირში საბჭოთა მეცნიერების და კულტურულ ცხოვრების გასაცნობად. (ადს).

არჩევნები პრუშკოვში

ვარშავა, 13 ივნისი. პრუშკოვში, რომელიც ვარშავის მახლობლად მდებარეობს, ხელმეორე მუნიციპალურ არჩევნების შედეგები ასეთია: მუშათა მემარცხენე ფრთამ მიიღო 10 მანდატი, პეპეესოველებმა—2, პილსუდსკის მომხრეებმა—1, მემარჯვენე პარტიების ბლოკმა—10, იმ პირველ არჩევნებთან შედარებით, რომელიც იმიტომ გააუქმეს, რომ მუშათა მემარცხენე ფრთამ მიიღო 11 მანდატი, მუშათა მემარცხენე ფრთამ მიიღო 400 ხმით მეტი, ხოლო პეპეესოველებმა—30 ხმით ნაკლები. მუშათა მემარცხენე ფრთის მიერ ერთი მანდატის დაკარგვა აიხსნება ყველა მემარჯვენე პარტიების მიერ ბლოკის შეკვრით. (ადს).

ედო ფიმენი საერთაშორისო მდგომარ. შესახებ

ჰელსინგფორსი, 12 ივნისი. მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც ჰელსინგფორსში გაიმართა ედო ფიმენმა წარმოსთქვა სიტყვა.

„მუშათა კლასის მდგომარეობა მთელ მსოფლიოში, — სთქვა ფიმენმა,—უკანასკნელ წლებში ძალიან გაუარესდა იმის გამო, რომ კაპიტალისტები შეტევაზე გადმოვიდენ. **ერთად-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, სადაც ხელისუფლების სათავეში არის პროლეტარიატი**“.

ფიმენი შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ხაზი გაუსვა ახალი ომის საფრთხეს. ფიმენმა მუშათა კლასს მოუწოდა, რომ ომის მომზადებას უპასუხოს პროლეტარიატის გაერთიანებით.

„ეხლა, — სთქვა ფიმენმა, — **უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე აუცილებელია ბრძოლა მთლიანი ფრონტისათვის, რომლის საძირკველი ჩაყრილია ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის შექმნით**.

ფიმენის შემდეგ გამოსულმა საბჭოთა ტრანსპორტელების წარმომადგენელმა ვლადიმიროვმაც მოუწოდა მუშათა კლასს, რომ მან მთლიანობა განახორციელოს საერთაშორისო მასშტაბით.

ფიმენის და ვლადიმიროვის გამოსვლას ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ (ადს).

შავი ბუდიდან



(„იზვესტია“)

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კოსტის და რინის გადაფრენა

მოსკოვი, 14 ივნისი. 13 ივნისს ცენტრალურ ჰაეროდრომიდან მოსკოვიდან პარიზში გადაფრინდენ ფრანგი მფრინავები კოსტი და რინი. 13 ივნისს მიღებულ იქნა ცნობა, რომ მფრინავები დაეშვნენ საბჭოთა საზღვართან, მინსკის რაიონში. ფიქრობენ, რომ დაშვება გამოწვეულია მატორის გაფუჭებით. (ადს).

ფაბრიკა-ქარხნების დაცვის გაძლიერება

მოსკოვი, 14 ივნისი. ციმბირის საოლქო აღმასკომმა სახელმწ. პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებს დაავალა გააძლიერონ ფაბრიკების, ქარხნების და ტრანსპორტის დაცვა ციმბირში და მოსთხოვა სახელმწ. პოლიტსამმართველოს სასტიკად დასაჯოს კონტრ-რევოლიუციონერები (ადს).

აეროპლანების აგება

მოსკოვი, 14 ივნისი. ციმბირის ავიაქიმი შეუდგა პირველი აეროპლანების აგებას ესკადრილიისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

ნავთის წყაროების გამოკვლევა სახალინში

მოსკოვი, 14 ივნისი. ჩრდილოეთ სახალინში ჩამოვიდა გეოლოგიური კომიტეტის ექსპედიცია ნავთის წყაროების გამოსაკვლევათ.

მომავალ წელში დაიწყება სახალინის ნავთის ექსპლოატაცია. (ადს).

უკრაინა

ხარკოვის ექიმთა საზოგადოების დადგენილება

ხარკოვი, 14 ივნისი. ხარკოვის ექიმთა საზოგადოების სასწრაფო პლენუმმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. დადგენილ იქნა ხარკოვის ექიმთა საზოგადოებასთან მოეწყოს ექიმთა სპეციალური კურსები და ლაბორატორია გაზების მოქმედების შესასწავლად. (ადს).

ამხ. ივანოვის ცხედარი კიევში

კიევი, 14 ივნისი. მოსკოვიდან ჩამოასვენეს ამხ. ივანოვის ცხედარი. ამხ. ივანოვის დასაფლავების დღე, კიევში საგლოვიარო დღეთ არის გამოცხადებული. (ადს).

საფეიქრო მრეწველობა

მოსკოვი, 13 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ თათბირზე ამხ. **სერებროვსკის** თავმჯდომარეობით მოსმენილი იქნა საფეიქრო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საინფორმაციო მოხსენება ბამბის მრეწველობაში კაპიტალურ მშენებლობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო ბამბეულის ქარხნების მშენებლობას ამიერკავკასიაში და აღნიშნა, რომ ყველაზე საინტერესოა ლენინაკანის ფაბრიკის აშენება, რომელიც მოწყობილი იქნება გერმანიიდან შემოტანილი მანქანებით. დღემდის მთელი საფეიქრო მოწყობილობა შემოდიოდა ინგლისიდან. საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველო ფიქრობს, რომ ფაბრიკა ამუშავება შესაძლებელი იქნება 1928 წლის დასაწყისში. შემდეგ მომხსენებელი შეეხო განჯის ფაბრიკას და აღნიშნა, რომ თუმცა ფაბრიკაში ნაცვლად 33.000 თითის-ტარისა მოწყობილი იქნება 66.000 თითისტარი, მაინც მუშაობა მიმდინარე წელს დამთავრდება. მშენებლობა ძალიან ინტენსიურად სწარმოებს. თათბირმა აღნიშნა, რომ საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის განცხადების თანახმად ბამბის მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არავითარი შეფერხება მიმდინარე წელს მოსალოდნელი არ არის. (ადს).

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

მოსკოვი, 13 ივნისი. მთელ რიგ ადგილებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ გაცხოველებით მიმდინარეობს შემოწირულებათა აკრეფა საჰაერო ესკადრილიის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ სასარგებლოდ.

ურალში მუშები აგროვებენ თანხებს „ურალსკი რაბოჩის“ ასაგებად. ომსკის სას.-სამ. მანქანების დამამზადებელი ქარხნების მუშებმა დაადგინეს სამი თვის განმავლობაში იხადონ თავის სამუშაო ხელფასის ერთი პროცენტი. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ტვერის სავაგონო ქარხნის მუშებმა. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

გამომგონებელთა ბიუროში

ბაქო, 14 ივნისი. აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ გამომგონებელთა ბიუროში მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში შემოვიდა 50 გამოგონება: აქედან 21 ეკუთვნის მუშას, 17 ინჟინრებს. ნავთის მრეწველობის დარგში ბევრი მიზანშეწონილი გამოგონებაა წარმოდგენილი (თვითმბრუნავი, ღრმა საქაჩავის მამოძრავებელი მანქანა და სხვ.).

გამომგონებელთა ბიურომ წამოაყენა საკითხი ბაქოში მუშ. გამოგონების მუზეუმის მოწყობის შესახებ (ადს).

სპარსეთის ბამბა

ბაქო, 14 ივნისი. სპარსეთის მებამბეობის სამმართველოს ცნობებით, ბამბის საერთო მოსავალი წელს სპარსეთში მიაღწევს 20.000 ტონას; ამ რაოდენობიდან საბჭოთა კავშირში შეტანილ იქნება 18.000-მდე ტონა.

ამერიკული თესლის ბამბის მოსავალი წელს იქნება 3.000-მდე ტონა.

სპარსეთის მებამბეობის სამართველო აღნიშნავს, რომ მებამბეობის მდგომარეობა სპარსეთში გაუმჯობესდა. ამ ჟამად სპარსეთში მუშაობს სპარსეთის მებამბეობის სამმართველოს 8 მეტეოროლოგიური სადგური, მოწყობილია საცდელი სადგური, საცდელი მინდვრები და სხვა. (ადს).

სომხეთი

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის

ერევანი, 13 ივნისი. სომხეთის რევოლიუციონური მუზეუმი ამზადებს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის სომხეთის სამოქალაქო ომის სურათების ალბომს და მაისის აჯანყების მასალებს. გარდა ამისა გამოცემული იქნება პოპულიარული ბროშიურები ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად (ადს).

საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიმართვა

მსოფლიო მეცნიერთადმი

პატივცემულნო კოლეგებო

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სახელმწიფოთა და ერთაშორის ურთიერთობის ჰორიზონტზე შავი ღრუბელი იკრიბება, არავის უფლება არა აქვს თავი მოიტყუოს იმის შესახებ, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთელი გულის ყური და ენერგია ახალი გართულების შექმნისაკენ და კაცობრიობისათვის ახალი უსაშინელესი სისხლის ღვრის თავზე დატეხისაკენ არის მიმართული. ჩინეთში წარმოებული იმპერიალისტური პოლიტიკა — ერთის მხრივ, უდიდესი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც ინგლისის მიერ იქნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადადგმული — მეორე მხრივ პრელიუდიაა იმ საშინელი კატასტროფის, რომელსაც უმზადებს ინგლისის კონსერვატიულ პარტიის კარნახით წარმოებული პოლიტიკა უკანასკნელ ომის საშინელ შედეგებისაგან ჯერ კიდევ გაუმთელებელს კულტურულ კაცობრიობას.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ მთელი ეს გართულების და შეტევის პოლიტიკა უპირველესად ყოვლისა მიმართულია იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც განვლილი ომის უბედურ შედეგებისაგან გადარჩენას იმპერიალიზმის გაძლიერებაში კი არ ხედავს, არამედ იმ საფუძვლის და დასაყრდენის მოსპობაში, რომელიც იმპერიალისტურ პოლიტიკას ასაზრდოებს და სასიცოცხლო ძალას აძლევს. დღეს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ იცის, რომ მშვიდობიანობის და ომის საწინააღმდეგო პოლიტიკის ერთად ერთი მტკიცე მომხრე არის საბჭოთა კავშირი. ჩვენ კარგათ გვახსოვს, პატივცემულნო კოლეგებო, რომ თავის დროზე თქვენ მოვალეობის წმინდა მოწოდებათ მიიჩნიეთ თქვენი ქვეყნების და სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა და საამისოთ საქვეყნოთ ხმა აღამაღლეთ; ეს ის დრო იყო, როდესაც ირგვლივ იმპერიალისტური ომის საშინელი ქარიშხალი გრიალებდა. მშვიდობიანობა მხოლოდ უკვე მოგონება და იყო და თქვენ წონა და აკადემიური ავტორიტეტი ბრძოლის ბედის სასწორზე შედეთ, როგორც ერთ-ერთი რეალური ძალა.

აგრესიული და თავდასხმითი ტაქტიკა, რომელსაც აწარმოებენ ჩვენი კავშირის წინააღმდეგ ჩვენს პატარა ქვეყანასაც მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევას და ომის მთელ საშინელებას უმზადებს.

ამიტომაც, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს და მოვალეობაც გვაწევს მოგმართოთ თქვენ, როგორც მეცნიერების ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ თანამებრძოლთ, ცივილიზაციის, კულტურის და მეცნიერული შემოქმედების ელემენტარულ მოთხოვნის დაცვისათვის შემდეგი განცხადებით:

ათი წელია, რაც დაიმსხვრა თვითმპყრობელობის ბორკილი, რომელიც ჩვენს ეროვნულ სხეულს ასი წლის განმავლობაში ძვლამდე ხეხავდა. ათი წელია, რაც გაიმარჯვა შრომამ ძალადობაზე და ისტორიას ჩააბარა კლასები და ჯგუფები, რომლებიც თვითმპყრობელობის ხერხემალს წარმოადგენდენ. განათლებულმა კაცობრიობამ კარგად იცის რას წარმოადგენდა რეჟიმი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა პრეტენზიას ფიზიკურ არსებობაზე „პოგრომით“ უპასუხებდა და კულტურულ განვითარებაზე — რუსიფიკატორული სკოლით ოქტომბრის რევოლიუცია არის მიჯნა, რომლით იწყება ჩვენი ეროვნული აღორძინება და კულტურული შემოქმედება, რადგან მან მოსპო ის ძალები და წრეები, რომლებიც ამ აღორძინების და შემოქმედების დაუძინებელ მტრებს წარმოადგენდენ.

ათი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრ რასმე მივაღწიეთ და ამის შედეგია, რომ ჩვენს წარმომადგენლებს თქვენ არა ერთხელ ხვდებით სხვადასხვა სამეცნიერო ყრილობებზე, სადაც ისინი ამ ათი წლის განმავლობაში შექმნილ გამოწყობილ უნივერსიტეტის სახელით ლაპარაკობენ. თქვენ შემთხვევები გაქვთ თქვენთვის მისაწვდომ და გასაგებ ენაზე გაეცნოთ ჩვენი მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში, თუ ცალკე გამოკვლევების სახით იბეჭდება სხვა და სხვა ევროპიულ ენებზე. ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ დავაარსეთ და მოვაწყვეთ უნივერსიტეტი და სხვა დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებანი და ინსტიტუტები. ჩვენ ჩავებით საერთო აღმშენებლობითი მუშაობაში და ქვეყნის სამრეწველო ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად მთელ ღონეს და ენერგიას იმ წმინდა საქმის კეთებას ვანდომებთ, რომელსაც მეცნიერული შემოქმედება ეწოდება და რაც თქვენთვის ყველაზე უფრო ახლო და ძვირფასია.

მით უფრო უფლება გვაქვს ჩვენ, ჩვენთვის და თქვენთვის საერთო და ძვირფას მუშაობაში თავდავიწყებამდე ჩაბმულებმა, მოგმართოთ წინადადებით გაიგოთ ჩვენი გულისწყრომა და აღშფოთება იმათ წინააღმდეგ ვინც ტლანქათ და უხეშათ ყოველივე ღონეს ხმარობს ჩვენს მუშაობას ხელი შეუშალოს და ჩვენს ირგვლივ ისეთი არევდარევა შექმნას, რომელიც ყოველივე საშუალებას წაგვართმევს შემოქმედების და აღმშენებლობის გზის სვლისა.

თქვენ ვალდებული ხართ, პატივცემულნო კოლეგებო, დღესვე, ვიდრე გვიან არაა, ხმა აიმაღლოთ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ცეცხლთან თამაში გასართობათ მიუჩნევია.

ჩვენ შველას არავისაგან ველით, არც ვსაჭიროებთ. ჩვენი საუკეთესო მოკავშირეა მშვიდობიანობა, როგორც პირობა პატიოსანი შრომისა, კულტურულ აღორძინების. არც ჩვენი ქვეყნიდან გახიზნულ ,გაბოროტებულ ემიგრაციას და არც იმათ, ვინაც თავისი მიზნებისათვის მის გამოყენებას ცდილობს და არეულობისა და გართულების შექმნაზე ოცნებობს ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ჩვენ არ ავყვებით და ვერ ჩავთვლით იმ ძალათ, რომელსაც, გარდა უბედურებისა და მწუხარებისა რისიმე მოტანა შეეძლოს ჩვენი ხალხისათვის. ამიტომაც ჩვენ გადაჭრით ვიმიჯნებით ყველა ამ ძალებისაგან, რომ იმათაც ჩვენ მოწინააღმდეგე ხელის შემშლელს და ჩვენი ხალხის მტრულსა და ბოროტ ძალებს მივაკუთვნებთ. იმედი გვაქვს, რომ ამ მსოფლიო მეცნიერთათვის გაუგებარი არ დარჩება ჩვენი სულიერი მისწრაფებანი, ჩვენი აღშფოთება იმ აგრესიულ გამომწვევითი პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოთ, ჩვენი პატარა ქვეყნის წინააღმდეგაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ თქვენთვის გასაგები იქნება ჩვენი მტკიცე განზრახვა ბოლომდე მხარი დაუჭიროთ ჩვენს მთავრობას, რომელიც დღეს მთელი თავისი ძალღონეს ანდომებს ქვეყანათ მშრომელთა მასების რამოდენიმე შთამომავლობის იდეალის განხორციელებას, და რომელიც ამავე დროს მედგრად გამოდის მშვიდობიანობისათვის და მაშასადამე, კულტურისა და ცივილიზაციის მთავარ პირობისათვის მებრძოლათ.

(ხელს აწერენ უნივერსიტეტის მეცნიერული ძალები).

პარტიული ცხოვრება

საფუძვლო მუშაობა მშრომელ ქალთა შორის

პარტიის მიერ წამოყენებულ უმთავრეს საკითხებთან დაკავშირებით, მუშა-ქალთა სადელეგატო კრებებზე უნდა დაისვას: ფასების დაკლების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხ. საკითხები. ეს საკითხები უნდა დაისვას პრაქტიკულად, ფაბრიკის დირექტორმა ან ქარხნის სამმართველოს გამგემ უნდა გააკეთოს მოხსენება შემდეგ საკითხებზე: ღონისძიებანი თვითღირებულების დაკლების, წარმოების ხარჯების შემცირების, საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და სხ. დარგში. განმარტებულ უნდა იქნას საკითხი საწარმოო თათბირებისა და ამაში მუშა-ქალთა მონაწილეობის როლის შესახებ.

როგორ შეუძლია მუშა-ქალს მოახდინოს გავლენა ფასების დაკლებაზე. როგორი პრაქტიკული შედეგები იქნა მიღწეული ამ დარგში?

ასე პრაქტიკულად უნდა დაისვას ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ყველა უმთავრესი საკითხები, სოფლად აუცილებელია მიწის გაუმჯობესებისა და დამუშავების, ფასების დაკლებისა, შრომის გაუმჯობესების შესახებ.

მიმდინარე პოლიტიკურ მომენტის საკითხები, გარდა საერთო მოხსენებათა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ყოველდღიურად უნდა იქნას გარკვეული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთათვის საგაზეთო ცნობების მიხედვით. მუშაობის შესვენების (შესვენებებში) დროს წარმოებებში შეიძლება მოეწყოს გაზეთის ხმა-მაღლა კითხვა; სადაც კი მუშა-ქალებს ასეთი ფორმა არ დააკმაყოფილებს, აუცილებელია საგაზეთო ცნობების გადაცემა ცოცხალი საინტერესო საუბარის სახით.

—ყველაზე უფრო ადვილად ეს წესი შეიძლება იქნას გამოყენებული სოფლად სასეზონო მუშათა შორის. სხვა გლეხ-ქალებისათვის უნდა შეკავშირებულ იქნან ქოხ-სამკითხველოების და გლეხ-ქალთა კუთხეების ირგვლივ.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მთელ ამ მუშაობაში აუცილებლად უნდა გამოიყენონ შვებულებაში მყოფნი, მოსწავლენი, რომლებიც ზაფხულობით სოფლებში დადიან. შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე საუბრის შემდეგი ფორმა: იმ საკითხების შესასწავლად, რომელნიც მუშა-ქალებსა და გლეხ ქალებს აინტერესებს: წარმოებაში და კლუბში (ქალაქში), ქოხ-სამკითხველოში და კუთხეში (სოფლად) ჩამოკიდებულ იქნას ყუთი, რომელშიაც გლეხ-ქალები და მუშა-ქალები სამი დღით ან ერთი კვირით ადრე ჩაუშვებენ ქაღალდზე დაწერილ შეკითხვებს, რომლებზედაც მათ სურთ პასუხის მიღება. შემდეგ ეს შეკითხვები გროვდება და კრებაზე გაცემულ იქნება პასუხები.

სოფლად—სასურველია, რომ ყველა ეს საუბრები გარედ, ღია ცის ქვეშ გაიმართოს.

ზაფხულის განმავლობაში აუცილებლად უნდა მოეწყოს მასიური ექსკურსიები, გასეირნებები.

მომთაბარე ქალთა შორის მუშაობას დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. საქართველოს მთელ რიგ მაზრებში მთელი მოსახლეობა სტოვებს ბინებს და მიდის მთებში, სადაც შემოდგომამდე რჩება. მთებში ყოფნის დროს გლეხ-ქალებს ბევრი სამუშაო არ აქვთ და ამიტომ შეიძლება მუშაობის წარმოება მათ შორის. მომთაბარე-ქალთა ყველა რაიონში აუცილებლად უნდა გაიგზავნოს ქალთა ორგანიზატორი, რომელსაც ექნება თავისი კარავი—გლეხ-ქალის კუთხის მსგავსი, და რომელიც ყოველდღიურ მუშაობას უნდა აწარმოებდეს. კარავი მორთული უნდა იქნას პლაკატებით, უნდა მიეცეს მას საგიტაციო ხასიათი და მიმზიდველი სახე. გაზეთების ხმა-მაღლა წაკითხვა, საუბრები ქალებისათვის საინტერესო საკითხებზე, სისტემატიური კრებები მესაქონლეობის, პროდუქციის დამუშავების გაუმჯობესების, სანიტარიის, ბავშვთა აღზრდის და სხ. შესახებ, მომთაბარეთა შორის უნდა წაღებულ იქნას მოძრავი კინო.

მომთაბარე ქალებს ხშირად ესაჭიროებათ მედ-ფერშალი ქალი. სათანადო ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ფერშალი ქალები იქნან გაგზავნილი მომთაბარე ქალებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

მომთაბარეთა ადგილმფლობელობის ადგილას უნდა გაიგზავნონ აგრეთვე მასწავლებელი ქალები და ჩატარდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ქალებს შორის.

ქალთა ორგანიზატორი მთელ ამ მუშაობაში უნდა დაემყაროს კომპარტიის უჯრედს, თუ იგი არსებობს მომთაბარეთა შორის.

დ—ში.

უვარგისი უჯრედი

(ზემო-ქალადიდის თემი, სენაკის მ.)

ზემო-ქალადიდის თემკომი აერთიანებს 4 უჯრედს — დაახლოებით 70-80 წევრით. თემკომში შედის შემდეგი უჯრედები: სირიაჩქონის გლეხური უჯრედი, მეორე მოწაფეთა უჯრედი, მესამე საგვიჩიოს, და მეოთხე მუხურის უჯრედი.

სირიაჩქონის მოწაფეთა და გლეხურ უჯრედებში მუშაობა მაღალ საფეხურზე სდგას, დისციპლინა მტკიცეა. ეს ორი უჯრედი აერთიანებს 5 ქალიშვილს, ყველა წევრები აქტიურად მუშაობენ. წელს 2 უჯრედში არსებობდა პოლიტლიტ. და სხვა წრეები. უჯრედში იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, მაგრამ ეს ნაკლი დაძლეულ იქნა.

დანარჩენი 2 უჯრედი მუხურის და საგვიჩიოს უჯრედები, უკეთესი არ არსებობდენ, ვინაიდან იმ უჯრედებში ისეთი წევრებია მოკალათებული, რომლებიც კომკავშირის პრესტიჟს სცემენ. უპარტიოები მათ გაურბიან ამ უჯრედებში ითვლება 20 წევრი.

საჭიროა სენაკის მაზრამსკომმა მიიღოს ზომები ამ 2 უჯრედის გასაჯანსაღებლად.

ლასი.

კომკავშირში

კავკ. წ.-დ. არმიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია

მერვე სხდომა

კონფერენციის მერვე სხდომაზე, რომელიც შესდგა 14 ივნისს, დილის 8 საათზე, გრძელდებოდა კამათი ამხ. გავრიშის მოხსენების ირგვლივ.

კამათში მიიღეს მონაწილეობა თითქმის ყველა ნაწილების და ნაციონალურ დივიზიების წარმომადგენლებმა. მათ მიერ დაწვრილებით იყო აღნიშნული კომკავშირის მდგომარეობა ადგილებზე, მიღწევები და ნაკლი. დელეგატები მოითხოვდნენ, რომ შეტანილ იქნეს მეტი გარკვეულობა კომკავშირის სამეცადინო პროგრამაში და აგრეთვე მუშაობის გამსაცოცხლებლად შექმნილ იქნეს ხელმძღვანელ ბიუროები თვით ასეულებში.

საბოლოო სიტყვაში ამხ. გავრიშმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არმიის კომკავშირი ჯერ მთლიანად არ არის გადასული მუშაობის იმ ხაზზე, რომელიც მოცემულ იქნა პარტიის მე-14-ე და კომკავშირის მე-7-ე ყრილობების მიერ, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშაობის მსვლელობას. შემდეგ მან აღნიშნა, რომ აგიტპროპკოლექტივების მუშაობის გამოსასწორებლად საჭიროა, რომ მათზე იქნეს მიმაგრებული გამოცდილი პარტამხანაგები და საერთოდ კოლექტივების მუშაობა უნდა იქნეს აგებული სრულ ნებაყოფლობაზე და სხვა.

ამხ. გავრიშის სიტყვის შემდეგ გაიმართა საუბარი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა შინა-პარტიულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხების ირგვლივ.

კონფერენციის დელეგატები დღის 3 საათზე გაემგზავრნენ ზაჰესის დასათვალიერებლად. კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგება დღეს, დილით.

უდისციპლინო უჯრედი

(სურამი, გორ. მ.)

სურამში არსებობს ა. ლ. კ. კ. საქალაქო ცენტრალური უჯრედი, რომელშიაც გამეფებულია უდისციპლინობა. ღია კრების დროს არის სიცილი და მასხრობა. იმ დროს, როცა ღია კრებაა და დარბაზი უპარტიო ახალგაზრდობით გაჭედილია ყველა მისჩერებია ამ სურათს. ზოგიერთი კომკავშირელი, რომელთაც აქტივისტად მოაქვთ თავი, თვითეე უშლიან ხელს მომხსენებელს.

გარდა ამისა წევრებში არის შუღლი და არ იციან, რა მოუგონონ სასკანდალო ერთმანეთს უჯრედის ბიუროს კი მოქმედების ფარ-ხმალი დაყრილი აქვს.

გრ. ზინ.

მეორე რაიკომის გაფართოებული პლენუმი

(თბილისის ორგანიზაცია)

გუშინ საღამოს ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა მეორე რაიკომის გაფართოებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პარტსწავლების შედეგები, 2) საორგ. განყ. გამგის შესახებ და 3) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. სირაძემ

ჩვენს რაიონში პოლიტსკოლების და სხვა და სხვა წრეების მუშაობის დროს —დაიწყო მომხსენებელმა საჭიროა აღვნიშნოთ სამი დამახასიათებელი პერიოდი—პირველი ეს მომზადებითი მუშაობა, რომელიც წინ უძღოდა მეცადინეობის დაწყებას მეორე—უკვე რეგულიარული მეცადინეობის დაწყება და მესამეც—პოლიტსკოლების გამოშვებისთვის სამზადისი. პირველ პერიოდში, რომელიც მსმენელთა აღრიცხვასა და მათ კვალიფიციურ დანაწილებაში გამოიხატებოდა—იყო მეტათ რთული. ეჭვს გარეშე, მსმენელთა დანაწილების დროს, იყო ბევრი შეცდომები, რამაც ერთგვარი კვალი დააჩინა სწავლის საქმეს. მაგალითად სიაში შეტანილ იქნენ ისეთი პარტ. ამხანაგებიც, რომელნიც სრულიადაც არ საჭიროებდენ სავალდებულო პარტგანათლების ქსელში სწავლებას, მათ შეეძლოთ თვითგანვითარების წრეებში მეცადინეობა. საერთოდ კი პოლიტსკოლების მეცადინეობა ნორმალურად დამთავრდა. სულ სამსწავლო წელში გაიხსნა 43—პოლიტსკოლა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 11.138 მსმენელი. წლის ბოლოში ამ რიცხვიდან გამოშვებულ იქნა 914 მსმენელი. დანარჩენ ამხანაგებიდან—ზოგი გადავიდა სხვა რაიონში სამეცადინოთ, ზოგი კი გავიდა პოლიტსკოლიდან.

მთელ ქსელში გამოშვებულ მსმენელთა რიცხვი—სოციალური და პარტიულ შემადგენლობით ასეთია: ქ. პ. წევრები—520, კანდ.—150. კომკავშ.—106, უპარტ.—138. ამ რიცხვიდან —მუშები—717, მოსამ.—46, მოსწავლეთა—42, სხვა—9.

პლენუმმა ამხ. სირაძის მოხსენების გარშემო მიიღო სათანადო რეზოლიუცია. შემდეგ—რაიკომის საორგანიზაციო განყოფ. გამგის ამხ. გეურქოვის მოსკოვში გამგზავრების გამო, პლენუმმა მის ადგილზე დაამტკიცა რაიკომის პრეზიდიუმის მიერ წამოყენებული ამხ. აკოპოვი. მიმდინარე საკითხების განხილვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ნ. ფურცელაძე.

კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ

გუშინ, 14 ივნისს, საღამოს გაიხსნა სრულიად საქართველოს კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ.

კონფერენციის გახსნას შესავალი სიტყვა წარუმძღვარა განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მარიამ ორახელაშვილმა.

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის ამოცანები

გიგანტიური აღმშენებლობა,—ამბობს ამხ. **მარიამ ორახელაშვილი**,—რომელიც ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით ვითარდება, და წარსულისაგან დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა ართულებს ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის სფეროში. ახალი სოციალისტური საზოგადოება საჭიროებს ახალ თაობას ახალი ყოფა-ცხოვრებით, ახალი ჩვევებით. სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკებმა თავს უნდა იდვან საპატიო ამოცანა აღზარდონ ახალი ადამიანი მომავალი საზოგადოებისათვის, დაამყნან მასზე შრომის ორგანიზაციის, დასვენების და გართობის ახალი პრინციპები. ახალი თაობა უნდა აღიზარდოს და მოემზადოს საუკეთესო სოციალისტური საზოგადოების,—საერთაშორისო საზოგადოების შესაქმნელად. ბავშვთა ინდივიდუალურ აღზრდას და მათზე მშობლების გავლენას, სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკებმა უნდა დაუპირდაპირონ კოლექტიური აღზრდა და საზოგადოებისა და სახელმწიფოს გავლენა.

საბავშვო ბაღმა ბავშვებს უნდა მისცეს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჰიგიენის ჩვევები, ჩვევები, რომელიც აუცილებელია ახალ საზოგადოებისათვის, რომელიც ეხლა იქმნება.

სკოლის ჰასაკამდე აღსაზრდელი ჰასაკი—ყველაზე მეტად პასუხსაგები ჰასაკია.ამ ჰასაკში ყალიბდება ბავშვის ხასიათი, და მდგომარეობა. ამ ჰასაკის შთაბეჭდილებები და განცდები შეუცნობლად ხდებიან მომავალი ადამიანის ხასიათის განვითარების ფუძეთ.

აღზრდის სწორი დაყენებით ბავშვს შეიძლება ჩაუნერგდეს მარქსისტულ მატერიალისტური მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება. ბუნების და ბუნების მოვლენების ურთიერთ კავშირში შესწავლა, ბუნების გამოყენება ადამიანის მიერ,—ე. ი. შრომის სხვადასხვა სახეობანი და საზოგადოებრივ ურთიერთობანი, რომელიც ამ საფუძველზე იქმნებიან, —არიან ის მთავარი მომენტები, რომელთა გარშემოც უნდა სწარმოებდეს მუშაობა საბავშვო ბაღებში და გროვდებოდეს ის დიდ-დიდ აქტიური მასალა, რომელიც ამ მუშაობისათვის არის საჭირო.

საბავშვო ბაღს დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მშრომელი ქალის განთავისუფლებაში იმ მხრით, რომ საბავშვო ბაღს შეუძლია ქალს შესძინოს მთელი ის დრო, რომელსაც ის ანდომებს ბავშვის აღზრდასა და მოვლას. ამ გარემოებას აქვს დიდი საზოგადოებრივი - პოლიტიკური მნიშვნელობა. საბავშვო ბაღის ორგანიზაციისა და მისთვის მზრუნველობის გარშემო შეიძლება დარაზმვა სოფლის მთელი ქალებისა.

ბავშვის აღსაზრდელად წარმოებულ მუშაობაში სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკს უჭირავს პირველი ადგილი. მან თავისი მუშაობა არ უნდა შემოფარგლოს საბავშვო ბაღის ვიწრო ინტერესებით. მისი მოვალეობაა შეისწავლოს ის წრე, რომელიც ბავშვს გარშემო არტყია, და გარდაქმნას იგი ახალი მოთხოვნილების მიხედვით. სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკის პიროვნება უნდა იყოს მაგალითი მისი აღსაზრდელი ბავშვებისათვის. სისუფთავე და სიფაქიზე—აი როგორ უნდა იყოს სკოლის ჰასაკამდე აღმზრდელი მუშაკის გარეგნული სახე.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ ყრილობამ საქმიან პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: **წულუკიძე, ორახელაშვილი მარიამ, კანდელაკი, დარახველიძე და ნიკოლაძე**. ადგილებიდან: **ჯაფარიძე, ხერხეულიძე, სისორდია, დგებუაძე, პაატაშვილი და გრიგორიანი**.

კონფერენციაზე მოწყობილია ბავშვების ნამუშევართა გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კურორტი შოვი

ქუთაისი, 13 ივნისი. კურორტ შოვში სწარმოებს მუშაობა წყალსადენის და კანალიზაციის მოსაწყობად, 2-3 კვირის შემდეგ სანატორიუმს და კურორტს ექნება ელექტრონის განათება (ადს).

ალმშენებლობა სამტრედიაში

ქუთაისი, 13 ივნისი. სამტრედიის ალმასკომი ეწევა დიდ სააღმშენებლო მუშაობას. დამთავრებულია აბანოების აშენება; ეწყობა კანალიზაცია, რისთვისაც გადადებულია 4.000 მანეთი. დასრულებულია სასაკლაოების მოწყობა. სწარმოებს მუშაობა საბაზრო შენობების მოსაწყობად. ალმასკომმა გადასდო ამ მიზნით 15.000 მანეთი (ადს).

აგურის ქარხანა

ქუთაისი, 13 ივნისი. სამტრედიის ალმასკომი შეუდგა აგურის მეორე ქარხნის აშენებას; ქარხანა დაამზადებს წლიურად 3—3 ნახევარ მილიონ ცალ აგურს. ქარხნის ასაშენებელი ადგილი უკვე არჩეულია და დამტკიცებულია 40.000 მანეთის ხარჯთაღრიცხვა (ადს).

სკოლების ალმშენებლობა

ქუთაისი, 13 ივნისი. სამტრედიაში დასრულდა ორსართულიანი შენობა პირველი საფეხურის სკოლებისათვის და ერთსართულიანი შენობა—საბავშვო ბაღისათვის (ადს).

ახალი შენობა

ქუთაისი, 13 ივნისი. ახლო მომავალში აშენებული იქნება დიდი ერთსართულიანი აგურის სახლი, სადაც მოთავსებული იქნება ქალაქის სამკითხველო, ბიბლიოთეკა და საბავშვო სახლი (ადს).

არტელი „წითელი მეწაღე“

ოზურგეთი, 13 ივნისი. შემოქმედში მოქმედება დაიწყო ახლად მოწყობილმა საწარმოო არტელმა „წითელმა მეწაღემ“, რომელიც მიზნად ისახავს ფეხსაცმელების დამზადებას გლეხებისათვის იაფ ფასებში. არტელი აერთიანებს 20 კვალიფიკაციურ ხელოსანს. მუშაობა სწარმოებს კოლექტიური შრომის საფუძველზე. ბაზრის მოთხოვნილება კმაყოფილდება 60 პროც.-ით. არტელის წესდება გატარებულია საქართველოს სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს რეგისტრაციაში (ადს).

მუშაობა ბაღებში და მინდვრებში

ოზურგეთი, 13 ივნისი. მუშაობა ბაღებში ყველგან დამთავრებულია. ციტრუსოვან და ჩაის მცენარის თესლი კარგად ამოვიდა.

ნაადრევად დანათესი სიმინდის თოხნა უკვე დაიწყო. (ადს)

რადიოფიკაცია სოფლად

გორი, 13 ივნისი. მიღებულია სამი რადიომიმღები აპარატი, რომელიც დაიდგმება წითელ ქალაქის, შინდისის და მეჯვრისხევის თემების ქოხ-სამკითხველოებში. (ადს)

სარძეო საქმის კურსები

გორი, 13 ივნისი. სოფელ ციხის-ჯვარში გაიხსნა ორკვირეული კურსები სარძეო მეურნეობის შესასწავლად. კურსებზე მეცადინეობას ისწრებს 40 გლეხი. (ადს)

აჭარისტანი

ექსკურსანტები

ბათომი, 13 ივნისი. უკანასკნელ ხანებში ბათომში დიდძალი ექსკურსანტები ჩამოდიან საქართველოს და საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან.

აჭარისტანის სახ. განათლების კომისარიატთან არსებულ საექსკურსიო ბიუროში 5—11 ივნისამდე აღნიშნულია 417 ექსკურსია (ადს).

სამხრეთ ოსეთში

სარძეო კოოპერაცია

ცხინვალი, 13 ივნისი. შარშან სამხრეთ-ოსეთში პირველი სარძეო არტელი დაარსდა ცხინვალის რაიონში. წელს არტელი მოეწყო ერწოში, რომელსაც უფრო მეტი წევრები ჰყავს, ვიდრე პირველს. ყველისა და კარაქის დასამზადებლად აშენებულია ქვის შენობა. არტელების ქარხნები უკვე შეუდგნენ მუშაობას. ცხინვალში ჩამოიტანეს ამ ქარხნებში დამზადებული პროდუქტები — საუკეთესო ხარისხის ყველი და კარაქი. (ადს)

ბაზარი მთებში

ცხინვალი, 13 ივნისი. ჯავის კოოპერატიული ამხანაგობის ინიციატივით ჯავაში — სამხრეთ-ოსეთის მთიან ნაწილში ყოველ კვირაობით ეწყობა ბაზარი. ეს ბაზარი მთიელ გლეხებს მისცემს საშუალებას აღარ გაიარონ 30—50 ვერსი ყოველი წვრილმანის შესაძენად. (ადს)

წერილები

აუცილებელია გზის დამთავრება

(ს. გრემისხევი, დუშეთის მაზრა)

სოფ. გრემისხევი მდებარეობს ქალ. დუშეთიდან დასავლეთით და თბილისიდან მიმავალმა ამ სოფელში, მით უმეტეს ურმით, უნდა გაიაროს სოფელი მჭადის-ჯვარი, საიდანაც დაახლოვებით 6-7 ვერსის მანძილი უნდა იაროს ადამიანმა მდინარე ნარეკვავზე სოფ. გრემისხევამდის უგზო-უკვალობის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1922—23 წლებში ადგილობრივმა თემ-აღმასკომმა დაიწყო ზემო ნაჩვენები გზის კეთება, მაგრამ შესძლეს მხოლოდ შიგ სოფელში გზის გაკეთება მხოლოდ 1-2 ვერსის მანძილით, რომლის გაკეთება სოფლისათვის სრულიად უმნიშვნელოა. აი სწორედ იქ შეაჩერეს მუშაობა, სადაც იწყებოდა ნამდვილი გზის საჭიროება და იწყება თვით მდინარე ნარეკვავი. სამუშაოზე მოსახლეობა აღტაცებით გამოდიოდა, როგორც კაცი ისეთვე ქალებიც კი, მაგრამ დახარჯული შრომა უნაყოფოთ დარჩა. ხალხი სდუმს, ვერ გამოურკვევიათ ვის მიმართონ, აღარა ყავთ წინამძღოლი. გრემისხევის ადმინისტრაცია სრულიად გაუქმდა და შეუერთდა ბაზალეთის თემს, როგორც დუშეთის მაზრის ალმასკომს და ბაზალეთის თემალმასკომმა ამ გზის გაყვანა უნდა ითავონ. საშუალება მოინახება, თუ იქნება სურვილი. სამაზრო ალმასკომს მოეპოება აღნიშნული გზის შესახებ დამზადებული მასალა მის მიერ ამ საქმეზე გაგზავნილ ტეხნიკ. ი. ცეჯაძეს მიერ შედგენილი, რომელმაც დაჰყო და იმუშავა გრემისხევის გზაზე რამოდენიმე თვე.

ზედმეტად არ მიმაჩნია აღნიშვნა იმისაც, რომ სოფ. გრემისხევის მეორე გზა ქალ. დუშეთის მიმართულებით 8—10 ვერსის მანძილით აგრეთვე გამოუსადეგარია, როდესაც მიაქვთ რაიმე ტვირთი ურმით, უნდა მოუბან რამოდენიმე უღელი ხარ-კამეჩი, რომ აიტანონ აღმართი თუნდაც ტვირთი იყოს სრულიად უმნიშვნელო სხვა მიმოსვლაზე ხომ ამ სოფლის შესახებ ლაპარაკი მეტია.

კარგი იქნებოდა ახმაურებულიყო ად. კ. პარტიის და ა. ლ. კ. კ. წევრნი ამ საკითხის შესახებ და აეღო ხელში მეთაურობა ამ აუცილებელ საკითხის მოსაგვარებლად. იმედია დაწყებული საქმე განახლდება.

გ. ბედევანიშვილი.

ტყეები გარე-კახეთში

ცივ გომბორის მთებიდან—მარტყოფის თემის ჩატანებით 60 ვერსის მანძილზე გადაჭიმულია 37,000 დესეტინა ტყე. უმთავრესი ჯიშები ჩვენ ტყეში არის მუხა, რცხილა, წიფელა, უთხოვარი და სხვა. სახელდობრ „ანთოშკა“ საკმაო მანძილზე გადაჭიმულია ნაძვის და ფიჭვის ტყეები.

ტყეს ახშირებენ იმ მიზნით, რომ უფრო კარგი ღირსების ტყე გამრავლდეს. „გამოხშირულია“ ამ ჟამად 50 დესეტინა ტყე. მუშაობას აწარმოებს ტყის გამგე გარე-კახ. ამხ. ერასტი ვულისაშვილი და მიხ. ალექსიძე. შტატი ტყის მცველების მცირეა, რაც უეჭველია ხელს შეუწყობს ტყეში ბოროტმოქმედებას. ტყეები ამ მცირე შტატის მიხედვით შეძლებისდაგვარად ინახება. სხვა სატყეოებმა უნდა მაგალითი აიღონ გარე-კახეთის ტყეში ამჟამად წარმოებულ მეურნეობიდან.

გ. გარსიაშვილი.

წერილებიდან

— **გამოფენა** (ქალ. სიღნაღი). 1 ივნისს სიღნაღის პედაგოგიურ ტეხნიკუმში გაიხსნა მოწაფეების ნაწარმოების გამოფენა. გამოფენის დასათვალიერებლად მოდიოდენ მაზრიდან სხვადასხვა ტიპის სკოლების მასწავლებლები და მოწაფენი და ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი და გლეხები დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მასზე მოწაფეების მიერ დამზადებული ხელსაწყობები. გამოფენა რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

პ. გიორგაძე.

— **ჩვენი ავ-კარგი.** (მთიულეთის თემი, გორის მ.). მთიულეთის თემი ბევრს არც კი გაუგონია, ეს თემი სულ ახალი გამოყოფილია. წინად ჩვენ 40 ვერსის მანძილზე გვიხდებოდა სიარული მოწმობებისათვის, რადგან სხვა თემში შევდიოდით არც ვინმე გვყავდა სოფელს რომ გასძღოლოდა. თემის დაარსების შემდეგ საქმე კარგად მიდის. გზებიც კეთდება, სკოლებსაც ვაგებთ და სხ. ერთი სიტყვით კარგი ხელმძღვანელი გვყავს.

გ. ჭიჭირანელი.

— **ხალხი მადლიერია.** (გულეკარ-კეთილარის თ., სენაკის მ.). ამ თემის საექიმო პუნქტის გამგედ არის ექ. კილასონია, რომელიც თავგამოდებით მუშაობს. ღარიბებს უსასყიდლოთ მიყვება სახლში ფეხით. ექ. კილასონია მეტად საქმიანი და მუყაითი მუშაკია.

მეთვალყურე.

— **კავშირი გლეხობასთან.** (ს. კიწია, სენაკის მ.). გასულ წელში აქ გახსნეს გლეხური ახალგაზრდობის სკოლა. სასოფლო-სამეურნეო მუშაობის საწარმოებლად სკოლას გადაეცა 8 დესეტინა მიწა. კიწიის გლეხებმა თავისი ფულით და საკუთარი მარაგით შემოღობა სკოლის მამული. სამაგიეროთ სკოლამ გლეხებს დაურიგა 5000 ბოსტნეული სხვადასხვა ნერგები, რომელიც სკოლის სათბურში მოიყვანეს. სკოლამ გლეხებს აგრეთვე მიაწოდა სხვადასხვა კარგი ჯიშის თესლები. სკოლასა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირია. უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი: სკოლის შენობა არ ვარგა. საჭიროა ახლავ შეუდგენ შენობის ძებნას, რომ შემოდგომაზე მეცადინეობა თავის დროზე დავიწყოთ.

ა—ლი.

სოფლის ქრონიკა

◆ **აგროდახმარების** გაძლიერების მიზნით აჭარისტანის სამიწადმოქმედო უწყებამ გადასწყვიტა გამრავლოს მაზრაში აგრონომების რიცხვი.

◆ **წყალსადენი.** სოფ. შინდისში (თბ. მაზრა) შეუდგენ წყალსადენის გამოყვანას.

◆ **მავნეებთან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით თბილისის მაზრაში დაარსდა გლეხთა რამდენიმე ამხ-ბა.

◆ **ჩაის მეურნეობა** მთელ საქართველოში ყოველ წელს იზრდება. მაგალითად ქობულეთის მაზრაში გლეხ მეურნეთა ჩაის პლანტაციები წელს გაიზარდა 116 დესეტინით.

◆ **აფთიაქის მუშაკთა თათბირი.** დამთავრდა ოზურგეთის მაზრის აფთიაქის მუშაკთა სამაზრო თათბირი გლეხებისათვის წამლის მიწოდების საქმის გაუმჯობესების შესახებ.

◆ **ოზურგეთის აბრეშუმის** სახვევ ქარხანაში დაიდგა ახალი ელექტრო-დიზელი მანქანა 45 ცხენის ძალიანი.

— **ტყიბულის დამზღვ.** სალაროს დათმობილი აქვს: არაზინდოში—8 ადგილი, აბასთუმანში—1, ქობულეთში—2, ბორჯომში—2, წაღვერში—2, წყალტუბოში—50; **დასასვენებელ სახლებში:** წაღვერში—22 ადგილი, ბორჯომში—6, ქობულეთში—12.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს ხუთ საათზე, შესდგება საგაზეთო წრის მეცადინეობა. სრულ ექვს საათზე შესდგება მუშკორთა საერთო კრება დასწრება სავალდებულოა.

კავთისხევის ცემენტის ქარხნის საძირკველის ჩაყრა

10 ივნისი სოფ. კასპის და საერთოდ მისი ახლო - მახლო სოფლებისათვის და მთელი რაიონის გლეხობისათვის ისტორიულ დღეთ დარჩება — ამ დღეს საძირკველი ჩაეყარა კავთისხევის ცემენტის ქარხანას, რომელიც საწინდარი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ დაწინაურებისა და კულტურულათ ამაღლებისა.

დილის 8 საათი იყო, როდესაც მატარებელი გაჩერდა სად. კასპში. მიუხედავათ იმისა, რომ გლეხებს ეხლა თავისუფალი დრო არა აქვთ მაინც ბევრს მოეყარა თავი სადგურზე.

მივდივართ ქარხნის ასაშენებელ ადგილისაკენ დიდი ჭიშკარი მშვენივრათ მორთულია წითლებით და მინდვრის ყვავილებით. „ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—დასამარებაა კაპიტალიზმის“ წითელი ასოებით იძახის მაღლა მიკრული პლაკატი.

გზას ბაღებში გვიჩვენებს წითელი დროშები, რომელსაც მივყევართ საძირკველისათვის გათხრილ ადგილამდის: აქ უკვე ყველაფერი მზათ არის, ტრიბუნაც მორთულია, საიდანაც დღეს გლეხობა გაიგებს თავის საიმედო სიტყვებს. ნელ ნელა გროვდებიან გლეხები, უცდიან როდის მოვლენ მთავრობის წევრები.

აგერ გამოჩნდა ბაქანზე მთავრობის მატარებელი საიდანაც გადმოდიან ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდ. ამხ. შ. ელიავა, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ავაქოვი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ამხ. ივანოვი და სხვები. ჩამოსვლისთანავე ამხანაგები გაეშურენ საძირკველისაკენ, ამხ. ელიავამ დაატანა საძირკველში ვაზნა აქტით. დღის 2 ნახ. საათზე კავთისხევის ქარხანას ჩაეყარა საფუძველი რასაც მოზღვავებული ხალხი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეხვდა.

საზეიმო მიტინგს ხსნის გორის სამაზრო ალმასკომის სახელით ამხ. გ. კალმახელიძე, რომელიც მოკლეთ აღნიშნავს მნიშვნელობას ამ ქარხნისა და სამაზრო ალმასკომის სახელით ულოცავს გლეხებს ასეთ დიადი საქმის დაწყებას.

ამხ. შალვა ელიავას ტრიბუნაზე გამოჩენას გლეხობა ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება.

სიტყვებით გამოდიან აგრეთვე რ.-გ. მუშების სახელით ამხ. გ. ჩხეიძე, კავთისხევის თემის გლეხობის სახელით ამხ. შ. უზნაძე და კასპის გლეხობის სახელით ადგილობრივი გლეხი ნინიაშვილი ვასო. რომელმაც მადლობა უთხრა მთავრობას გლეხების მდგომარეობის გამოსასწორებლად ასეთ დიდ საქმის დაწყებაში და სხვები

ტრიბუნაზე გამოდგა ჭაღარით შემოსილი ოკმელი (ქვ. ჭალის თემი) გლეხი ნონიაშვილი; რომელმაც მეტად დალაგებული და დარბაისლური სიტყვით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. წინეთ ასეთ საქმეს ჩვენ ვინ გვაღირსებდა სთქვა ნონიაშვილმა.

ეხლა კი ჩვენი მთავრობა ჩვენში კულტურის შემოსატანათ, ჩვენი ეკონომიურათ გასაძლიერებლად დიდ საქმეს იწყებს. გლეხებისათვის დღეს ახალი ხანა იწყება და ეს დღე ჩვენ ყოველთვის უნდა ვიდღესასწაულოთ. გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას — გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების კავშირს. ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ნონიაშვილი მქუხარე ტაშის ქვეშ.

კმაყოფილი და მადლიერი დაიშალა გლეხობა. „ძმაო, ეხლა კი გვეშველა. ამ ქარხანასთან გაიხსნება სკოლა, საავადმყოფო და სხ. კულტურული დაწესებულებანი. გვეშველა ძმაო და ეს არის“—ერთი მეორეს ეუბნებოდენ გლეხები. გლეხობამ ზემოაღნიშნულ სიტყვებით სწორად შეაფასა ამ ქარხნის მნიშვნელობა.

შ. ქ.

—:—

თვითნებობის ერთი მაგალითი

რა თქმაა გაუგონარი ამბავი უნდა მოხდეს რკინის გზაზე. ხოლო ამჟამად ეს მართლაც წარმოუდგენელი ამბავი არ შეეხება რკინის გზაზე რაიმე უბედურ შემთხვევას — კატასტროფას.

არა! ეს ამბავი ნამდვილი ბიუროკრატიული ამბავია ის აღმოცენდა, თუ წარმოიშვა, საშემოსავლო ნაწილის უფროსის კაბინეტში გარეგნობით არ ეტყობა რომ ამ საქმეში ერიოს ადგილკომის ხელი, მაგრამ აი თვით ეს გასაკვირალი ამბავი:

საშემოსავლო ნაწილის უფროსი ირემაშვილი, აცნობებს ოფიციალური მოწერილობით რამდენიმე ათეულ ს. ე—ს, ანუ მატარებლის რევიზორებს, რომ ისინი 8 ივნისიდან, მუშაობის რამდენიმედ შემცირების გამო, გადაყვანილნი არიან „ტორმოზნი კონდუქტორებად“. ამიტომ „ჩამაბარეთ ყოველნაირი ანგარიში და საჩქაროთ გამოცხადდით ახალ თანამდებობის ალაგას“.

ესენი არიან (ზოგი) ძველი სადგურის უფროსები, სადგურის მორიგეები რომლებიც ორმოცი წელიწადია რკინის გზაზე მსახურობენ. დღეს ასე ერთი ხელის მოსმით მათი კონდუქტორად ჩამოყენება, ჩამოყენება უმიზეზოთ, უსაბაბოთ—ეს პირდაპირ გაუგონარი ამბავია.

არავინ იფიქროს, რომ ჩამოყენებული რევიზორები შეურაცყოფად სთვლიდენ კონდუქტორის ხარისხებს. არა, მათ კარგათ იციან, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველნაირი შრომა პატივსადებია და პატიოსანი. მაგრამ ამის ცხოვრებაში გასატარებლად არსებობს კანონი, საჭირო იყო ამ ამხანაგების დაძახება. თუ ამას აუცილებლობა მოითხოვდა ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა განეხილათ ეს საქმე. ირემაშვილს ეს საკითხი უნდა შეეთანხმებია პროფკავშირთან. როგორ გონია რკინის გზის ადმინისტრაციას შეიძლებენ კი ეს მოხუცი, ყოფილი სადგურის უფროსები, აი როგორც თუ გინდ სოლომონოვია, კონდუქტორის მოვალეობის ასრულებას? ირემაშვილმა უნდა გვიპასუხოს, რამ გამოიწვია ასეთი განკარგულება.

დაეკითხეთ შეუთანხმა, მან ეს საკითხი ჩვენი კავშირის ორგანოებს და თუ არა რატომ?!

მუშკორი დუღაბი.

„პრივილეგია უნდა მოისპოს“

ლენინის რაიონში აგებული იქნა სახლი, სადაც უნდა მოეთავსებიათ ისეთი მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც განიცდიდენ დიდ გაჭირვებას—უბინაობის გამო. იმ თავითვე დაარსდა კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია შესასახლებელ პირთა მდგომარეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლად აგებულ სახლში ისეთ პირებმა მიიღეს ორ-ორი ოთახი, რომლებიც არავითარ ბინის გაჭირვებას არ განიცდიდენ. ასეთები არიან მაგალითად ნადირაშვილი, წერეთელი, ზურიძე, ზაალიშვილი და ბევრი სხვები. ამავე დროს შეუსახლებელი დარჩენ ისეთი მუშები, რომლებიც უკიდურეს მდგომარეობაში არიან. რით აიხსნება ეს გარემოება.

მუშკორი რკინის გზელი.

საყურადღებო წვრილმანი

— **მიიღეთ ზომები.** სურამის სასამართლოს მდივანი ლადო ისაკია მოხსნეს თანამდებობიდან სამი თვის წინეთ, ხელფასი კი არ მისცეს.

შრომის ინსპექტორი რათ არ იღებს ზომებს მის დასაკმაყოფილებლად?

მუშკორი ზალმან.

— **ვიღრჩობით შეხუთულ ატმოსფერაში.** თბილისის სადგურის კანტორა მოთავსებულია სამ პატარა ოთახში, სადაც მუშაობს 45 კაცამდე. ამ ისედაც დახუთულ ოთახებში ყოველდღე გროვდებიან მემანქანეები, მათი თანაშემწეები, მატარებლის გამყოლები, მზეთავები და სხვ. თამბაქოს ბოლი ნისლივით სდგას ოთახში. ამნაირ ატმოსფერაში მოსამსახურეებს უხდებათ მუშაობა 8 საათის განმავლობაში. საჭიროა ჭერის ამოჭრა და შუშაბანდის გაკეთება მაინც. ამით ჰაერიც გაიწმინდება და ბნელ ოთახებსაც სინათლე მოემატება. ეს არ დაჯდება ძვირი და მუშაობის პირობებს საგრძნობლად გააუმჯობესებს.

ძია-ლევან.

— **აღწევითი გასამრჯელოს გადასინჯვა ესაჭიროება.** პატარ-პატარა სადგურთა უფროსების თანაშემწეები ძალიან ჩამორჩენილი არიან როგორც ხელფასით; ისე აღწევითი გასამრჯელოთი.

მაგალითად მე-4 კლ. სადგურის უფროსის თანაშემწე ხელფასს იღებს მე-13 თანრიგით 15 პროცენტის მიმატებით, ხოლო პირველი კლასისა კი—მე-16 თანრიგით 30 პროცენტის აღწევითი გასამრჯელოს დამატებით.

მართალია, პატარა სადგურებზე, ნაკლებია ტეხნიკური მუშაობა, მაგრამ აქაური თანაშემწეები კომერციულ და ტელეგრაფის სამუშაოსაც ასრულებენ.

საჭიროა ეს გარემოება მხედველობაში მიიღოს საგზაო მომწესრიგებელმა ბიურომ და აღწევითი გასამრჯელო ყველა კლასის სადგურთა უფრ. თანაშემწეთათვის ერთ საშუალო პროცენტში ჩამოაყალიბოს.

კოლარგოლი.

— **რა უშლის ხელს?** ერთი წელიწადი სრულდება, რაც მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეებს დატვირთ-გადმოტვირთვის გასამრჯელო აღარ მიუღიათ. სადგურები ყოველ თვიურად ადგენენ სათანადო ანგარიშს სამმართველოს სატვირთო განყოფილებაში, მაგრამ ამაოდ. აღნიშნული გასამრჯელო დიდ თანხას არ წარმოადგენს, მაგრამ თანამშრომლების წასახალისებლად კაი კარგი საშუალებაა.

ამიერ კავკასიის რკინის გზათა გამგეობამ უეჭველად უნდა გამოარკვიოს და გვაცნობოს თუ რა უშლის ხელს დატვირთ-გადმოტვირთვის გასამრჯელოს დარიგების საქმეს და, ამასთანავე მიიღოს სასწრაფო ზომები მის დაუყოვნებლივ მოსაწესრიგებლად.

კოლარგოლი.

გამოხმაურება

„კომუნისტი“-ს № 122-ში მოთავსებული „ახალშენელის“ წერილის „ნათლიმამობაა“-ს საპასუხოთ ალმასკომის განათლების განყოფილებამ გვაცნობა, რომ მასწავლებელი ქ. დოლიძე მიღებულ იქნა სამსახურში პროფორგანიზაციასთან შეთანხმებით. დოლიძის ქალის დედმამა ახალშენში არ მსახურებენ.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **საგზაო დამზღვევ სალარომ** ტუბერკულიოზით დაავადებულ მუშებისათვის იჯარით აიღო 30 ადგილი აბასთუმნის სანატორიუმში. ავადმყოფი მუშები გაიგზავნებიან აგრეთვე ბორჯომის, ცემის, წყალტუბოს და ახტალის სანატორიუმებში, სანატორიუმში იჯარით აღებული ადგილები წინასწარ განაწილებულია უბნებს შორის.

—**კრეოზოტით გაჟღენთილ შპალებზე** მომუშავე მუშებს კომიტეტის დადგენილებით უნდა მიეცეს სათვალეები, ხელთათმანი და განსაკუთრებული სპეცტანსამოსი. იმ შემთხვევაში თუ სპეცტანსაცმელის გაცემა დაგვიანდება მუშებს მიეცემათ ფულადი კომპენსაცია.

— **ახალი ფარდული,** „ზაკტპო“-ს გამგეობამ დაადგინა გახსნას კოოპერატიული ფარდული სამტრედიის რკ. გზ. კლუბთან.

— **მაღაზია.** ამ დღეებში წაღვერში გაიხსნება „ზაკტპო“-ს მაღაზია.

— **რონოდა - დუქნები.** „ზაკტპო“-ს [illegible] რონოდა - დუქნები, იმ ანგარიშით, რომ რონოდებმა ხაზზე ორჯერ იმგზავროს თვეში.

— **უმუშევრები.** „ზაკტპო“-ს გამგეობამ ხელშეკრულება დასდო უმუშევართა კოლლექტივთან, რათა ახლად გახსნილ სავაჭრო ფარდულებში სამუშაოდ გაიგზავნონ უმუშევართა კოლექტივის წევრები.

— **7 ახალი წერტი.** „ზაკტპო“-ს გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს თბილისში 7 ახალი კოოპერატიული წერტი.

— **თათბირი,** 15 ივნისს ა.-კ. რკ. გზის გამგეობაში შესდგება სამსახურების უფროსთა თათბირი, რომლის მიზანს შეადგენს სტუდენტთა შორის ადგილების განაწილება პრაქტიკაზე.

გამოწვევა

სურებ-ჩოხატაურის გზის გაყვანისათვის

უკვე მესამე თვეა, რაც დაკვრითი წესით წარმოებს მუშაობა ჩოხატაურ-სურების გზატკეცილის გასაყვანად. ოთხი თემის: ბუკის, ციხის, ქვემო, შუა და ზემო - თავსურების მოსახლეობას სრულის ნებაყოფლობით დაუყვია ერთმანეთ შორის 26 ვერსტის სიგრძე გზა და მასზე მუშაობს 15—30 დღის განმავლობაში, ამ გზის გაყვანის ინიციატივა ეკუთვნის თვით ხალხს. მშრომელი გლეხობა ამ საქმეში იჩენს უმაგალითო ენერგიას და გამსჭვალულია უდიდესი ენტუზიაზმით. მას მიუტოვებია საკუთარი ყანა - ბაღი და გასულა საზოგადო სამუშაოზე თავისი ხარჯით, იმდენათ საარსებო მნიშვნელობა აქვს ამ გზას ზემოაღნიშნული თემების მოსახლეობისათვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მთელი გურიისათვის, ვინაიდან სურებიდან გააქვთ უამრავი ყავარი, ყველი, თამბაქო, ნიგოზი, თხილი, თაფლი, პარკი და სხვადასხვა. სამაზრო ადმინისტრაცია და ცენტრალური მთავრობა უწევს ამ საქმეს შესაძლებელ დახმარებას ტეხნიკური მასალით თუ ფულით, მაგრამ ეს საკმაო არ არის. აუცილებლად საჭიროა ამ თემებიდან გამოსულ ამხანაგებმა, რომლებიც გაბნეული არიან საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში დახმარების ხელი გაუწოდონ მათ მამებსა და ძმებს. საჭიროა ყველგან შესდგეს მთავარი სააღმშენებლო კომიტეტის (რომლის საპატიო თავმჯდომარე არის ამხ. ფილიპე მახარაძე), დამხმარე კომიტეტები. ასეთი კომიტეტი თბილისისათვის უკვე აირჩია ამ ოთხი თემის მცხოვრებთა საერთო კრებამ ა.-წ. 25 მაისს.

შემაქვს გაზ. „კომუნისტის“ კანტორაში სურებ - ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ ოცდახუთი მანეთი და ვიწვევ დამხმარე კომიტეტის ყველა წევრებს (გაიღონ წვლილი, მაგრამ არა ნაკლებ თავიანთი თვიური ჯამაგირის 10 პროცენტისა):

ტარასი მგალობლიშვილს, ს. ქორიძეს, ნ. ზამბახიძეს, კ. ეზიაშვილს, გრ. ულენტს, მელ. რამიშვილს, ს. ორაგველიძეს, ზ. ჯაფოძეს, კ. ჯინჭარაძეს, ალ. რამიშვილს, უ. ბარამიძეს, ან. ტრაპაიძეს, ს. თოხაძეს და ვლ. ბარამიძეს.

დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე

ბარონ ბიბინეიშვილი.

—:—

მინაწერი: გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას ვსთხოვთ დაგვითმოს პატარა კუთხე ორი კვირის განმავლობაში. სასურველია ამ ხნის განმავლობაში მოთავსდეს გამოწვევები.

ბ. ბ.

პროფკავშირებში

სტუდენტების სწავლის გადასახადი

პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ დაავალა პროფსექციათა ალმასბიუროებს და პროფკომებს დაამუშაონ სწავლის დამთავრებამდე საკითხი მომავალ სამოსწავლო წელში სასწავლო გადასახადის შესახებ. ამის შემდეგ სტუდენტთა პროფორგანიზაციების შეხედულებანი სწავლის ფულის შესახებ შეთანხმებული იქნება სათანადო ორგანოებთან.

ადგილების განაწილება

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაღებულ თანხებით პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ შეიძინა 51 საკურორტო ადგილები, რომლებიც განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: სახელმწიფო უნივერსიტეტს 14 სანატორიუმში, 11 პანსიონატში, სულ 25 ადგილი პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს 8 ადგილი, ქართულ მუშფაკს 6 ადგილი, რუსულ მუშფაკს—5, სომხურს—3, რკინის გზის—1, კონსერვატორიას—1, სამხატვრო აკადემიას—1, ა.-კ. უნივერსიტეტს—1.

სტუდენტთა კვირეულის საბოლოო შედეგები

პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს ცნობით სტუდენტთა კვირეულმა შემოიტანა 8210 მ. 91 კ., გასავალი უდრიდა 957 მ. 11 კაპ.. სულ წმინდათ შემოვიდა 7.253 მან. 80 კაპ. პროლეტ. სტ. ბიუროს დადგენილებით ზემოაღნიშნულ თანხიდან 3.500 მანეთი გაუნაწილდებათ პროპორციონალურად მოსწავლეთა საერთო რიცხვის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლების ურთიერთ დამხმარე სალაროებს. აღნიშნულ თანხის გასანაწილებლად ბიურომ გამოყო სამი კაცისაგან შემდგარი კომისია.

სამეცნიერო ტეხნიკურ წრეების კონფერენცია

პროლეტარულ სტუდენტთა ბიურო სამეცნიერო ტეხნიკურ წრეების კონფერენციას იწვევს სამოსწავლო წლის დასაწყისში. პრ. სტ. ბიურომ წინადადება მისცა ალმასბიუროებს დაამუშაონ ამ დროისათვის სამეცნიერო ტეხნიკურ წრეების მუშაობის შესახებ ყველა მასალები.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში

— **წრეების მუშაობის გაფართოების** საჭიროებისათვის კავშირის ც. გამგეობამ გადასწყვიტა საზამთრო კლუბის შენობა გააფართოოს, რისთვისაც უკვე გადადებულია 5.079 მანეთი.

— **ექსკურსია მოსკოვში.** კავშირის ც. გამგეობა მუშფაკების სტუდენტთათვის მოსკოვში ახლო მომავალში აწყობს ექსკურსიას.

— **ქალაქის აბანოებთან** არსებულ წითელი კუთხის საჭიროებისათვის კავშირმა გადასდო 30 მანეთი.

— **პროფსკოლის გამოშვება.** კავშირის ცენტრალური გამგეობა შაბათს 11 მაისს ჩაატარებს რუსულ და ქართულ პროფსკოლის გამოშვებას.

— **შტატის გადიდება.** გოგირდის აბანოებისათვის კვირაობით მუშაობის დაწესების გამო აბანოების ადმინისტრაციის შტატი გადიდებულ იქნება 15 კაცით.

ალმშენებელთა კავშირში

— ალმშენებელთა კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა ის უმუშევარი, რომელიც სამუშაოზე წასვლაზე უარს განაცხადებს გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

— **აღრიცხვა სავალდებულოა.** კავშირის ც. გამგეობის დადგენილებით კავშირის წევრ უმუშევართათვის სავალდებულოა აღრიცხვა საშუამავლო ბიუროში.

მედსანშრომის კავშირში

— **საერთო კრება.** დღეს საღამოს 9 საათზე ჯანსახკომის სანეპიდგანის დარბაზში (ევანგულოვის ქ. № 12) მოწვეულია აფთიაქების ყველა თანამშრომელთა სასწრაფო კრება. კრება განიხილავს ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს.

— **მივლინება.** ფარმაცევტიულ საქმის სათანადოთ დაყენებისათვის კავშირმა გადასწყვიტა მოსკოვში მიავლინოს მომზადებული პირი უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

საქართველოს ცაკში

დახმარების აღმოსაჩენად

სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ იმ ექვსასი მანეთის გარდა, რომელიც ამას წინათ გაგზავნა, გუშინ კიდევ გადაგზავნა დუშეთის მაზრაში ხუთასი (500 მან.) მანეთი იმ პირებისათვის ერთდროულათ დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც 9 წლის წინათ რევოლიუციონურ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

20.000 ფუთი სიმინდი შორაპნის მაზრისათვის

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ შორაპნის მაზრის ინვალიდების კოოპერატივს „საშუალება“-ს ნება დართო შინა - ვაჭრობის კომისარიატთან შეთანხმებით მოსახლეობის საჭიროებისათვის შემოიტანოს ჩრდილოეთ - კავკასიიდან ზესტაფონში. ოცი (20.000) ათასი ფუთი სიმინდი.

ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატში

კონტროლი საექსპორტო საქონელის ღირსებაზე

საექსპორტო თათბირმა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ექსპორტიორებთან შეთანხმებით აუცილებლად სცნო მოეწყოს ბათომში სპეციალური საკონტროლო პუნქტი, რომელმაც მეთვალყურეობა უნდა იქონიოს საზღვარგარეთ გასაგზავნ საექსპორტო საქონლის ღირსებაზე. პუნქტი გაიხსნება 1-ლი ივლისიდან.

მეორე ხარისხოვანი ექსპორტი

საექსპორტო თათბირის უკანასკნელ სხდომაზე ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უფლება მიეცა გაიტანოს საზღვარგარეთ მთელი რიგი მეორე ხარისხოვანი საქონელი; ამავე დროს მას უფლება მიეცა ამ საქონლის გასაღებიდან აღებულ ვალიუტის 35 პროცენტით შემოიტანოს საზღვარგარეთიდან სხვადასხვა საქონელი. თათბირმა აღნიშნა, რომ სხვა ექსპორტიორებისა და სამეურნეო ორგანოებისაგან ჯერ მიღებული არ არის განცხადება, თუ რის გატანას აპირებენ ისინი, და გადაწყვიტა წინადადება მისცეს მათ დააჩქარონ გეგმის წარმოდგენა დასამტკიცებლად.

თევზის ექსპორტი

10—13 ივნისს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა თევზის პროდუქტების ექსპორტის საკითხები. თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსა და „აზრიბა“-ს შორის. სასურველად იქნა ცნობილი „აზრიბას“ მთელი საექსპორტო პროდუქციის გასაღება საზღვარგარეთ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით.

ტრამვაი

ზაჰესის ენერგიაზე

გუშინ თბილისის ტრამვაის ცხოვრებაში მოხდა საყურადღებო ამბავი: მიღებულ იქნა პირველი აგრეგატი იმ სამი აგრეგატიდან, რომელნიც საჭიროა ტრამვაის გადასვლისათვის ზაჰესის დენზე. ამ აგრეგატის დასადგმელად მოსკოვიდან ჩამოვიდა სახელმწ. ელექტრო-ტრესტის ინჟენერი და მონტიორი.

ზაჰესის დენი, როგორც ცნობილია, ცვალებადია, ტრამვაისათვის კი საჭიროა მუდმივი დენი. ამის გამო საჭირო შეიქნა განსაკუთრებული გადამმუშავებელი სადგურის მოწყობა ტრამვაისათვის ენერგიის მისაწოდებლად. ამ სადგურის მოწყობა უკვე დაიწყო. ამ სადგურში დაიდგმება პირველი აგრეგატი. ეს პირველი აგრეგატი უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში ამუშავდება. პირველი აგრეგატის ამუშავებისთანავე ამუშავებულ იქნება მეორე აგრეგატიც, რომელიც, თბილისში მიღებული ცნობებით, უკვე ვადაცემულია ქარხანაში და მალე გამოგზავნიან. მესამე აგრეგატი, ცოტა დაიგვიანებს.

ყოველ შემთხვევაში, ტრამვაის ნაწილობრივი გადასვლა ზაჰესის დენზე ოთხი თვის განმავლობაში განხორციელდება.

ახალი ხაზები

თბილისის ტრამვაის სამართველო ენერგიულად ემზადება ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანად. ეს საკითხი დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად მალე იქნება მიღებული 100.000 ფუთი რელსი, რომელიც დაკვეთილია დნეპრის ქარხანაში ეკატერინოსლავში.

რელსები საჭიროა არა მარტო ახალი ხაზების გასაყვანად, არამედ უკვე არსებული ხაზების გადაკეთებისათვის.

როგორც იქნება მიღებული ახალი რელსები, მაშინვე დაიწყება მთელი ტრამვაის ქსელის შეკეთება.

ამასთან ერთად გაყვანილ იქნება ახალი ხაზები. პირველ რიგში ხაზი გაყვანილ იქნება ვაკეში, შემდეგ ღრმა ღელეში. ეს ხაზი იქნება [illegible] დასაწყისი მომავალი ტრამვაის ხაზისა ზაჰესამდე.

პატარა ფელეტონი

„საზღვარ გარეთ გახიზნული მენშევიკები ავრცელებენ ხმებს, რომ საქართველოში ებრაელები, ჩინელები და რუსები დგანან სახელმწიფო ორგანოების სათავეში. ასეთივე ზღაპრებით იყო გავსებული პოლონელ მენშევიკების საპირველმაისო პროკლამაცია“.

(გაზეთებიდან)

კიდევ კარგი, თუ ჩინეთად არ აქციეს იბერია

პოლონელმა მენშევიკმა
ქართველ მენშევიკს მისწერა:
(„სტუმრად გახლავთ უცხოეთში“
ასეთი აქვთ ბედისწერა):
—„თქვენგან ცნობის უქონლობამ
საქმეები შეგვიჩერა,
ტყვილებს ჩვენც ვთხზავთ, ვწვალობთ, მაგრამ
აღარავინ დაგვიჯერა.
უშნო-უშნო ტყუილებით
ხალხი მეტად გაიბერა,
მოგვაწოდეთ რამ „საკბილო“,
თუ ასეთი გაიგეთ რა“.

⁂

უცხოეთში „სტუმრად“ მყოფებს
გული სიმწრით დაესერა,
რა მივსწეროთ, სთქვეს, ისეთი,
რომ არ გვეთქვას არსად ჯერა?
ბევრი ფიქრეს, ბევრი ზომეს,
ვერ იპოვეს მაინც ვერა,
და ფანჯრიდან „ოსობნიაკის“
ნაღვლიანად იწყეს ცქერა.

⁂

ცა პირქუში დასწოლოდა
დედამიწას, როგორც ძერა,
სწვიმდა გარეთ... სწვიმდა სულშიც...
და შორს იყო სახლი, კერა...
უცბად, უცბად ერთ-ერთ თავში
(თავი იგი იყო ქერა)
რამ „საკბილო“ აზრი გაჩნდა
და წუთშივე დაიწერა.
სწერდა ასე პოლონეთში
მენშეკივი მენშევიკებს:
—„დიდი ჭკუამახვილობა
ძმებო ტყვილად როდი გვიქეს!..
ისეთ ცნობას გაწვდით ეხლა,
რომ ქვეყანას გააკვირვებს:
ნიღაბს ავხდით საბჭოების
ხელმძღვანელთა ზოგ-ზოგ პირებს.
რუს—ებრაელ—ჩინელები,
განაგებენ საქართველოს,
ჩვენი მხარე უცხო ხალხმა
უნდა სჭამოს, უნდა სწველოს?
მაგალითი? ელიავა
სახკომსაბჭოს თავმჯდომარე,
ებრაელი არის წმინდა.
(ცნობა როგორ დავაძმარეთ!!)
ებრაელურ სახელისგან
წარმოსდგება მისი გვარი,
ელიას—ვა მიუმატეს
და ქართველიც მყის მზად არის.
მას სახელი თქვენ გგონიათ
შალვა ქვია? სულაც არა!
სახელიც კი ებრაული,
შალომისგან წარმომდგარა.
თავმჯდომარის მოადგილე
სიმონია იქ ჟულელი.
ის თუ რუსი არ იქნება
ჰა მომჭერით მაშინ ხელი.
გვარად არის ჩუგელინი,
შეუცვლეს აქ ჟულელად
და ამგვარად გაქართველდა
ნაღდი რუსი კაცი ხელად.
ჩინელები რომელია?
კახიანი და ბერია.
(ხელში უნდა ჩაუვარდე
ბედი თუ არ გიწერია).
კა-ხი-ან-მინ და ბე-რინ-ან
აი მათი გვარი სწორი.
კვლავაც რამდენი ჩამოვთვალოთ
ერთი არის აქ თუ ორი?!!

⁂

დასწერეს და გააგზავნეს
მათ სასწრაფოდ იგი ცნობა,
და ამგვარად ჭირში მყოფებს
გაუწიეს „ძმებმა ძმობა“.
ამტკიცებენ: ჩინელია,
კახიანი და ბერია,
კიდევ კარგი, რომ ჩინეთად
არ აქციეს იბერია.

ხოზიკა.

აგრონომიული თათბირი

7 ივნისს გაიხსნა და 13-ში დასრულდა აგრონომიული თათბირი, რომელიც მოაწყო ა.-კავკ. მებამბეობის კომიტეტმა. თათბირი ეხებოდა აგროღონისძიებებს მებამბეობის დარგში. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ა.-კავკ. რესპუბლიკების მიწსახკომის მუშაკებმა—აგროდახმარების და მავნებლებთან ბრძოლის ხაზით, ა.-კავ. ინსპექციამ, პროფესორებმა და სხ. თათბირს თავმჯდომარეობდა ა.-კავ. მებამ. კომიტ. გამგეობის წევრი თ. **გოგინეიშვილი.** დღის წესრიგში იდგა საკითხები: წარსული და მიმდინარე წლის ანგარიში აგრო-დახმარებაში და მავნებლებთან ბრძოლის მოწყობაში, პრაქტიკული ღონისძიებანი ბამბის მოსავლის ასაწევათ და მომავალი მოქმედების გეგმა. მოხსენებები აღნიშნულ საკითხებზე გააკეთეს:

1) ადერბეიჯანიდან—აგროდახმარების შესახებ აგრონ. **ახუნდოვმა,** მავნებლებთან ბრძოლის შესახებ—**რადიონოვმა.**

2) სომხეთიდან—აგროდახმარებაზე—აგრ. **ივ. პირუმოვმა,** ბამბის მავნებლებზე—**დემოკიდოვმა.**

3) საქართველოდან—აგროდახმარებაზე—აგრ. **ი. ქურდიანმა,** მავნებლებზე— **ნ. კოკაშვილმა.**

თათბირმა ბევრი მწვავე საკითხები გაარჩია და შეეხო ყველა ნაკლს, რომელიც მოიპოვებოდა ხსენებულ ორგანიზაციების მუშაობის ხაზით. აღნიშნა აგრეთვე, რომ მუშაობა ტარდება გეგმით და დიდი მიღწევებიც გვაქვს ამ დარგში უკანასკნელ 2 წელიწადში.

მიღებული იყო მრავალი დადგენილება ამა თუ იმ საკითხზე.

მიღებულ რეზოლიუციებში აღსანიშნავია აგროდახმარების ხაზით: 1) სას.-სამ. ინვენტარის გავრცელების, ტრაქტორების მომარაგების, სახელოსნოების მოწყობის და გასაქირავებელ პუნქტების გახსნის შესახებ, 2) საჩვენებელ და მთავარ ნაკვეთების ორგანიზაციის შესახებ, 3) და სასუქების გავრცელების შესახებ. უკანასკნელმა საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. საქმე იმაში არის, რომ ცენტრიდან იგზავნება ა.-კავკ. რესპუბლიკებში 700 ტონი სუპერფოსფატი და ეს სასუქი უნდა განაწილდეს მებამბეობის რაიონებში, როგორც საცდელ, საჩვენებელ ნაკვეთებზე და სახალხო მამულებში, აგრეთვე გლეხის მეურნეობაშიც. სასუქის შეტანა სავალდებულოა ზოგიერთ გამოყოფილ რაიონებში.

კრებამ გამოთქვა სურვილი შემცირდეს საჩვენებელ ნაკვეთების რიცხვი. ამ ჟამად ადერბეიჯანში გამოყოფილია 920 საჩვ. ნაკვეთი, სომხეთში—200 და საქართველოში 110.

მავნებლებთან ბრძოლა მოწყობილია სამივე რესპუბლიკებში, სწარმოებს აგრეთვე მთელი რიგი გამოკვლევები მავნებლების შესასწავლათ. ადერბეიჯანში მთავარი ყურადღება მიქცეულია ბამბის ხვატარის, სომხეთში—ჩირის და საქართველოში ბამბის ტილის შესწავლაზე.

ცისფერი მატლის წინაალმდეგ, რომელიც გავრცელებულია სპარსეთში, მიღებულია ზომები, რომ არ იქნეს შემოტანილი ჩვენს რესპუბლიკებში. მავნებლებთან ბრძოლისათვის გადადებულია შესაფერი კრედიტები ყველა რესპუბლიკებში.

აგრ. ი. ქურდიანი.

ემ. ნიუმანის გამგზავრება

14 ივნისს თბილისიდან ყირიმში გაემგზავრა ცნობილი ამერიკელი მოგზაური ემანუილ ნიუმანი.

ნიუმანზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საერთოდ საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ.

მე დავათვალიერე აქ — სთქვა ნიუმანმა—თქვენი მუზეუმები, სკოლები და სხვ. და შემიძლია ვსთქვა, რომ ამერიკელებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცხოვრებას პერიოდული პრესის საშუალებით ეცნობიან, არავითარი წარმოდგენა არ აქვთ საბჭოთა კავშირზე.

საბჭოთა კავშირის ცხოვრება სულ სხვაა სინამდვილეში, ვინემ ის, რასაც ყოველდღე აწვდიან ამერიკელ მკითხველებს ბურჟუაზიული გაზეთები“.

დახმარება

უმუშევარ მასწავლებლებს

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა უმუშევარ განათლების მუშაკებისათვის დახმარების აღმოსაჩენად დააწესა შემდეგი ნორმები:

მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები, რომელთაც აქვთ 5 წლიანი საწარმოო და საკავშირო სტაჟი, უმუშევრობის დროს მიიღებენ 15 მანეთს (პირველ ზონაში), 12 მანეთს (მეორე ზონა) და 10 მანეთს (მესამე ზონა) თვეში. ამავე ჯგუფის უმუშევრები, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ 2 წლის საკავშირო და საწარმოო სტაჟი, მიიღებენ ზონების თანახმად 12, 10 და 8 მანეთს თვეში.

არაკვალიფიციური და ნაკლებ კვალიფიციური მუშაკები, თუ მათ აქვთ 5 წლის სტაჟი, მიიღებენ 10, 8 და 6 მანეთს, ნაკლები სტაჟის დროს კი—9, 7 და 5 მანეთს თვეში.

მუშაკები, რომლებიც თავის სურვილით დაანებებენ თავს სამსახურს, ისეთი მუშაკები, რომლებიც უარს იტყვიან არა საპატიო მიზეზით შეძლეულ სამუშაოზე და კავშირის წევრები, რომელთა ოჯახში არის მომუშავე, დახმარებას ვერ მიიღებენ.

სამალარიო ექსპედიცია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით პირველი ივლისიდან კახეთში და სამხრეთ-ოსეთში იგზავნებიან სამალარიო ექსპედიციები. კახეთში მიმავალ სამალარიო ექსპედიციაში შევლენ სპეციალისტი მალიარიოლოგები, გეოლოგი, ტოპოგრაფი და ჰიდრო-ტეხნიკოსი.

ექსპედიცია შეუდგება კახეთის ციებ-ცხელებიანი ადგილების გამოკვლევას, მალარიის გავრცელების მიზეზების შესწავლას, სამალარიო უბნების გეოლოგიურ და ტოპოგრაფიული მდგომარეობის შესწავლას და გამოიმუშავებს მალარიასთან ბრძოლის პრაქტიკულ ღონისძიებებს. გარდა ამისა ექსპედიციას დავალებული აქვს აგრეთვე მისცეს რჩევა ადგილობრივ სამალარიო სადგურებს მალარიასთან ბრძოლის საშუალებების შესახებ.

სამხრეთ-ოსეთში მიმავალ ექსპედიციას ევალება ჩაატაროს მოსახლეობის მკურნალობა და ამასთან ერთად შეისწავლოს სამხრეთ-ოსეთში მალარიის გავრცელების მიზეზები.

გამოფენა მილანში

აპრილში მილანში გაიმართა დიდი საერთაშორისო გამოფენა. ამ დღეებში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიიღო წერილი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობისაგან იტალიაში, საიდანაც სჩანს, რომ გამოფენაზე საბჭოთა საექსპორტო საქონელმა, კერძოდ ამიერ-კავკასიიდან გაგზავნილმა საქონელმა დიდი ინტერესი გამოიწვია იტალიის ფირმების შორის.

ამიერ კავკასია გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოთი, რომელმაც გამოფენაზე გაგზავნა მთელი რიგი ექსპონატები. იტალიის ფირმების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამიერ-კავკასიის ხალიჩებმა, ნაწლავებმა, ჯაგარმა, ფანერამ, აბრეშუმის პროდუქტებმა, მუხის მასალებმა, კაკლის ხემ და სხვ.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ექსპორტიორებს გამოიყენონ გამოფენის მასალები ჩვენი ექსპორტის გასაძლიერებლად და იტალიისათვის ამიერ-კავკასიის საექსპორტო საქონლის მისაწოდებლად სავაჭრო წარმომადგენლობის საშუალებით.

ამასთანავე ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა იმ მიზნით, რომ ჩვენს მონაწილეობას უცხოეთის გამოფენებზე და ბაზრობებზე მუდმივი და გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცეს, შემუშავებული იქნეს ამ დარგში მუშაობის კალენდარული გეგმა ამ საქმეში დაინტერესებულ ექსპორტიორების ჩაბმით.

ბეწვეულის დამზადება

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა საზღვარგარეთ გასატანად ამიერ-კავკასიაში დაამზადა 60.000 მანეთის ბეწვეული.

ამას გარდა, პარიზის და ნიუ-იორკის ბაზრებზე გასატანად ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ დამზადებულია 150.000 მანეთის ბეწვეული.

მთელი საექსპორტო ბეწვეული ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის და ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ დამზადებულია კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრების — ცეკავშირის, აიგიუხკოოპის და აზერიტიფაკის საშუალებით.

ვერის კატასტროფის გარშემო

კომისიის დასკვნები

ვერის გზატკეცილზე მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა. კომისიის მიერ შედგენილ აქტში კატასტროფის მიზეზები ახსნილია შემდეგნაირად:

ვერის ძველი სასაფლაოს ჩრდილოეთით, ვერის ბორანის მიმართულებით, კლდის თავზე აღმოჩნდა ძველი ნაპრალი, რომელსაც ზემოდან გადაყრილი ჰქონდა ფხვიერი მიწა ამ მიწაში ადვილად გადიოდა წვიმის წყალი და უჯდებოდა ნაპრალის საშუალებით კლდის ფენებს, რომელთა შორისაც კომისიამ აღმოაჩინა წყალში ადვილად გასახსნელი მარილები (სულფატები). მარილების გახსნის შემდეგ ფენებს შორის თავი იჩინა სისველემ; ამის მიზეზით მოხდა ფენების აცურება ერთი მეორეზე.

კატასტროფის შემდეგ წარმოიშვა ორი ახალი დიდი ნაპრალი, ერთი — 2 საჟენისა და მეორე—1 საჟენის სიგანის. ორივე ნაპრალის სიღრმე აღემატებოდა 3 საჟენს.

კატასტროფის გეოლოგიური მიზეზები

კომისიის მიერ ჩატარებულმა გეოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა: 1) ჩამონგრეული ადგილის ზედაპირს ჰქონდა 30 გრადუსის დაქანება, 2) კლდის ჩამონგრეულ ფენებს შორის ნამდვილათ აღმოჩნდენ სულფატები, 3) წვიმის წყალს შესაძლებლობა ჰქონდა გასულიყო ფენების სიღრმეში, რასაც ხელს უწყობდა კლდეში არსებული პატარ-პატარა ნაპრალები და ბოლოს 4) კლდის მასა ჭარბათ იკვებებოდა სასაფლაოს ქვემოთ მდებარე მოედნის ჩაღრმავებულ ადგილას დაგროვილი წვიმის წყლით.

ბრძოლა კატასტროფების შესაძლებლობებთან

კომისიის მიერ შედგენილ აქტში ნავარაუდევია თბილისში კატასტროფების მხრივ საფრთხიანი ადგილების გამოკვლევა. უპირველეს ყოვლისა კომისიამ შესაძლებლად მიაჩნია კატასტროფის განმეორება იმავე ადგილას. ამიტომ გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული კატასტროფის ადგილას დარჩენილი კლდის ჩამონგრევა. სამისო მუშაობა დაწყებულ უნდა იქნეს ზევიდან კლდის ირიბულათ ჩამოჭრის საშუალებით.

დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაწყებული აგრეთვე სხვა ადგილების გამოკვლევა და დაწესდეს ყველა ასეთ ადგილებზე სისტემატიური მეთვალყურეობა.

ქართველი ექიმები მიმდინარე მომენტის შესახებ

ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება თბილისის ექიმთა საერთო კრებაზე

11 ივნისს, შაბათ საღამოს, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თბილისის ექიმების და კბილის ექიმთა საერთო კრება, რომელზედაც საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ღოღობერიძე.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება

ინგლისის კონსერვატორების მთავრობა, დაიწყო ამხ. ღოღობერიძემ, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ათასგვარი ინტრიგებით და ყალბი დოკუმენტებით ილაშქრებდა საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ და ეწეოდა ომის პროვოკაციას. მან ვერ მიაღწია მიზანს—ეს, მხოლოდ, იმიტომ, რომ ინგლისმა კონტინენტზე ვერ გამონახა საჭირო მოკავშირეები საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ. შემდეგ მან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ჩვენთან. მაგრამ შუბლმაგართა მთავრობა აქაც მოსტყუვდა. ურთიერთობის გაწყვეტის ლოღიკური შედეგი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის ომის გამოცხადება, მაგრამ ინგლისს არ შეუძლია ეს, რადგან ურთიერთობის გაწყვეტამ არ გამოიწვია ენტუზიაზმი არა მარტო სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების, არამედ თვით ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებშიაც კი. მიუხედავათ ამისა, ინგლისი მაინც არ ჰყრის იარაღს და მოქმედობს თავისი ვერაგული და ყალბი დიპლომატიის საშუალებით. ის ტყვიებს უშენს ჩვენს წარმომადგენლებს, რისთვისაც იქირავებს მკვლელებს ემიგრაციის ჭაობიდან.

ამხ. **ვოიკოვის** მოკვლა ვარშავაში ჩვენ უფლებას გვაძლევს სავსებით და მთლიანად მივაწეროთ ინგლისის მთავრობას. ამხ. ვოიკოვის მოკვლა შედეგია იმ მხეცური ღვარძლიანი პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებს ინგლისი ჩვენს წინაალმდეგ და ამით მოქმედების თავისუფლებას აძლევს ყველა არამზადებს თეთრ გვარდიელთა ბანაკიდან.

საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამ დღეებში გაზეთებში, მოყვანილია მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ ინგლისის უეჭველ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის მეურნეობის დანგრევის საქმეში. ინგლისი, ერთის მხრივ, სცდილობს ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით და მკვლელობით დაარღვიოს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი სამეურნეო ცხოვრება, მეორეს მხრივ კი იღებს ყოველგვარ ზომებს, რომ პროვოკაციის საშუალებით ომში ჩაითრიოს საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები კარგად გრძნობენ, თუ რა საშიშროებას უმზადებს საერთაშორისო მშვიდობიანობას ინგლისის პოლიტიკა. ყველა ქვეყნების მშრომელები მშვენივრად ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ ომი არ იქნეს. ამ მიზნით ჩვენ ვამჟღავნებთ ყველა ვერაგულ მახინაციებს და ბინძურ განზრახვებს და, ამრიგად, ვაფრთხილებთ ყველა პატიოსან მოქალაქეებს და მშრომელებს, რომ ისინი ემზადონ საბრძოლველად ომის წინაალმდეგ.

ჩვენი დამოკიდებულება თანამედროვე მომენტთან რამოდენიმე სიტყვით შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ჩვენ, ე. ი. საბჭოთა კავშირს, ომი არ გვინდა, მაგრამ თუ კაპიტალისტები გაბედავენ მის დაწყებას, ჩვენ ამ ომის არ გვეშინია, ჩვენ შეკავშირებულად შევხვდებით მას. ყველა ქვეყნების და პირველ რიგში ინგლისის კაპიტალისტებს სურთ ომის გამოწვევა და ყოველი საშუალებით ცდილობენ დააჩქარონ იგი. მაგრამ ამასთანავე მათ ეშინიათ ამ ომის, რადგანაც მშვენივრად იციან, რომ მათი ზურგი მრავალმილიონიან მშრომელების სახით ომის დაწყების შემთხვევაში მათ წინაალმდეგვე გაილაშქრებს და იბრძოლებს საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად.

მშრომელი ინტელიგენციის მოვალეობაა—პროტესტი განაცხადოს მოსალოდნელი ომის წინაალმდეგ, და ამასთანავე მოემზადოს და სხვაც მოამზადოს იმ შემთხვევისათვის, თუ იმპერიალისტები გაილაშქრებენ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ.

ამ გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობაში ჩვენი ქართველი ემიგრანტები ჟორდანიას „მთავრობის“ სახით, რასაკვირველია, განზე არ დარჩენ. მათ გონიათ, რომ დადგა დრო, როდესაც შეიძლება ანგარიშის გასწორება ბოლშევიკებთან.

დასასრულ ამხ. ლ. ღოღობერიძე მოუწოდებს კრებას პროტესტი განაცხადონ იმპერიალისტების პროვოკაციის წინაალმდეგ.

ამხ. ღოღობერიძის მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ რამოდენიმე ორატორი—ექიმები და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

ექ. კ. ტ. ლორთქიფანიძე

— ამხ. ღოღობერიძის მოხსენებიდან ჩვენთვის ნათელი შეიქნა, რომ ჩვენს წინაალმდეგ მზადდება ფარული, მაგრამ დაბეჯითებითი და გეგმაშეწონილი თავდასხმა ინგლისის ბურჟუაზიის მხრიდან.

ჩვენ კი გვინდა ჩვენი ცხოვრება მოვაწყოთ სრულიად ახალ პოლიტიკურ - ეკონომიურ საფუძვლებზე. ამ მხრივ ძალიან ბევრია ვაკეთებული სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყველა დარგებში. ეს უკანასკნელი გარემოება, რასაკვირველია, შიშს იწვევს ბურჟუაზიის რიგებში. ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის, რომ ჩვენი სახელმწიფო თანდათან მაგრდება და ამ სახელმწიფოს შეუძლია აამოძრაოს დასავლეთის მშრომელი მასები გაბატონებული კლასების წინაალმდეგ. და ბურჟუაზია ცდილობს იხსნას თავისი თავი.

ჩვენ ომი არ გვინდა და ეს მრავალჯერ განუცხადებია ჩვენს მთავრობას. ჩვენ, სახალხო ჯანმრთელობის მუშაკებმა გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ არც ჩვენ გვინდა ომი, რადგან ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ის საშინელი შედეგები, რომელიც მას მოჰყვება მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის.

მაგრამ არის ემიგრაციის წრეები, რომლებიც სცდილობენ ომის გამოწვევას; ისინი ყველა ზომებს იღებენ, რომ პროვოკაციის საშუალებით ომი გამოიწვიონ და შემდეგ გამოიყენონ იგი თავის მიზნებისათვის.

ჩვენ ექიმებმა დღეს უნდა გამოვსთქვათ ჩვენი ღრმა აღშფოთება და სიძულვილი, როგორც ევროპის იმპერიალისტების მიმართ, რომლებიც სცდილობენ ჩვენს აფეთქებას, ისე, განსაკუთრებით, ჩვენი არამკითხე ჭირისუფლების მიმართ ქართული ემიგრაციიდან, რომლებიც მზათ არიან ჩვენი ხალხი ჩააბან ახალ ავანტიურაში. დროა შევძახოთ ამ ვაჟბატონებს: „დაგვეხსენით! ნუ ზრუნავთ ჩვენზე“. ჩვენ უნდა განუცხადოთ მთავრობას, რომ სავსებით მხარს უჭერთ მას ყველა საქმეებში. და თუ ჩვენი სურვილის წინაალმდეგ ჩვენ მოწმენი ვიქნებით რაიმე გართულებისა, ჩვენ პატიოსნად და გულწრფელად შევასრულებთ საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას ბოლომდი.

პროფ. მაჭავარიანი

ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენებიდან ჩვენ საშუალება გვქონდა გავსცნობოდით საერთაშორისო მდგომარეობას. მოხსენებიდან სჩანს, რომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდი კავშირის დიდი გემი ჯერ არ შესულა მშვიდობიანობის ნავთსადგურში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მშვიდობიან შრომაში ვართ ჩაბმული და ომი არ გვინდა, საერთაშორისო იმპერიალისტები ახალ სისხლის ღვრას გვიმზადებენ. ჩვენ გვახსოვს 1914 წლის იმპერიალისტური ომი. ჩვენი მეხსიერებიდან ჯერ არ წაშლილა ის საშინელებანი, რომელიც ამ ომმა მოგვიტანა. ომს მოჰყვა დიდი ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც დაანგრია ძველის ყველა ნაშთები და შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას.

მე მგონია ვერავინ ვერ დამწამებს არაგულწრფელობას თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ამჟამად უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში ვართ ჩაბმული. წინეთ თუ აკრძალული იყო მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, ეხლა ჩვენ გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი, სადაც მშობლიურ ენაზე ვეწაფებით მეცნიერებას. და ისეთ მომენტში, როდესაც ჩვენ ასეთ აღმშენებლობაში ვართ ჩაბმული, ჩვენ ისევ ახალ ომს გვიმზადებენ. თვითეულ ჩვენგანს არ შეუძლია გვერდში არ ამოუდგეს მთავრობას და მასთან ერთად არ აღიმაღლოს თავისი ხმა და პროტესტი არ განაცხადოს მოსალოდნელი ომის წინაალმდეგ.

მე არასოდეს არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ეხლა არ შემიძლია ჩემი პროტესტი და ზიზღი არ ამოუცხადო მენშევიკ-ავანტიურისტებს, რომლებიც სცდილობენ ახალი სისხლის ღვრა გამოიწვიონ საქართველოში.

პროფ. ალადაშვილი

ორატორი ეხება რეაქციის თავდასხმას საბჭოთა წარმომადგენლობაზე და ამხ. ვოიკოვის მოკვლას და აღნიშნავს, რომ ყველა ამ პროვოკაციის მიზანია საბჭოთა კავშირის მშრომელების ჩაბმა ახალ ომში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა,—ამბობს **პროფ. ალადაშვილი.**— იმპერიალისტურ ომთან ერთად ჩვენ ქართველი მენშევიკები გვიმზადებენ მეორე ომს—სამოქალაქო ომს. თუ ომი საშინელია, მით უმეტეს საშინელია ჩვენთვის ეხლა სამოქალაქო ომი. ამიტომ თვითეულმა ჩვენთაგანმა ხმა უნდა აღიმაღლოს ამის წინაალმდეგ. თუ ომი მოხდა, ჩვენ ყველანი უნდა დავდგეთ მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის და კულტურის დასაცავად.

ნ. ა. ყიფშიძე

ბევრი ჩვენგანი აქტიურ მონაწილეობას არ ვიღებთ პოლიტიკაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ პოლიტიკაში ვერ ვერკვევით. თუ აქამდე კიდევ ჩვენ პასიური ვიყავით პოლიტიკურად, ეხლა ჩვენ ყველანი გვერდში უნდა ამოუდგეთ ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად ჩვენი ღრმა აღშფოთება და პროტესტი უნდა განვაცხადოთ ახალი ომის წინაალმდეგ, რომელსაც ჩვენ გვიმზადებენ.

იმპერიალისტურ ომთან ერთად ჩვენ გვიმზადებენ სამოქალაქო ომსაც. მე გეკითხებით თქვენ, რისთვის უნდა იბრძოლოს ქართველმა ხალხმა და მისმა ინტელიგენციამ მენშევიკებთან ერთად? ჩვენ კარგად გვახსოვს მათი ბატონობა ჯერ რუსეთში და შემდეგ საქართველოში. მერე რა მოუტანეს მათ ქართველ ხალხს? არაფერი. როდესაც კერენსკი და წერეთელი მოსკოვში იჯდენ, ისინი მუშტით ემუქრებოდენ ყველა იმ წვრილ ერებს, რომლებმაც რევოლიუციის შემდეგ მოინდომეს თავისი ცხოვრების მოწყობა ისე, როგორც ეს მათ სურდათ.

მონარქისტებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. მე ვერ წარმომიდგენია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ისეთი მთავრობა, რომელიც მეტს მოგვცემს ჩვენ ეროვნულ საკითხში, ვიდრე არსებული საბჭოთა მთავრობა. ქართველ ექიმებს არ უნდათ აჯანყება. ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ვიქნებით და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებთ ყველა იმათ წინაალმდეგ, ვინც ცდილობს დიდი საბჭოთა კავშირის დანგრევას, გარედან იქნებიან ისინი თუ შიგნიდან.

ვ. ლორთქიფანიძე

ექიმებმა ყველაზე უკეთესად იციან, თუ რა არის ომი. და თუ მაინც ვლაპარაკობთ, ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხმა ავიმაღლოთ ახალი სისხლის ღვრის წინაალმდეგ, რომელსაც ჩვენ გვიმზადებენ.

დღეს, როდესაც ომთან ერთად ჩვენ სამოქალაქო ომით გვემუქრებიან, საჭიროა ქართველმა ინტელიგენციამ თავისი აზრი გამოსთქვას ამის შესახებ. ჩვენი ინტელიგენცია დარწმუნდა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობით შეიძლება ჩვენი ქვეყნის აყვავება.

საქართველოში ამჟამად არის ობიექტური პირობები კულტურული და ყოველგვარი სხვა მუშაობის საწარმოებლად; მიუხედავად იმისა, რომ ჰაერში ომის სუნი სდგას, ჩვენ მაინც არ ვასუსტებთ მუშაობას. მომავალ ომში ფრონტს შეიძლება არ ექნეს ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ექნება ზურგს. რაც უფრო მტკიცე და შეკავშირებული იქნება ზურგი, მით უფრო მოკლე და ნაკლებ საშიში იქნება ომი. ჩვენ არ გვინდა ომი. და თუ მაინც შეეცდებიან ჩვენი მშვიდობიანი შრომის დარღვევას, ჩვენ ყველანი ერთხმად გვერდში უნდა ამოუდგეთ ჩვენს მთავრობას და ვიბრძოლოთ მასთან ერთად. ემიგრანტებს კი უნდა ვუთხრათ: შორს თქვენი ბინძური ხელები ქართველი ხალხისაგან.

შემდეგ ილაპარაკეს ექ. ექ. **ტუავაძემ, ფულუკიძემ, სარიბეკოვმა, ლაზაროვმა,** და **ბედევანიშვილმა.** ორატორები აღნიშნავდენ, რომ ვინიცობაა საბჭოთა კავშირს თავზე დაატეხეს ომი, ყველა ისინი საბჭოთა მთავრობასთან ერთად იბრძოლებენ უცხოელ კაპიტალისტების და შინაურ კონტრ-რევოლიუციონერების წინაალმდეგ.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლევან ღოღობერიძე.**

ამხ. ლ. ღოღობერიძის საბოლოო სიტყვა

აქ გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, ქართველი ექიმები მთავრობის მხარეზე არიანო. მაგრამ ექიმების გარდა, რომელთა სახელით აქ ლაპარაკობდენ, არის კიდევ ინტელიგენციის ერთი უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ჩვენი წინაალმდეგია და სცდილობს ყოველის მხრივ ჩაშალოს ჩვენი მუშაობა. ჩვენ მათ ვაფრთხილებთ.

როდესაც ინტელიგენციაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ინტელიგენცია არ არის ერთი მთლიანი მასსა. ინტელიგენცია, რომელიც აღზრდილია ბურჟუაზიულ ტრადიციებზე, გამოხატავს ამ ბურჟუაზიის სულისკვეთებას; მაგრამ ეხლა დიდი ნაწილი ინტელიგენციისა შორდება ამ ტრადიციებს და უახლოვდება საბჭოთა ხელისუფლებას, ასეთი დაახლოება თანდათან ძლიერდება. ასეთ ინტელიგენციასთან ჩვენ ვმუშაობთ და მისი საშუალებით ვატარებთ ჩვენს ღონისძიებებს. ინტელიგენციის იმ ნაწილს კი, რომელიც ხელს უშლის ჩვენს მუშაობას, გვმტრობს, ჩვენც მტრობით და რეპრესიებით ვუპასუხებთ.

არის კიდევ ერთეულები ინტელიგენციიდან, რომელნიც რაღაცას უცდიან. ჩვენ ვითმენთ მათ მაგრამ თუ ისინი შეეცდებიან არევ-დარევა შეიტანონ ჩვენს მუშაობაში, ჩვენ მათ წინაალმდეგაც სასტიკ ზომებს მივიღებთ.

1924 წლის ავანტიურა საქართველოს ძვირად დაუჯდა. ეხლა ქართველ მშრომელ ხალხს ისევ უმზადებენ ახალ სისხლის ღვრას. თქვენ უნდა აღიმაღლოთ ამის წინაამდეგ თქვენი ხმა, ურჩიოთ ყველას, ვინც თქვენ გიჯერებთ, რომ ნუ ეხუმრებიან ცეცხლს. (ტაში).

ამხ. ლევან ღოღობერიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

კერძო კაპიტალისათვის კრედიტის მიწოდების შესახებ

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია კერძო კაპიტალისათვის კრედიტების მიწოდების საკითხი. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ კრედიტების მიწოდების არსებული ორგანიზაცია და პრაქტიკა გზების სიმრავლისა, ბანკების კერძო კლიენტურის აქტივის და პასივის შეუთანაბრობისა და საკრედიტო დაწესებულებების მუშაობის მთელ რიგ დეფექტების გამო ვერ უზრუნველყოფდა კრედიტების მიწოდების მოწესრიგებას და კერძო კაპიტალზე გავლენის მოხდენას სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. პირიქით, ეს პრაქტიკა ხელს უწყობდა სახელმწიფო თანხების გამოყენებას კერძო კაპიტალის მიერ.

ამის გამო ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო გატარებული იქნეს ცხოვრებაში მთელი რიგი სათანადო ღონისძიებები.

კერძოდ—საბანკო კრედიტის დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად სცნო: 1) მომავალში კერძო კაპიტალისათვის კრედიტების მოსპობა სახელმწიფო და სააქციო ბანკების მიერ, 2) კერძო კაპიტალისათვის კრედიტების მიცემის საქმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებისათვის გადაცემა, 3) საურთიერთო კრედიტების საზოგადოებებს კრედიტები უნდა მიაწოდონ მხოლოდ სახელმწიფო ბანკმა. განსაზღვრულ ფარგლებში იმის და მიხედვით, თუ რამდენი თანხებია კერძო ბაზრიდან დაგროვილი საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში. 4) სახელმწიფო ბანკმა სისტემატიური და ფხიზელი შეთვალყურეობა უნდა იქონიოს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების საკრედიტო პოლიტიკაზე, იმ მხრივ, რომ ეს პოლიტიკა შეეფარდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების სავაჭრო სამრეწველო და ეკონომიურ პოლიტიკას; ამასთანავე ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების სავაჭრო და სავაჭრო საკომისიო მოღვაწეობის მოსაწესრიგებლად, 5) მომავალში სისტემატიურად შემცირებული უნდა იქნეს კერძო პირებისათვის კრედიტების მიწოდება არა პირდაპირი გზით, რაც ობიექტიურად სავსებით გამართლებული იქნება სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ზრდით და განმტკიცებით, 6) კერძო პირებს კრედიტები არა პირდაპირი გზით უნდა მიაწოდონ უმთავრესად სახელმწიფო და კოოპერატიულმა მრეწველობამ., იმ ანგარიშით, რომ კერძო პირებისათვის კრედიტების მიწოდება სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ხდებოდეს მათი საკუთარი თანხების ხარჯზე, 7) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სისტემატიური კავშირი ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ბანკებს შორის იმ მიზნით რომ სავაჭრო პოლიტიკის მიმდინარე ამოცანები სავსებით შეთანხმებული იქნეს საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებთან და კრედიტი გამოყენებული იქნეს, როგორც მოწესრიგების იარაღი და ზეგავლენის მოხდენის საშუალება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების სავაჭრო მუშაობაზე და ბოლოს, 8) დაწვრილებით შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს თამასუქების გამცემ კერძო პირების კრედიტის უნარიანობა და მათი მუშაობის ხასიათი და უფრო სწორად უნდა იქნეს აღრიცხული არა პირდაპირი დავალიანება კერძო კლიენტურისათვის კრედიტების მიწოდების დროს.

ქრონიკა

ს. მ. უ. ს. ლაბორატორია

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტეხნიკურ ლაბორატორიას ეწოდა განსვენებულ დამსახურებული პროფესორის **პეტრე მელიქიშვილის** სახელობის ლაბორატორია.

კირის ქარხანა

გუშინ ქუთაისში გაემგზავრა ახალშენებათა კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამოირჩიოს და დაათვალიეროს კირის ქარხნის ასაგები ადგილი. კომისიას დავალებული აქვს თავისი მუშაობა დაასრულოს 16 ივნისამდე.

კირის ქარხნისათვის ადგილის არჩევის შემდეგ ქარხნის აგებას შეუდგება უკრაინის საამშენებლო საზოგადოება „ტრუბსტროი“, რომელსაც დავალებული აქვს მოკლე ხანში დაასრულოს ქარხნის აგება, ვინაიდან რიონის ჰიდროელსადგურის აგების დაწყების შემდეგ საჭირო იქნება, რომ ქარხანამ გამოუშვას თავისი პროდუქცია.

ა.-კ. პროფსაბჭოს საორგ. განყ. ახალი გამგე

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დაინიშნა ამხ. **ხარაბაძე**.

სატყეო ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი

დღეს, 15 ივნისს, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სატყეო მრეწველობის ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება ხე-ტყის დამზადების და ექსპორტის საკითხები.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარის განკარგულება

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარმა რესპუბლიკის სამიწათმოქმედო ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარული განკარგულება, რომლითაც მათ წინადადება ეძლევათ ყოველნაირი დახმარება გაუწიონ გლეხთა ახალგაზრდობას და ლ. კ. ა. კავშირის ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო წრეების, ლექციების, დროგამოშვებით კურსების, საჩვენებელ ნაკვეთების და სხვა ამნაირ ორგანიზაციების მოწყობაში, ზედამხედველობა გაუწიონ ამ ღონისძიებათა განხორციელებას და საერთოდ სოფლის ახალგაზრდობის თვითმოქმედებას სოფლის მეურნეობაში.

ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიაში გადადებულია 20.000 მანეთი. ეს თანხები განაწილებული იქნა რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასკომებთან არსებულ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიებს შორის შემდეგი სახით: საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა კომისიას გადაეცა 8.100 მანეთი. აზერბეიჯანის ცაკის ქალთა კომისიას — 9360 მანეთი, სომხეთის ცაკის ქალთა კომისიას — 2340 მანეთი.

მუშგლეხკორების კონფერენცია

20 ივნისს, ახალციხეში გაიხსნება მუშგლეხკორების სამაზრო კონფერენცია.

თბილისის აღმასკომში

◆ **ნიხრის შეცვლა წყალზე.** თბ. აღმასკომის დადგენილებით პროფკავშირის წევრებისათვის როგორც სასმელათ, ისე აბაზანებისათვის დახარჯულ წყალზე დაწესებულია მეოთხედი კაპიკი. დღემდე აბაზანებისათვის დახარჯულ ვედრო წყალზე იხდიდენ სამ მეოთხედ კაპ.

◆ **სახლების შეკეთება.** აღმასკომის განკარგულებაში მყოფ შენობების შესაკეთებლად გადადებულია 74.000 მ.

◆ **ტუბერკულოზის ახალი დისპანსერის აგება** დამთავრდება 3 წლის განმავლობაში. მის ასაგებად გადადებულია 700.000 მანეთი.

◆ **წყალსადენის ახალი მაგისტრალების** გასაყვანათ გარე უბნებში, კომუნალურმა განყოფილებამ დაარსა რამდენიმე სპეციალური კომისია.

◆ **საპარიკმახეროების მუშაობა კვირაობით.** აღმასკომის დადგენილებით საპარიკმახეროები კვირაობით იმუშავებენ დღის 1 სათამდე. სამაგიეროდ პარიკმახერებისათვის დასასვენებელ დღეთ შემოღებულია ორშაბათი.

◆ **საბავშო ბაღები.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სამი ახალი საბავშო ბაღი.

◆ **სპეცკურსები.** განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მომავალ სასწავლო წლიდან მე-70 შრომის სკოლასთან გახსნას ელექტრო - ტეხნიკური სპეცკურსები.

◆ **მოძრავი ბიბლიოთეკა.** პოლიტგანათლების განყოფილება გაზაფხულის განმავლობაში კოჯორში აწყობს მოძრავ ბიბლიოთეკას.

სააგარაკო სეზონი

◆ **დასასვენებელი სახლები.** სოცდაზღვევის კომიტეტის ცნობით, გაგრის, წებელდის, შუამთის და ბოდბის დასასვენებელი სახლები გამოცხადებულია ადგილობრივ მნიშვნელობის დასასვენებელ სახლებათ.

◆ **წყალსადენი.** დასასვენებელ სახლების გამგეობამ სურამის დასასვენებელ სახლში გაიყვანა წყალსადენი.

◆ **მეორე წყება.** დღეს დასასვენებელ სახლებში იგზავნება დასვენებულთა მეორე წყება.

◆ **რადიო - სადგურები.** წაღვერის და სურამის დასასვენებელ სახლებში მოეწყო მიმღები რადიო-სადგურები.

სხვადასხვა

◆ **სამალარიო კურსებზე** მეცადინეობა დამთავრდება 1 ივლისს; კურს დამთავრებული ექიმები გაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოთ.

შემთხვევები

◆ **თავისუფლების მოედნიდან** უნივერსიტეტამდე ტრამვაით მგზავრობის დროს ალექსანდრე ცომაიას ამოაცალეს 120 მ.

◆ **საფეიქრო სინდიკატიდან** ნივთების მოპარვისათვის 13 ივნისს შეიპყრეს ერასტო მათეს ძე გორგაძე.

◆ **დაკარგვა.** მოქ. ალიქაზი სარქისიანცმა მილიციას განუცხადა, რომ 8 მაისს სახლიდან გავიდა მისი ძმა (16 წლის) და დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **ბოქლომის აგლეჯის საშუალებით** 13 ივნისს კლარა ცეტკინის ქ. № 7 გაქურდეს პროკ. წინამძღვრიშვილის სარდაფი.

◆ **ყელის გამოჭრა.** რომანიულ ნიადაგზე მოქ. თამარ ივანეს ასულ გოგიშვილმა სუფრის დანით გამოიჭრა ყელი. დაჭრილი სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **მე-2 შრომის სკოლიდან** 13 ივნისს მოიპარეს ორი ცალი მიკროსკოპი, ღირებული 190 მანეთად.

◆ **ქალის დაკარგვა.** მოქ. ივანე ანდრიას ძე ნიკლერმა (მცხოვრ. კამოს ქ. № 68) მილიციას განუცხადა რომ 12 ივნისს საღამოს 8 საათზე სახლიდან გავიდა მისი ცოლი ანა და აღარ დაბრუნებულა.

◆ **მტკვარში დახრჩობა.** 13 ივნისს დღის 2 საათზე მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო კონდრატი ალი-ოღლი.

◆ **თავდამსხმელების შეპყრობა.** საგარეჯოს რაიონში გიორგი გივიშვილზე თავდასხმისა და გაძარცვისათვის შეიპყრეს დიმიტრი მეკოვიშვილი და სოლომონ ხაზარაშვილი.

◆ **ქურდობა.** 13 ივნისს მალაკნის ქ. № 12 გაქურდეს ალექსანდრე ჭინჭველაძის ბინა.

სასამართლო

განაჩენი ა. ბუთიკაშვილის საქმეზე

გუშინდელ სხდომაზე გაიმართა მხარეთა კამათი. სახელმწიფო ბრალმდებელმა **კიკაბიძემ ა. ბუთიკაშვილს** მოხსნა ბრალდება. შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

ბრალდებული ალექსანდრე ბუთიკაშვილი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

გამომგონებელთა დავა

პირველი უბნის სახალხო სასამართლოში გაირჩა თბილისელ სამ გამომგონებელთა საქმე, რომელნიც ერთი მეორეს ედავებოდენ პატენტს პურის საცხობ გაუმჯობესებულ საშუალების გამოგონების საქმეში. თავდაპირველად ეს საქმე აღძრული იქნა ინჟენერ - არქიტექტორ **გ. კლდიაშვილის** მიერ. ერთ დღეს, უნივერსიტეტის ქუჩაზე გავლის დროს, მან ს. ქვატაძის თონეში შენიშნა, რომ იქ პურის გამოცხობა სწარმოებდა მის მიერ გამოგონებულ „დამკვრავის“ საშუალებით.

როდესაც მან ქვატაძეს განუცხადა, რომ მას არა აქვს უფლება მის მიერ გამოგონებულ საშუალებით ისარგებლოს პურის გამოსაცხობათ, —ქვატაძემ უპასუხა, რომ ეს საშუალება პირადათ მის მიერ არის გამოგონილი. დავის გადასაწყვეტათ საქმე გადაეცა პირველი უბნის სახალხო სასამართლოს.

სრულიად მოულოდნელად ამ დავაში კიდევ მესამე პირი გამოჩნდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტროტეხნიკურ ფაკულტეტის 19 წლის სტუდენტი **ალექსანდრე ისაკაძე.** მან ამის შესახებ წარმოადგინა განცხადება, მიღებები საქართველოს სახ. მეურ. უმ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილებისაგან და აგრეთვე შუამდგომლობის პირი „დამკვრავზე“ პატენტის მისაღებად. მან დაიწყო მტკიცება, რომ ამ საშუალების გამოგონება მას ჯერ კიდევ 1925 წ. ჰქონდა მოფიქრებული.

საქმე გაიზარდა. არც ერთი გამომგონებელთაგანი არ ფიქრობდა არავითარ დათმობაზე წასვლას. ამათ გარდა საქმეში ჩაერია მეოთხე მოდავე—ელექტრონის სადგურის მექანიკი **ნ. გიორგობიანი.** მან წარმოადგინა „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის 1912 წ. ნომერი, სადაც ქრონიკაში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ნ. გიორგობიანმა აღმოაჩინა საშუალება პურის გამოსაცხობაბად, რომელიც დიდათ აუმჯობესებს თონის მუშების მდგომარეობას.

ამ საქმის შესახებ მოწვეულ იქნა ექსპერტები, რომლებმაც ვერ გამოიტანეს ამ საქმის შესახებ საბოლოო დადგენილება.

სასამართლომ მოისმინა მოწმეების ჩვენება, და საქმე მოსპო.

მკვლელობის განზრახვა

გორი, 13 ივნისი. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ განიხილა კოტორიძეს საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი მოსამსახურის **ბეჟანიშვილის** მოკვლის განზრახვა.

როგორც სასამართლომ გამოარკვია, ანგარიშის გასწორების დროს კოტორიძეს დაედო ვალად ბეჟანიშვილის 37 მან. 87 კაპ. ვინაიდან ბეჟანიშვილმა ვერ მიიღო აღნიშნული ფული, მან მიმართა სასამართლოს და მიიღო აღმასრულებელი ფურცელი. ამ დროისათვის კოტორიძემ ბეჟანიშვილს გადაუხადა მხოლოდ 14 მან., მაგრამ მას ჩამოართვა ფიქტიური ხელწერილი მთელი თანხის მიღების შესახებ. ბეჟანიშვილს უნდოდა კოტორიძესაგან ფული მიეღო აღმასრულებელი ფურცლის საშუალებით. როცა ეს გაიგო კოტორიძემ, იგი ღამით თავს დაესხა ბეჟანიშვილს და თოფით დასჭრა ყელში.

საოლქო სასამართლომ კოტორიძეს მიუსაჯა 8 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით. (ადს).

„პურის პროდუქტის“ თანამშრომლების პროცესი ბათომში

ბათომი. 13 ივნისი. აჭარისტანის უზენაეს სასამართლოში დამთავრდა „ხლებოპროდუქტის“ ბათომის განყოფილების თანამშრომელთა საქმე. ბრალდებულებად იყვნენ: ბათომის განყოფილების ყოფილი გამგე — ოვსიანიკოვი, საბაზისო საწყობის გამგის ყოფ. თანაშემწე — ველიჩკო, ექსპედიტორ — ტერ-მარუკოვი და ანთაძე.

1925 წელს ცენტრიდან ჩამოსულმა რევიზიამ აღმოაჩინა „ხლებოპროდუქტის“ ბათომის განყოფილებაში მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი. რევიზიის დროს აღმოჩნდა ერთი ვაგონი ფქვილის დანაკლისი, პურის პროდუქტების გაყიდვა კერძო პირებზე, უკაირათობა, დაუდევრობა და სხვ.

ოვსიანიკოვს წაყენებული ჰქონდა ბრალდება დაუდევრობასა და ძალა უფლების გადამეტებაში. ტერ-მარუკოვს და ანთაძეს ბრალად ედებოდათ გაფლანგვა. ველიჩკოს ძალა-უფლებით ბოროტად სარგებლობა.

სასამართლომ ბრალდებები დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა: ოვსიანიკოვს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ტერ-მარუკოვს 3 წლით ციხე, ველიჩკოს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ანთაძე სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნა.

სასამართლომ დააკმაყოფილა „ხლებოპროდუქტის“ სამოქალაქო სარჩელი—3.441 მანთ. რაოდენობით (ადს).

ხელოვნება

აკადემიური დრამა მომავალი სეზონისათვის სამზადისში

კვირას, 12 ივნისს, რუსთაველის თეატრში პირველათ შეიკრიბენ, თეატრთან ახლად დაარსებული დრამატურგთა სახელოსნოს წევრები. გარდა დრამატურგთა სახელოსნოსი, თეატრთან მოწყობილია აგრეთვე სათეატრო სახელოსნო და სწარმოებს მუშაობა ქართული ორკესტრის მოსაწყობათ.

გარდა ამისა ამ ერთი კვირის წინად რუსთაველის თეატრთან დაარსდა დრამატურგთა სახელოსნო. აქ შეიკრიბებიან ის მწერლები, რომლებიც მუშაობენ დრამატურგიაში და რომელთაც გამოუჩენიათ ნიჭი; სახელოსნოში შევლენ აგრეთვე ისინიც, ვისაც სურვილი და უნარი აქვს ამ დარგში მუშაობის. სახელოსნოში კოლექტიურათ გამოიმუშავებენ თემებს და თვითეული სახელოსნოს წევრი ამოირჩევს იმ თემას, რომელიც მას სურს. დამუშავებული პიესა გარჩეულ იქნება სახელოსნოს წევრების წინაშე და თუ პიესა მოიწონეს, შემდეგ მას გადასცემენ სათეატრო სახელოსნოს ექსპერიმენტების მოსახდენათ. სათეატრო სახელოსნო იარსებებს დამოუკიდებლათ და აქ იწარმოებს პიესის საცდელი ჩვენება როგორც ავტორისათვის, აგრეთვე დრამატურგთა სახელოსნოში შემავალი კრიტიკოსებისათვისაც. სათეატრო სახელოსნოში პიესის საცდელი დადგმის შემდეგ ავტორს და დრამატურგთა სახელოსნოს მთელ კოლექტივს საშუალება ექნებათ შეიტანონ პიესაში შესაფერი შესწორებანი თუ აქაც გაიმარჯვა პიესამ, შემდეგ იგი დაიდგმება აკადემიური დასის მიერ დიდ სცენაზე.

სათეატრო - საექსპერიმენტო სახელოსნოში იმუშავებენ როგორც ახალგაზრდა, ისე აკადემიური დრამის აქტიორებიც.

დრამატურგთა სახელოსნომ უკვე დაიწყო მუშაობა და უნდა ითქვას, რომ მის მოწყობას ხელისუფლების წრეებში დიდის იმედებით შეხვდენ.

სახელოსნოში სამუშაოთ მოწვეულნი არიან ყველა ლიტერატურული მიმართულებების მწერლები და კრიტიკოსები. სახელოსნოში შედიან: კ. კალაძე, ი. ვაკელი, ხოზიკა, ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია, პაოლო იაშვილი, ტიც. ტაბიძე, გ. ლეონიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, ს. ყანჩელი, ნ. შიუკაშვილი და მ. შარაშიძე.

კრიტიკოსებიდან მოწვეული არიან: გერ. ქიქოძე, რ. კალაძე, ვ. გაფრინდაშვილი, პ. ქიქოძე და ბ. ჟღენტი.

ამასთან ერთად რუსთაველის დრამის ორკესტრის დირიჟორის ალ. გველესიანის და ახალგაზრდა კომპოზიტორ ი. ტუსკიას მეთაურობით, დაიწყო სამზადისი ქართული ორკესტრის შესადგენათ. ორკესტრი შედგენილ იქნება ხალხური მუსიკალური იარაღებისაგან, როგორიცაა— საზანდარი, დუდუკი, ჩონგური, ქამანჩა, დოლი დიპლიპიტო, დაირა, თარი და სხვა.

ეს ორკესტრი გამოყენებულ იქნება ქართული ყოფა - ცხოვრების პიესების საილიუსტრაციოთ. ორკესტრისათვის საჭირო ინსტრუმენტებს უკვეთენ სპეციალისტ მოხელეებს.

ორკესტრის მოწყობის ინიციატორები ამჟამად მუშაობენ ქართველი მუსიკალური ინსტრუმენტების რეკონსტრუქციაზე. ევროპიული მუსიკის კანონების მიხედვით.

ხელოვნების ქრონიკა

სათეატრო გადასახადის გაუქმება

თბილისის აღმასკომმა დადგინა გააუქმოს თბ. აღმასკომის სასარგებლოდ არსებული დანარიცხები თეატრისა და კლუბების ბილეთებზე.

◆ **მომღერალ ანდღულაძის მიწვევა.** სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელმა **სტანისლავსკიმ** მომღერალი ანდღულაძე დეპეშით გაიწვია სამხატვრო თეატრის მუსიკალურ სტუდიაში მუდმივ სამუშაოთ

◆ **კონცერტი.** ახლო ხანში კონსერვატორიაში გაიმართება ახალგაზრდა კომპოზიტორ ლალინოვის კონცერტი.

◆ **მედსანშრომის კლუბში** ამ თვის ბოლო რიცხვებში გაიმართება ახალგაზრდა კომპოზიტორის ა. ბალანჩივაძის და დირიჟორ მელიქფაშაევის კონცერტი.

◆ **ახალი თეატრი.** სიღნაღში შეუდგენ დიდი შენობის აგებას, სადაც მოთავსებული იქნება თეატრი, კლუბი, სამკითხველო და სხვ. შენობა აგებული იქნება ქართულ სტილზე.

◆ **თეატრი „გაიკა“.** ამჟამად მუშათა ახალ კლუბში მიდის ბაქოს თეატრის „გაიკას“ გასტროლები.

◆ **„ჟამთა სიავე“.** რედაქციამ მიიღო ნიკო ლორთქიფანიძის ახალი წიგნი „ჟამთა სიავე“ (არაისტორიული მოთხრობა ესკიზი). წიგნი შეიცავს 145 გვ. ღირს ოთხი აბაზი, გამოცემა „შრომა“-სი.

◆ **მუსიკოსები საზღვარგარეთ.** სომეხი კომპოზიტორი სპენდიაროვი და მეჰიანური ოლანეზაშვილი გაემგზავრენ საზღვარგარეთ კონცერტების გასამართავად.

◆ **სომეხ პროლეტ-მწერლების შორის.** სომეხთა პროლეტ. მწერლები უახლოეს ხანში გამოსცემენ ჟურნ. „ოქტომბერს“.

◆ **ხელოვნების მუშაკთა კავშირში.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა კოჯორში თავის წევრთათვის მოაწყო დასასვენებელი სახლი.

◆ **ტრეტიაკოვის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი დრამატურგი ს. ტრეტიაკოვი, რომელიც რამოდენიმე ხანს დარჩება საქართველოში.

◆ **თათბირი —მოძრავ თეატრის შესახებ.** ხვალ განათლების კომისარიატში გაიმართება თათბირი მოძრავ თეატრის შესახებ. მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. დადიანი.

◆ **თბ. მუშათა თეატრი.** ქალაქის აღმასკომმა დაამტკიცა თბილისის მუშათა თეატრის (ქართულ-რუსულ სექტორების) მომავალ სეზონის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ **გ. ტაბიძის საღამო.** 19 ივნისს, მუშათა ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება პოეტ გალაქტიონ ტაბიძის საღამო.

◆ **ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“.** მორიგი ნომერი გამოვა 20 ივნისისათვის.

◆ **თეატრი—ნიღაბი.** უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვა ვახტანგ მჭედლიშვილის სახელობის თეატრი—ნიღაბი, რომელიც გამართავს წარმოდგენას საზაფხულო მუშათა კლუბებში.

პირველი ქართველი ინჟენერი ქალი

წელს სატრანსპორტო ინჟენრების მოსკოვის ინსტიტუტის წყლის ფაკულტეტი დაამთავრა ორმა ქალმა; ერთი მათგანი ქართველია—**ვასილიდა ფანცხავა.** მან უკვე დაამთავრა ინსტიტუტი. გამოსაშვებ შრომად მან შეადგინა და დაიცვა წყლის უბნის პროექტი.



ინჟ. ვასილიდა ფანცხავა

რამდენიმე წლის წინად **ვას. ფანცხავა** საქართველოში მუშაობდა მექანიკის თანაშემწის თანამდებობაზე. ინსტიტუტში შესვლამდე მან ორთქლმავალით გაიარა 11.000 ვერსი.

ვას. ფანცხავა იმუშავებს საქართველოში წყლის დარგში.

მეცნიერება და ტეხნიკა

კეთრის მკურნალობა სიცივით

აურაცხელი საშუალებებია შემუშავებული კეთრის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ისინი იძლევიან მხოლოდ დროებითი გაუმჯობესებას ან სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენენ სენზე.

პოლონელი ექიმი **პალდროკი** მთელ რიგ ცდების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კეთრის განკურნება სავსებით შესაძლებელია და რომ მთავარი მიზეზი იმისი, თუ დღემდი კეთრის წინააღმდეგ შემუშავებულმა საშუალებებმა შიგნიდან ვერ შეაღწიეს მდგომარეობს შემდეგში: ვერ შესძლეს ჭლექის გამომწვევ - მიკრობის მოსპობა, ვინაიდან ვერ დაშალეს ის ცილოვანი გარსი, რომელიც მას აკრავს. თუ ავადმყოფის ტანზე წარმოშობილ კეთრის იარებზე იმოქმედებენ ძლიერი სიცივით (მაგალითად დაფარავენ მას მაგარი ნახშირმჟავათი) — მიკრობების ცილოვანი გარსი თანდათანობით სკდება და მიკრობების სხეული ანთავისუფლებს სწორეთ იმ ნივთიერებებს (ანტიგენებს), რომლებიც ხელს უწყობენ სისხლში კეთრის საწინააღმდეგო სხეულების წარმოშობას. ასეთი მკურნალობის შემდეგ კეთრის იარა თანდათანობით ქრება. ქრება ისეთი იარებიც კი, რომლებიც ღრმად მდებარეობენ კანქვეშ და თმაზე და უშუალოდ ზეგავლენის მოხდენა ძნელია.

17 კეთროვანიდან, რომლებსაც ასეთი წესით მკურნალობდენ, ორი წლის განმავლობაში ექვსი სრულიად განიკურნა კეთრიდან. სპეციალურად დანიშნულმა საკონტროლო კომისიამ, რომელიც მთელ რიგ გამოჩენილ ექიმებისაგან შესდგებოდა, ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამ ექვს კაცს უკვე არ აჩნდა კეთრის არავითარი ნიშნები. სულ სამკურნალოდ საკმაო იყო 10—25 სეანსი. თითეული სეანსის დროს ნახშირმჟავათი ყინავდენ 10-დი იარას. მკურნალობა საერთოდ დიდ მოთმინებას მოითხოვს. ერთ კეთროვან ქალს კეთრის ერთ-ერთი იარის განსაკურნავად, 22-ჯერ გაუყინეს დაავადებული ადგილი 1½ წლის განმავლობაში. თავისი პირველი ცდების მიხედვით პალდროკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კეთრი იკურნება, მაგრამ საჭიროა მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.

ბიბლიოგრაფია

ნ. ქ. გედევანიშვილი

„თანამედროვე მდგომარეობა ჩინეთში“

სახელგამი, 1927 წ. გვ. 58, ფასი—40 კაპ.

ლიტერატურა ჩინეთის შესახებ თანდათანობით მრავლდება. სხვა წიგნაკთა შორის ალსანიშნავია ნ. ქ. გედევანიშვილის „თანამედროვე მდგომარეობა ჩინეთში“.

წიგნაკში განხილულია ჩინეთის მდგომარეობის უმთავრესი მომენტები. ავტორი წინასწარ გვაწვდის ცნობებს ჩინეთის გეოგრაფიული მდგომარეობის შესახებ, ეხება ჩინეთის მოსახლეობას, მის ტომობრივ დანაწილებას და სოციალურ შემადგენლობას.

შემდეგ თავში ავტორი გადადის ჩინეთის ეკონომიურ მდგომარეობის დახასიათებაზე და უცხოეთის კაპიტალის როლის გარკვევაზე ჩინეთის ეკონომიკაში.

ავტორი მოკლეთ იხილავს უცხოეთის კაპიტალის პრივილეგიების განმტკიცების ისტორიას ჩინეთში. ეს პრივილეგიები იყო შედეგი იმ იმპერიალისტური ომებს, რომელიც დაიწყო უცხოეთის კაპიტალმა ჩინეთის წინააღმდეგ მე-14 საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულიდან. ამ პრივილეგიებმა თავისი იურიდიული დაკანონება ჰპოვეს მთელ რიგ ცალმხრივ იძულებითი ხელშეკრულებებში, როგორიც არის ხელშეკრულება ნანკინისა 1842 წ., ტიან-ძინისა 1858 წ., პეკინისა 1860 წ. და მრავალი სხვა.

ავტორი ცხადყოფს თუ რამდენათ უწყობდა ხელს უცხოელ სახელმწიფოებს ჩინეთის დამონებაში არათანასწორ ხელშეკრულებათა საშუალებით ჩინეთის გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობა. პროვინციებისა და ცენტრის გამუდმებული ბრძოლა ერთი მეორის წინააღმდეგ ადგილობრივ სატრაპების „უჭიუნების“—გუბერნატორების ხელმძღვანელობით ფართო ასპარეზს უხსნიდა უცხოეთის კაპიტალს თავისუფალ სათარეშოთ.

ავტორი მოკლეთ იხილავს ჩინეთის რევოლუციის ისტორიასაც და მასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიების ჩამოყალიბების პროცესს.

ალსანიშნავია, რომ წიგნი როგორც სჩანს დაწერილია ჩან-კაი-შის გადატრიალებამდე, რამაც გამოიწვია ჩინეთში რევოლიუციონური ძალების რადიკალური გადაჯგუფება, მსხვილი ბურჟუაზიის ჩამოშორება ერთიან რევოლიუციონური ფრონტისაგან. ამის გამო ავტორის მოსაზრება, რომ ნაციონალური კაპიტალი მთლიანათ უკავშირდება მუშათა კლასის ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ, უკვე აღარ ეგუება დღევანდელ ვითარებას. სამაგიეროთ ავტორი სამართლიანათ აღნიშნავს ჩინეთის მუშათა კლასის უმთავრეს აქტუალურ როლს რევოლიუციაში, მის დიდ რიცხვობრივ ზრდას და ორგანიზაციულ სიმტკიცეს. სამწუხაროთ ავტორი არ იძლევა ნათელ წარმოდგენას „გომინდანის“ შესახებ, არ არის გარკვეული კომ. პარტიის როლი ჩინეთის ბრძოლაში, მისი ხვედრითი წონა თვით გომინდანის შიგნით.

შემდეგ თავებში ავტორი იხილავს ჩინეთის სამხედრო ძალების მდგომარეობას, ნაციონალურ არმიის შექმნის პრობლემას და გვაცნობს სამხედრო მოქმედებათა ისტორიას 1922 წლიდან.

დასასრულ ავტორი აკეთებს დასკვნას მებრძოლ ძალების მდგომარეობისა და ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივების შესახებ. ალსანიშნავია, რომ უკანასკნელი ამბები არამც თუ ადასტურებენ ავტორის მოსაზრებებს ნაციონალურ რევოლიუციონური ჯარების წარმატების შესახებ, არამედ გაცილებით აჭარბებენ მათ.

წიგნში ბევრია ისეთი მოსაზრებანი და ცნობები ჩინეთის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც უკვე მოძველებულათ უნდა ჩაითვალოს. ეს თავისთავათ გასაგებია, რადგან ჩინეთის ამბები ისეთი განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდებიან, რომ ყოველივე მოსალოდნელის ერთბაშათ გათვალისწინება შეუძლებელი ხდება. სამაგიეროთ წიგნი შეიცავს მეორე მხრით უსაჭიროეს მასალას ჩინეთის ეკონომიურ, გეოგრაფიულ და სამხედრო ძალების შესახებ.

X

კოწ. ჭიჭინაძე

რჩეული ლექსები. მეორე გამოცემა. თბილისი, 1927 წ.

კ. ჭიჭინაძე თავის „რჩეულ ლექსებში“ იშვიათად ნახულობს ტემას და პოეზიაში ყველაზე უფრო ძნელად მიაჩნია „შრომა“, ის ასე მიმართავს „დემოსს“: „ო, დიდებულო დემოსს, მართლაც რომ მშრომელო გლეხებო და მუშებო. თქვენ გადიდებდენ ლექსების მოხელენი, უბილეთონი, რომ ჩამსხდარან პოეზიის ბრწყინვალე გემში. არავინ იფიქროს, რომ თქვენდამი სიყვარული არ არის ჩემში“.

თუ ვის გულისხმობს პოეტი „პოეზიის ბრწყინვალე გემში უბილეთო მგზავრებათ“, ეს, რა თქმა უნდა, გასაგებია...

მაგრამ საინტერესოა, როგორ ესმის „დემოსისადმი“ სიყვარული თვითონ ჭიჭინაძეს.

„მე ვიცი თქვენი დაკოჟილი ხელები,
მე მახსოვს როგორ დადიოდით თქვენ არაზინდოს ფიჭვნარში ხველებით, მძიმე სენისაგან ფერწასული და მოლუშულები.
მე მივხვდი იქ, თუ რა სიყვარული და ლმობიერებით გიცემდათ გულები, როდესაც თქვენ ცდილობდით, რომ ყვავილიც კი არ გაგესრისათ ფეხით“.

ასეთი „შეცოდებით“ მიდგომა „დემოსისადმი“ სრულებით არ შეეფერება ჩვენს დროს. ეს ცხოველთა მფარველობის ნეტარ ხსენებულ საზოგადოების წევრს უფრო შეეფერის, ვიდრე ეხლანდელ პოეტს.

პირველი მისი პოემა, რომლითაც იხსნება წიგნი „მოგზაურობა ანთებით“ წარმოადგენს თავისებურ ნაწარმოებს. ეს პოემა გვიხატავს პოეტის მოგზაურობას (უფრო მისი ფანტაზიის „ცხელი ანთებით“ გაქანებას) შორს ღრმა წარსულისკენ და მთელი კოსმოსის გარშემო. პოეტი ყველგან პოულობს წარსულის უთვალავ დასამარებას. მშვენიერი ელადის და უძლეველი რომის დიდების სიკვდილი განწირვას, გაქვავებულ სადგურებს და საუკუნეთა საშინელ გამოძახილს. პოეტის აზრით „სუყველას მოინელებს შავი მუცელი; ჟამთა დენის სივრცეების ავი მოვლე ყველგან გაჩნდება შტანდარტივით აწეულ ცელით“. სიკვდილი და დამარხება უწერია ყველაფერს მთელ მსოფლიოში. კ. ჭიჭინაძის ასეთი აზროვნება რასაკვირველია, ახალი და შემთხვევითი არ არის. მისი „ფილოსოფია“ უფრო მარტივია და უგზო უკვლოდ დარჩენილი. ის ხასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ თანამედროვე ინტელიგენციის სულის კვეთების გამომხატველია.

წიგნის მესამე გან. ეგ. წ. „აკვარელი“ და მეოთხე „შეხვედრა კ. ჭიჭინაძეს სულ მიუძღვნია „მშვენიერ“ სქესისათვის, დაწყებული ოვიდიუსის კორინათი და გათავებული ვინმე „მოაგარაკე ქალით“, ის კიდეც ამაყობს იმით, რომ მის მსგავსად არავის უქია ქალები:

„თქვენ ლურჯ თვალებში ვერცხლის შუქია,
ზამბახებია თქვენი ხელები....
ო, უცხო ქალი არვის უქია,
ჩემზე უტკბილეს ამეტყველებით“.

საერთოდ ეს ლექსები უფრო გიმნაზიელი ქალის ალბომის ლექსებს წააგავან.

მეხუთე განყოფილება — „პოეტებს“, შეიცავს სულ 5 ლექსს და მიძღვნილია შემდეგი პოეტებისადმი: „ვაჟა ფშაველა“, ვერჰარნ, ვალერი ბრიუსოვს და ძველ პოეტებს. ამათში ეს უკანასკნელი ლექსი, ე. ი. „ძველ პოეტებს“, საყურადღებოა იმით, რომ ეს არის თითქოს პასუხი სიულლი პრიუდომის ლექსზე—„მომავალ პოეტებს“. ამ ლექსში ავტორი აღნიშნავს ძველ პოეტების სიდიადეს და სიძლიერეს. ახლებს კი თავისი სიმრავლის და უშინაარსობის გამო ხედავს პოეზიის ტაძარში თავმოყრილ ჭიაყელებათ, რომელიც უნდა გასრისოს „ფეხმა მაგარმა“.

მეექვსე განყოფილება „Patriotica“-ში მიდის მხოლოდ ერთი ლექსი — „სამშობლოსადმი“, დაწერილი 1 მარტს 1927 წ. აქ პოეტს უცდია რევოლიუციონური და პატრიოტული გრძნობების შეთავსება, მაგრამ მიუხედავად ამისა უკანასკნელი გრძნობა მაინც სჭარბობს. ავტორს საქართველო და მისი „მეხივით“ შვილები დაუსახავს ყველაზე უფრო ქედმოუხრელ მებრძოლად თავისუფლებისათვის და გონების შემმუსვრელად. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი საქართველო აქვს მას მხედველობაში. საქართველო, როგორც მთლიანი სოციალური ერთეული არ არსებობს, ისე, როგორ არ არსებობს ასეთივე რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა.

მეშვიდე განყოფილებაში მოთავსებულია თარგმანი უცხოეთის ლიტერატურიდან. თარგმანი უმთავრესად თავისუფალია, მაგრამ მაინც აღწევს მიზანს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ენაზე უცხო მწერლების ნაწარმოებნი ნაკლებად მოიპოება.

ქ. ვ—ა.

კუდიანი ვარსკვლავის დაახლოვება დედამიწასთან

მიმდინარე წელს დედამიწას უახლოვდება პონსო ვინკეს კუდიანი ვარსკვლავი. ამის შესახებ ჩვენ თანამშრომელს საქართველოს გეოფიზიკურ ობზერვატორიის სეისმოგრაფიული განყოფილების უფროსმა **ე. ბიუსმა** აცნობა შემდეგი:

პონსო—ვინკეს კუდიანი ვარსკვლავი 1919 წელს აღმოაჩინა საფრანგეთის ასტრონომმა **პონსომ,** რომელსაც აღმოჩენილი აქვს 37 კუდიანი ვარსკვლავი.

პონსოს გამოანგარიშებით, პონსო--ვინკეს კუდიანი ვარსკვლავი პერიოდულად, 5-6 წელიწადში ერთხელ უნდა გამოჩნდეს. წინად იყო მომენტები, როცა ეს გამოანგარიშება არ დადასტურდა და 40 წლის განმავლობაში ეს კუდიანი ვარსკვლავი არ იყო შემჩნეული. უკანასკნელ ხანებში კი იგი რამოდენიმეჯერ გამოჩნდა და მიიღო პონ—ვინკეს სახელწოდება.

მიმდინარე წლის 3 მარტს ,კუდიანი ვარსკვლავი შენიშნულ იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში და გადაიღეს ფოტოგრაფიულ სურათზე.

ვარსკვლავი ძლიერ მკრთალად მოსჩანდა.

ამჟამად არის სრული შესაძლებლობა იმისა, რომ მიმდინარე წლის უკანასკნელ კვირაში კუდიანი ვარსკვლავი შესამჩნევი იქნება შეუიარაღებელი, უბრალო თვალით.

ვარსკვლავის დაახლოვება დედამიწასთან მოხდება 26 ივნისს. ამ დღეს იგი დაშორებული იქნება დედამიწიდან 18-ჯერ უფრო მეტად, ვინემ მთვარეა დაშორებული დედამიწიდან. ამ ხანებში ის იქნება ლებედიას და პერსის ვარსკვლავების ჯგუფში, ხოლო ივლისის თვეში დიდი სისწრაფით გადავა ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ დროს იგი ნაკლებად იქნება დასანახი.

დაკვირვებით გამორკვეულია, რომ კუდიანი ვარსკვლავიდან ღებულობენ დასაწყისს ცდომილი ვარსკვლავები, რომლებიც ჩვეულებრივად ვარდებოდენ ივნისის ბოლო რიცხვებში.

მიმდინარე წელს დედამიწის ორბიტთან ზედმიწევნით დაახლოვების გამო, შესაძლებელია ადგილი დაურჩეს ვარსკვლავების ჩამოვარდნას.

ამ უკანასკნელ ხანებში აღსანიშნავია ასტრონომების ცდა, რათა მეტეოროლოგიური მოვლენები დაუკავშირონ დედამიწის მიერ კუდიანი ვარსკვლავის ორბიტის გადაჭრას.

ვარსკვლავის დაახლოვებისას ზოგიერთ წლებში შემჩნეული იყო ვერცხლისებური ღრუბლები 80 კილომეტრის სიმაღლეზე; კერძოთ კი ძლიერი ღრუბლები შემჩნეულ იქნა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში და აზიაში.

ყველა ზემოხსენებულის მიხედვით, მიმდინარე წელს ადგილი ექნება კოსმიური მოვლენების მოქმედებას დედამიწაზე.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი 15 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ — ქართულ ენაზე (7—7-20).

რემედიას გაზეთი — ქართულ ენაზე (7-20—7-40).

საუბარი რადიო - ტეხნიკაზე — ქართულ ენაზე (7-40—8).

დარვინიზმი — რუსულ ენაზე (8—8-20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8-40—11).

ხუთშაბათი 16 ივნისი

რადიო - გადაცემა არ იქნება.

დოღი

სადოღე ცხენების გაგზავნა მოსკოვში.

მიწსახკომის ცხენთსაშენის განყოფილებამ 14 ივნისს გაგზავნა მოსკოვში იქაურ დოღში მონაწილეობის მისაღებად შემდეგი ცხენები: დივენი, ბერგენი, ტაისი, ეთერი, ჯამბოტი (ყოფილი გამონი), დარდიმანდი, აბორიგენი, დარეჯანი, პარიზიდან გამოწერილი როლანდი და დარდიანი. ცხენებს წაიყვანენ მწვრთნელები: კამბეკოვი, მამედოვი და გუდიევი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოწაფე სერგო კოლ-შვილს

პასუხი

ის მოწაფე, რომელსაც მშობლები ან ვინმე სხვები ინახავენ, ხოლო იგი ცალკე ცხოვრობს და არც სწავლის ფულისგანაა განთავისუფლებული, ბინის ქირას თითეულ კვდ. მეტრზე გადაიხდის ოცი კაპ. რაოდენობით. (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 14).

ტეხნიკურ მომუშავეს მიხ. დიდიას

პასუხი

ბინის ქირის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება ის გასამრჯელო, რასაც მომუშავე იღებს ზედმეტ საათებში მუშაობისა და ნაჭრობით სამუშაოთათვის. (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 5 ქ. საბჭოს „მოამბე“ № 10—11. 1926 წლ. ოქტომბერ-ნოემბერი).

პენსიის შესახებ

ლორიას ქვრივს

პასუხი

თქვენ შეკითხვაში არ არის მოცემული სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ წელში გარდაიცვალა თქვენი ქმარი და როდის დაითხოვეს სამსახურიდან —ავადმყოფობის გამო. რამდენი ხანი გავიდა იმის შემდეგ, რაც ის დათხოვნილი იქნა სამსახურიდან მის სიკვდილამდე. თუ ამაზე სწორ ცნობებს მოგვაწვდით რედაქციაში, სწორ პასუხსაც მიიღებთ.

ბინის ქირის, ბინიდან გამოსახლებების და რემონტის შესახებ

ქ. მცხოვრებ მიხეილ ლ. [illegible]ძეს.

პასუხი

[illegible] უფლება თავის [illegible] გადასცეს სხვას სახლის მფლობელის (პატრონის) შეთანხმების გარეშე.

დამქირავებელს თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 168-ისა, აქვს უფლება, თუ კი ქირავნობის ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თავისი მხრით გააქირაოს დაქირავებული ქონება მთლად ან ნაწილობრივ, ხოლო იგი პასუხისმგებელია გამქირავებლის წინაშე მასთან დადებულ ხელშეკრულებისამებრ..

ადგილობრივ აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას აქვს უფლება კერძო სახლებში გამოიყენოს თავისი საჭიროებისათვის ყველა ბინების ოცდაათ პროცენტამდე.

კავშირის უმუშევარ წევრს აქ. ნინიძეს

პასუხი

ბინის ქირად თვიურად თვითეულ კვ. მეტ. როგორც კავშირის უმუშევარი წევრი, გადაიხდით მხოლოდ 4 კაპ. რაოდენობით. ამაზე ზევით სახლის პატრონი ბინის ქირას ვერ მოგთხოვს კანონის ძალით (იხ. სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 166) და ვერც გამოგასახლებს, პირიქით იგი პასუხს აგებს უკანონო მოთხოვნისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს აძლევს წინადადებას საჩქაროდ გამოცხადდენ თბ. კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. თარხნიშვილთან: 1) რუხაძე ვიქტორ რაჟდენის ძე, 2) ხასყიდოვი რუბენ არუთინის ძე, 3) ნაზაროვი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე.

ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის მეორე საქალაქო კონფერენციის გაგრძელება დანიშნულია ოთხშაბათს 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბში.

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მეორე რაისაბჭო იუწყება, რომ ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბში (ლენინის ქ.) მოწვეულია **საბჭოს სხდომა** უჯრედების ბიუროების მდივნებისა და წევრების თანადასწრებით.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოს 6 სათზე მუშათა ცენტრ. კლუბში შესდგება არსენალის რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატ-ქალთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია არსენალის რაიონის მუშათა ფართო კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) საცალო ფასების დაკლების შესახებ

ოთხშაბათს, 15 ივნისს, 27 წ. საღამოს 7 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპში მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. ამხ.: მარ. ორახელაშვილი, მაჩავარიანი, ასრიბეკოვი, გობეჩია, მიქაძე, სილაძე, ბუდილევ, პისეცკი; თუმანიანი; რუხაძე, მეძმარიაშვილი და სახ. უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის მუშფაკების კომუჯრედთა მდივნები.

სახ. უნივ. ფ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს უჯრედების ყველა ტეხნიკურ მდივნებს, დღეს 15 ივნისს სრულ 12 საათზე გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში ამხ. გ. მეგრელიშვილთან.

სახ. უნივ. ყოფილ ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ უნივერსიტეტში ამხ. გორდაძესთან 15 და 16 ივნისს დღის 1—3 საათ.

ახობაძე ლუკა, ნიკოლაშვილი იაკობ, გვარჯალაძე მიხეილ, ბოლქვაძე ნიკოლოზ, ფირალიშვილი ილია, ცქვიტაიძე დიომიდე, ძველაია შალვა, დოქვირი ნიკანდრი, ადონია კონდრატე, ჭელიძე ვლადიმერ, კახაძე ალექსანდრე, ფხაკაძე ალექსანდრე, ბარბაქაძე გრიგოლ, ბოქორიშვილი ალიოშა, ხობუა აკაკი, ფხაკაძე ვლადიმერ, ფრანგიშვილი ალექსანდრე, სებუა დავით, დოლიძე ვლადიმერ, კეკელიძე აბესალომ, დონჯაშვილი ერასტო, ჯორბენაძე პროკოფი, აფხაზავა გრიგოლი, პატარაძე ალექსი, გვასალია ზენდიკტე. შველიძე ნინა, ქაჯაია ბაგრატი, ცინცაძე აკაკი, გოცაძე პეტრე. ლომთაძე გრიშა ახმეტელაშვილი კონსტანტინე, ჯღარკავა ანდრო, ზალდასტანიშვილი დ. ჭელიძე რაჟდენ, თევზაძე ნიკოლოზ, კირესელიძე ელიოზარ, კეკელიძე პროკოფ, ინწკირველი ბენია, ბოკუჩავა დავით, შიქლაძე ვლადიმერ, აბრამია შალვა მგელაძე ივანე.

ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია უჯრედის ქალთა ორგანიზატორების თათბირი. ქალთა ორგანიზაციების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული მუშათა პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის შემსწავლი ცენტრალური კომისია სთხოვს საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილ წევრებს **ა. ბახტაძეს, ი. ბადრიძეს, ვ. ბობოხიძეს** და განახლებულ მელითოხეთა კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს **ო. ლაცაბიძეს** შემოიარონ პროფსაბჭოში (მუშათა სასახლე, ოთახი № 8).

ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების ბიუროების თათბირი.

კოლექტივების ბიუროების წევრთა და ფაკუჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - განმანაწილებელი განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 15 ივნისს. საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია თათბირი. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

პირველი რაიონიდან: ვარლამოვი (მთავარ სახელოსნ.), ჯიოევი (მთავ. სახელოსნ.) კოლექტივის მდივანი ცინცაძე (დეპო), ელიაშვილი (დეპოს კოლექტ. მდივანი), ინაური (რკ. გზის სტამბა), სულავა (რკინის გზის პროფკავშირი), ფანცულაია და კეკელია (პირველი რაიკომი).

მეორე რაიონიდან: რონხაძე და ბურუში (26-ის სახელობის ქარხანა), პეცოევი (თამბაქოს ტრესტი), დათუნოვი (ლითონის ტრესტი), ენუქიძე (არსენალი), ბაიდაშვილი (როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა), გარიბოვი (თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“), ფარნიევი (ტრამვაი), გაბაშვილი (ტრამვაის კოლექტ. მდივანი), ტრამვაის ადგილკომის მდივანი, არუსტანოვი (სახკინმრეწვი), ცანავა (თბ. ელექტრო-მოწყობილობათა სამმართველოს ელ სადგური). იუზბაშევი (სპილენძის სატკეცი ქარხანა), ტერ-ავეტიკოვი (კალინინის სახელობის ქარხანა), გამბაროვი (კოლოფების ქარხანა), სოჟიანოვი (ავტოსახელოსნოები „სტალინი“), მზარეულიშვილი და გეურქოვი (მესამე რაიკომი)

მესამე რაიონიდან: არჩვაძე (ტყავტრესტი), გაიონი (საპნის სახარში ქარხანა), ბოკერია (ქალაქის სასაკლაო) სადგ. ნავთლუღის უჯრედის მდივანი, ტერ-ვართანოვი და ფირალოვი (მესამე რაიკომი).

მეოთხე რაიონიდან: წერეთელი (საუწყ. მილიციის უფროსი), ბელმანი (თბ. ელექტრო-მექანიკური ქარხ.). არიზჯანოვი (ფაბრიკა „ლენინი“), ხარაზიანი (პოლიგრაფტრესტი), სიხაშვილი და ბარათაშვილი (პოლიგრაფტრესტის უჯრედის მდივანი), კიკნაძე ნიკო (ადგილ. მრეწვ. განყოფილება). კვანტალიანი, ლომაია, მაზმანოვი (ტელეფ. ქსელი), დარახველიძე და გუდავაძე (მეოთხე რაიკომი).

ფესიუკი (სახელმწიფო ბანკი), მესხი (კომუნალური ბანკი), ნიკიტინი (მზიქდავთა კავშირი), [illegible] (გემთ კლების კავშირი), მარკვ[illegible] და ფანცხავა (საქ. პროფკავშირთა საბჭო), ღნიაშვილი (ქართ. დივიზია), ბლიუმბაკი (საიდუმ. სპეც. ნაწილების პოლ. განყ.)

დღის წესრიგში სდგას მნიშვნელოვანი საკითხები.

თავზარდაცემულნი: მშობლები დესპინე და თედორე ძაგანიები, მარად გულმოკლულნი დები: ვერა დანელიასი და სირმა ძაგანია, ძმა გრიშა ძაგანია, სიძე კაპიტონ დანელია, დისშვილები: კუკუშა და ძაბა დანელიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის მარად დაუვიწყარი

ქიქო (მატრონა) თედორეს ასული
ძაგანიას

უდროოდ გარდაცვალებას აგარაკ ცემში 14 ივნისს. გამოსვენება მოხდება სოფ. ბანძაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
1—1 (დ.)

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

სოლეი
ტელ. 14—03.

„გოსვოენკინოს“ საუკეთესო სურათი
„მისი უდიდესებულობის სოლისტკა“
აუარებელ ხალხს იზიდავს
(ყოფ. იმპერატ. თეატრების, ბალეტის სკოლების, კულისების და სცენის ცხოვრება).
უახლოესი დადგმები: ეთერში—„ბანდიტი ქალი“ სილსის მონაწილეობით, დარბაზში—„გრაფი კალიოსტრო“ კონრად ვეიდტის მონაწილეობით, აპოლოში—„ვენეციელი ვაჭარი“ გარი ლიდკეს მონაწილეობით.
მხოლოდ ერთი დღე
„ბიუ ლი“
ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით.
0—13 ნ. 1289
ანონსი: მიღებულია უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს საუკეთესო სურათი
„ჰამბურგი“—თვალ-ყური ადევნეთ დადგმის დღეს.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

1927 წლის 1-ლ ივნისისათვის.

სალარო და სახელდახელო ანგარიშები	673.619—37	თანხები ა) ძირითადი	3.000.000—
საფასენი	352.364—14	ბ) სათადარიგო	223.922—33
თამ. გან. და სპეც. სან. ანგ. თამას.	2.864.874—19	სპ. თანხა მთავარ საგანგ. დან. საალმშ.	4.242.951—99
საქონლის სესხის ოპერაცია	2.815.669—82	სპეც. სახ. ანგ. უზრ. თამას.	1.765.316—47
მიზნობრივი სესხი მოკლე-ვადიანი	1.438 788—85	ანაბარი და სხვა ანგ.	4.536.267—21
„ „ გრძელვადიანი	7.203.903—73	ფულის ბარათები	127.583—86
კორესპონდენტები	161.465—26	კორესპონდენტები	1.479.436—48
შემოსასწორებელი ანგარიშები	677.410—80	შემოსავალ. ანგ.	594.124—11
სხვადასხვა დებიტორები	17.452—78	სხვადასხვა კრედიტები	34.920—
ქონება და წამოწყ. მონაწ.	760.486—47	საურთიერთო ანგ.	1.832.413—38
საურთიერთო ანგარიშები	1.807.101—38	შემოსავალი მომავალი წლის ანგარიშ.	583.517—86
გაპროტესტებული თამას. და საეჭვო ვალები	79.481—28	სარგებელი კომისია და სხვა შემოსავ.	941.991—52
გაცემ. %%-ბი კომისია და სხვა	177.252—31		
მიმდინარე და სხვა ხარჯები	332.574—83		
ბალანსი	19.362.445—21	ბალანსი	19.362.445—21

ნ: 1325.

ადგილობრივ ტრანსპორტის („ზაკომესი“)
ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო
აცნობებს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც მოეპოებათ ავტო-მოტო-ტრანსპორტი, რომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილების (ა. წ. 28 თებერვლის თარიღით) შესასრულებლად, რომელიც 12 მარტს იყო გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტ“-ში, ადგილ. ტრანსპ. ამ.-კავკ. საოლქო გამმართველოს და ადგილობრივ ტრანსპორტის საქართ. სამმართველოს ავტოსექცია აწყობს მფრინავ კონტროლს ავტომოტო-მანქანების გზებზე მოძრაობის წესების შესრულებისა და აგრეთვე მანქანების ტეხნიკური მდგომარეობის შესამოწმებლად.
დასახელებულ დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა უნდა დაავალონ მანქანების წამყვანთ, რომ ავტო-ინსპექტორები დაუბრკოლებლივ დაუშვან მანქანებთან და შეასრულონ მათი მოთხოვნილებანი მანქანების მოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ.
სამუშაოდ შეიძლება იქნან დაშვებული მხოლოდ ისეთი ავტომობილები და მოტოციკლეტები. რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სავალდებულო დადგენილების (№ 0180-ით) მოთხოვნილებებს.
დამნაშავენი დაწესებული წესების დარღვევაში მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.
ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის სამმართველოს უფროსის მოადგილე აზარნოი
ავტო-განყოფილების უფროსის მოადგილე სკლიარევსკი.
ნ. 1323 1—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 ივნისს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 1326

თბილისის ვაჭრობის სააქციო საზ-ება
„თბილისის ვაჭრობა“
სომხების ბაზარი № 6
საბითუმო საცალო ვაჭრობა.
საწყობებში ყოველთვის არის სხვადასხვა გვარი საქონელი.
I. საამშენებლო მასალები:
სახურავის, დაცინკული, ხარისხეული რკინა, ბოძები (двутавровые балки) და სხვა რკინეულის მასალები.
სხვადასხვა ქარხნების მინა ფანჯრისა—უბრალო და ბემის.
ყოფ. მამონტოვის ქარხნების ლაქები, საღებავები და ზეთი.
ხე-ტყის მასალა. პორტლანდის ცემენტი.
II. მანუფაქტურა.
III. ტყავეულის საქონელი. IV. ხიმიკატები.
და ბევრი სხვა საქონელი.
რკინეულის და მოსკატური საქონლის (магазин железоскобяных и москательных товаров)
საცალო ვაჭრობის მაღაზია
სომხების ბაზარი № 6
ხე-ტყის საწყობი—კამოს ქუჩა (ყოფილი დიდი მთავრის № 22. 2—1 1312

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 16 ივნისს 1927 წ. დღის 3 ს. სახლში № 10 ნახიჩევანის შესახვევში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ზავაცკის და ბაბალაძის მოძრავ ქონებას: შუშის ქარხანას მთელი თავისი მოწყობილობით, რომელიც გამართულია სამუშაოდ შეფასებულს 3165 მანეთად, ქიმიკოსთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 9 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2009 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1324

დავკარგე მე-2-ე ხარისხის მე-5-ე ხოლით სარეწაო მოწმობა სავაჭრო წარმოების № 146-21 მიხაკო გიგოლის-ძე ჯაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1327

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოც. ჩოხატაურის სამხედრო მაგიდის მიერ გურია ზაქარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3043

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

დავკარგე აღრიცხვის ბარათი პლატონ სამსონის-ძე მჭედლიშვილის სახელზე ჩ. გ. 3037

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფ. № 2 № 540 გიორგი გრიგორის-ძე ჟუჟიძის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე საალრიცხვო წიგნაკი, გაცემული სიღნაღის სამხედრო მაგიდიდან ბორის ჩარექოვის სახელზე, ჩ. გ. 3041

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 1402 დათიკო თავართქილაძეს სახელზე ჩ. გ. 3038

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 638 შუშანა ონისიმეს ასული დომინიეშვილის სახელზე, ჩ. გ. 3039

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 406 ივანე კონსტანტინეს-ძე იგითხანოვის სახელზე, ჩ. გ. 3039

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 8632 მიხეილ ვასილის-ძე ჭუმბაძის სახელზე, ჩ. გ. 3039

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 12 ვანო იაკაძეს სახელზე ჩ. გ. 3042

დავკარგე პირადობის მოწმობა სედრაკ სოღატელოვის სახელზე, ჩ. გ. 1327